

სოციალურ  
მეცნიერებათა  
ვექტორები

N 5, 2023



**V**ECTORS OF  
SOCIAL SCIENCES



საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
INTERNATIONAL SCIENTIFIC PEER-REVIEWED JOURNAL

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს  
სამეცნიერო ჟურნალი

# სოციალურ მეცნიერებათა ვებჟურნალი

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი  
ჟურნალი

N 5 2023

თბილისი 2023

# სარედაქციო კოლეგია

## ანა ფირსხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით (თავმჯდომარე)

## გიორგი ლავთაძე

დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სასწავლო მიმართულებით

## გოდარძი ბუჩაშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

## საშა ფლემინსი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, bbw Gruppe გენერალური დირექტორი. განათლების კვლევის და ადმინისტრირების ინსტიტუტის დირექტორი. ბერლინისა და ბრანდენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

## შთაფან შლენაერ

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი

## ეპარტი კლიანი

ემ. პროფესორი, პოტსდამის უნივერსიტეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი

## მარტინ დალი

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს წევრი

## ანდრეა აკოლონი

რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის პროფესორი

## ჯოანენ ფრანსკა

პროფესორი, დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტის ლექტორი, პოტსდამის უნივერსიტეტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

## მარკუს შირბერი

სამართლის დოქტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური სამართლისა და ეკონომიკურ სწავლებათა ინსტიტუტის პროფესორი.

## იუსტინა ბოკაიო

დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის კვლევების დეპარტამენტი.

## ეკატერინე ქარდავა

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარე.

## **დარგობრივი მიმართულებები:**

### **სამართალი**

მიმართულების თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე  
მიმართულების ედიტორები: თეა ჯუღელი  
ბესიკ ლოლაძე  
გიორგი ციციანი

### **ეკონომიკა**

მიმართულების თავმჯდომარე: თენგიზ თაქთაქიშვილი  
მიმართულების ედიტორები: ლაშა ზივზივაძე  
პაატა შურღია  
დავით ჩახვაშვილი

### **ადმინისტრირება/მართვა**

მიმართულების თავმჯდომარე: რუსუდან ბერიაშვილი  
მიმართულების ედიტორები: ლარისა პატარია  
ლევანი დუნდუა  
თამარ კაკუტია

### **ფსიქოლოგია**

მიმართულების თავმჯდომარე: ნოდარ სარჯველაძე  
მიმართულების ედიტორები: მადონა კვეკელია  
ინა შანავა  
გიორგი დონაძე  
ლია ქურხული

### **ჰურნალისტიკა**

მიმართულების თავმჯდომარე: თინათინ ზაქარაშვილი  
მიმართულების ედიტორები: ია მახარაძე  
მარინე გერმანიშვილი

### **პოლიტიკის მახინჯარაბები**

მიმართულების თავმჯდომარე: აკაკი აბზიანიძე  
მიმართულების ედიტორები: ეკა დარბაიძე  
მარინე იტრიაშვილი  
ქრისტინე მაჭარაშვილი

### **სოციალური მუშაობა**

მიმართულების თავმჯდომარე: სტივ შტილერი  
მიმართულების ედიტორები: გაბრიელა შმიდი  
რუდი მაიერი  
ნია ძერია

### **თექნიკური რედაქტორი:**

ანა ცეცხლაძე

ISSN 2667-9892

DOI: <https://doi.org/10.51895/VSS>

უაკ (udc) 001.5 ს 75

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რედაქციის აზრი შეიძლება, არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

## **სარჩევი**

<b>ღია პიტიურიშვილი, ნელი სესაძე, ამბროსი გრიშკაშვილი</b> პოსტანდამიური მიგრაციული პროცესები და მისი გამოწვევები ქვეყნისათვის	<b>5</b>
<b>ავთანდილ ხურციძე</b> სირკულარული შრომითი მიგრაცია და საქართველო: გამოცდილება და გამოწვევები	<b>18</b>
<b>თამარ მარგიანი</b> მიგრაციის მიზეზები და მისი გავლენა ეკონომიკაზე	<b>34</b>
<b>მეგი სურმანიძე</b> მიგრაციის გამოწვევი ფაქტორები და ადამიანთა უფლებები	<b>47</b>
<b>სალომე წიკლაური</b> სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები თავშესაფრის მოპოვებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში	<b>61</b>
<b>ეკა დარბაიძე</b> ნიმგრანდთა ინტეგრაციის რესპუბლიკური მოდელი საფრანგეთის რესპუბლიკაში	<b>73</b>

## კოსტანდამიური მიგრაციული პროცესები და მისი გამოწვევები ქვეყნისათვის

ლია პიტურიშვილი

პროფესორი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ,

ნელი სესაძე

პროფესორი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ,

ამბროსი გრიშკაშვილი

ეკონომიკის დოქტორი

### აბსტრაქტი

გლობალური მიგრაცია მრავალფეროვანი სახით წარმოგვიდგება: ეკონომიკური ხასიათის მიგრაციებს უწევთ სამშობლოს ნებაყოფლობით დატოვება სამუშაოს საძიებლად, ლტოლვილებს კონფლიქტი და ძალადობა უზიდავს ქვეყნის გარეთ გასვლას. ტექნოლოგიური, გეოპოლიტიკური, კლიმატური ცვლილებები მიგრაციული პროცესების წყარო გახდა დღეისათვის.

გლობალიზაციისა და მის ფონზე მობილობის გაზრდილი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ადამიანებს მეტი საშუალება ეძლევათ, ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მიგრაციულმა პროცესებმა არც საქართველოს აუარეს გვერდი. საქართველოს შემთხვევაშიც ლეგალურ მიგრაციას აღნიშნული სამი ძირითადი მიზეზი განაპირობებს, თუმცა აქცენტი მაინც შრომით მიგრაციაზე კეთდება.

მიგრაცია შეიძლება იყოს ეკონომიკური სიკეთე, მაგრამ ასევე შეიძლება გადაიქცეს კრიტიკულ საკითხად ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრებისათვის. განათლების მიზნით ქვეყნიდან გასული ახალგაზრდების უკანდაუბრუნებლობა, „ტვინების გადინება“ და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისათვის, რაც მიგრაციული პროცესების ეფექტური მართვის აუცილებლობას განაპირობებს.

**საკვანძო სიტყვები:** საერთაშორისო მიგრაცია, ცირკულარული მიგრაცია, გლობალიზაცია, „ტვინების გადინება“.

### შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურმა თუ საომარმა მოვლენებმა პანდემიური პროცესებით ერთგვარად შენელებული მოსახლეობის მიგრაციული პროცესები უფრო მეტად დააჩქარა. დაახლოებით, 281 მილიონი ადამიანი, ანუ მსოფლიო მოსახლეობის 3,6 პროცენტი ცხოვრობს საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. პანდემიამდე 2019 წლისათვის



აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 272 მლნ-ს, ანუ 3,5პროცენტს. აქედან 135 მლნ ქალი-საერთაშორისო მიგრანტია, ანუ 3,5% მსოფლიო მდებარეობითი სქესის მოსახლეობის (2019 წ.-130მლნ, ანუ 3,4%),146 მლნ მამრობითი სქესის საერთაშორისო მიგრანტია, ანუ 3,7% მსოფლიო მამრობითი სქესის მოსახლეობის (2019 წ.-141მლნ, ანუ 3,6%), 169 მლნ. შრომითი მიგრანტია მსოფლიოს მასშტაბით (2019წელში-164 მლნ.), 2020 წლის მონაცემებით 3900 მიგრანტი დაკარგული, გარდაცვლილია მსოფლიოში.<sup>1</sup>

*ძირითადი ფაქტები და ციფრები მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებიდან 2000 და 2022 წლებში<sup>2</sup>*

**ცხრილი1**

	2000 მლნ	2022მლნ
საერთაშორისო მიგრანტების გაანგარიშებითი რაოდენობა	173	281
საერთაშორისო მიგრანტების წილი მსოფლიო მოსახლეობაში	2,8%	3.6%
ქალი საერთაშორისო მიგრანტის წილი გაანგარიშებითი წილი	49.4%	48%
მაღალი საერთაშორისო მიგრაციის მქონე ქვეყანა	ემირატები	ემირატები
შრომითი მიგრანტების რაოდენობა	-	169
გლობალური საერთაშორისო ფულადი გადმორიცხვები	128	702
ლტოლვილთა რაოდენობა	14	26.4
იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა	21	55

გაზრდილი მიგრაციული პროცესები აისახა ისეთ მაჩვენებელში, როგორცაა ფულადი გზავნილების რაოდენობა. 2020 წლის მონაცემებით საერთაშორისო მიგრანტების საერთაშორისო ფულადმა გადარიცხვებმა მთელ მსოფლიოში შეადგინა 702 მილიარდი აშშ დოლარი. COVID-19-ით განვითარებულმა მოვლენებმა ფულადი გზავნილების ფაქტობრივი კლება 2.4% განაპირობა (719 მლნ 2019 წ.).

2020 წლისათვის საერთაშორისო ფულადი გზავნილების 540 მილიარდი აშშ დოლარი მოდიოდა დაბალ და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებზე, 548 მლნ აშშ დოლარის საპირისპიროდ 2019 წელს.

**1. მიგრაციის მიზეზები**

ეკონომიკურმა გლობალიზაციამ, ადამიანთა გადაადგილების გაიოლებამ, ასევე ტრანსპორტის განვითარებამ, ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა ადამიანებს მეტი შესაძლებლობა მისცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სწავლის გაგრძელების თუ სამუშაოს ძიების.

სამუშაოს ძიება არის მთავარი მამოძრავებელი ძალა მიგრანტებისათვის. შრომითი მიგრანტები შეადგენენ მთელი საერთაშორისო მიგრაციის ორ მესამედს. ამ ადამიანებისთვის და მათი ოჯახებისთვის მიგრაციას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს შემოსავლის, განათლებისა და ჯანმრთელობის თვალსაზრისით. წარმოშობის

<sup>1</sup> World Migration Report 2022 <https://publications.iom.int/books/world-migration-report-2022> [უ.გ. 14.03.2023].

<sup>2</sup> World Migration Report 2022 <https://publications.iom.int/books/world-migration-report-2022>[უ.გ 14.03.2023].


ქვეყნებისათვის ემიგრაციას შეუძლია შეამციროს უმუშევრობა და ხელი შეუწყოს განათლების დონის ამაღლებას, ასევე მიგრანტთა ფულადი გზავნილები უზრუნველყოფს ფინანსურ ნაკადებს და წარმოადგენს სტაბილური შემოსავლის წყაროს.

გლობალური მიგრაციული პროცესებს საქართველოს შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული მიზეზები აქვს, თუმცა ძირითადი მაინც შრომითი მიგრაციაა.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 688.6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-13 960) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-25 966).<sup>3</sup>

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კომპონენტები, ათასი



■ მიგრაციული სალდო ■ ბუნებრივი მატება — მოსახლეობის ზრდა

ნახ.1 წყარო\_ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 59.7 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის თითქმის მესამედს შეადგენს.


2021 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 99 974 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 34.6 პროცენტით მეტია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 17.8 პროცენტით შემცირდა და 74 008 კაცი შეადგინა.

ამავე პერიოდში, იმიგრანტების 82.5 პროცენტი და ემიგრანტების 88.6 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ.

<sup>3</sup>მიგრაცია <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia> [უ.გ 14.03.2023].



იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა 2021 წელს ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ნახ.2 წყარო\_ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2021 წელს, იმიგრანტების 53.4 პროცენტს, ხოლო ემიგრანტების 80.4 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ.

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა 2021 წელს მოქალაქეობის მიხედვით (კაცი) ცხრილი2

მოქალაქეობა	რიცხო	
	იმიგრანტი	ემიგრანტი
<b>სუ</b>	<b>74 008</b>	<b>99 974</b>
საქართველოს	39 526	80 351
სხვა ქვეყნის მოქალაქე	34 433	19 568
მოქალაქეობის გარეშე / არ არის მითითებული	49	55

წყარო\_ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რუსეთსა და უკრაინას შორის საომარი ვითარების დაწყების შემდეგ გაიზარდა საქართველოში და არა მარტო საქართველოში უკრაინიდან, ბელორუსიდან და რუსეთიდან დამრულ ადამიანთა ნაკადი. მის აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თუმცა ამ მიგრაციული ნაკადების იდენტიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით ძალიან ძნელდება. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ გაზრდილია ამ ქვეყნებიდან როგორც შემოსულ, ისე ქვეყნიდან გასულ ვიზიტორთა რიცხვი.

მიგრაციულ ნაკადებს აქვთ თავისი ხანმოკლევადიანი ეფექტები, რაც აისახა ვალუტის კურსში, სამომხმარებლო საქონლის ფასების მატებაში, ასევე უძრავი ქონების ფასების ზრდაში. აღნიშნული ტენდენციები დღესაც გრძელდება.<sup>4</sup>


შრომითი მიგრაციის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარება. იგი წარმოადგენს მიგრაციის ფორმას, რომელიც დადგენილია იმგვარად, რომ იძლევა ორ ქვეყანას შორის გარკვეული ხარისხის ლეგალური მობილობის შესაძლებლობას. აღიარებულია, რომ ის ხელს უწყობს მუშა-ხელის მომწოდებელი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და თავიდან არიდებს ტვინების გადინებასა და სხვა ნეგატიურ შედეგებს.

## 2. მიგრაციული პროცესები საგანმანათლებლო სფეროში

ადამიანური კაპიტალის ზრდა არის ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური პრიორიტეტი და ეს არის ერთადერთი შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, საქართველო შევიყვანოთ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანათა რიცხვში.

ევროპულმა ინტეგრაციამ მნიშვნელოვნად გააქტიურა მიგრაციული პროცესები განათლების მიღების ასპექტში. თუ მოსახლეობა 1993-2003 წლებში უცხოეთში ძირითადად დასაქმების მიზნით მიდიოდა, 2004 წლიდან ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა და ემიგრანტთა მნიშვნელოვან ნაწილს (50%-ზე მეტი) ახალგაზრდობა წარმოადგენს, რომელთა ემიგრაციის ძირითადი მოტივაცია, დასაქმებასთან ერთად, უპირველესად განათლების მიღების სურვილია.

საქართველოს განათლების სფეროს ევროპული ინტეგრაცია და ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება ხელს უწყობს სტუდენტთა მობილობას, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში უნივერსიტეტების კოოპერაციას და სხვა ეფექტური პროექტების რეალიზებას.



ნახ.3 ევროპული ინტეგრაცია და ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე

<sup>4</sup> ტურიზმი თუ მიგრაცია? [https://idfi.ge/ge/tourism\\_or\\_migration\\_rate\\_of\\_stay\\_of\\_russian\\_citizens\\_in\\_georgia](https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia) [უ.გ 14.03.2023].

საგანმანათლებლო მიგრაციის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სარგებელი ქვეყნისთვის აშკარაა-სტუდენტების, ახალგაზრდა მეცნიერების მობილობა უცხო ქვეყნებში უმაღლესი, მეორე უმაღლესი და დამატებითი განათლების მისაღებად ან სტაჟირებისათვის უნივერსიტეტებში, წარმოებებში ქვეყანაში კვალიფიციური კადრის ფორმირების წყაროა.

2021/2022 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საზღვარგარეთ სასწავლებლად 484 სტუდენტი გაიგზავნა, რაც 195 სტუდენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილი სტუდენტების რაოდენობა 2.4-ჯერ აღემატება კერძო უნივერსიტეტებიდან გაგზავნილ სტუდენტთა რაოდენობას.

ამ პროცესის ნეგატიურ მხარედ წარმოგვიდგება სწავლის დამთავრების შემდეგ სტუდენტთა გარკვეული ნაწილის (თუნდაც მცირე) მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკან არ დაბრუნდეს მრავალფეროვანი მიზეზების გამო. აღნიშნული ერთი მხრივ, დემოგრაფიული თვალსაზრისით შეამცირებს მოსახლეობის კვლავწარმოების ისედაც დაბალ მაჩვენებელს, მეორე მხრივ, ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანა დაკარგავს მაღალი განათლების მქონე ადამიანურ კაპიტალს.

იზრდება ქვეყანაში იმიგრანტთა რაოდენობა განათლების მიღებისათვის. 2021-2022 სასწავლო წლისათვის ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სულ 17.5 ათასი საერთაშორისო სტუდენტი სწავლობდა (წინა წელს 14617 სტუდენტი), რაც 19.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აქედან ნაწილი 4 892 საბაკალავრო პროგრამის, დანარჩენი კი მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) პროგრამის, რეზიდენტურის სტუდენტია.

რაც შეეხება უცხოელი დოქტორანტების რიცხოვნობას ქვეყნის უს 2021 წლის მონაცემებით სწავლობს 33 სტუდენტი. სტუდენტთა ძირითადი ნაწილი (12) თურქეთის მოქალაქეა. სტუდენტთა დიდი ნაწილი ინდოეთის მოქალაქეა.<sup>5</sup>

*საგანმანათლებლო მიგრაციის გააქტიურების საფუძველია ის სასტიპენდიო პროგრამები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში: მაგ.: Stipendium Hungaricum უნგრეთში, აკადემიური პროგრამები იტალიაში, Fulbright პროგრამა აშშ-ში, სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში, აკადემიური პროგრამები სან-დიეგოს სახ. უნივერსიტეტში და ა.შ. ასევე, აღსანიშნავია თანამშრომლობა ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში და განათლების სამინისტროს განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო პროგრამები - მაგ.: Erasmus+; Erasmus Mundus Joint Master Degree.*


კვლევითი მობილობისა თუ სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობის მიზნით ახალგაზრდა მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საერთაშორისო ბიზნესსასტიპენდიო პროგრამები, რაც გაზრდის ქართულ საწარმოებში უცხოელი პერსპექტიული მეცნიერების მოზიდვა-დასაქმებას და ქართველი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების უცხოურ ფირმებში სამეცნიერო-კვლევების განსახორციელებლად საშუალოვადიან მივლინებას.

<sup>5</sup> მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი [https://migration.commission.ge/files/bmp\\_22\\_students\\_ge.pdf](https://migration.commission.ge/files/bmp_22_students_ge.pdf) [უ.გ 14.03.2023].

უცხოელ სტუდენტებზე გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების რაოდენობა მოქალაქეობის და წლების მიხედვით<sup>6</sup> ცხრილი 3

	2017	2018	2019	2020	2021	ჯამი
ინდოეთი	2,556	4,486	4,068	2,291	1,917	15,318
ირანი	145	326	607	456	440	1,974
ნიგერია	253	268	321	316	475	1,633
სხვა	1,183	971	1,036	1,080	2,079	6,349
ჯამი	4,137	6,051	6,032	4,143	4,911	25,274

სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა, 2021–2022 სასწ.წ., კაცი



წყარო: მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში 2022

საგანმანათლებლო მიგრაციის პოზიტიური შედეგების მიღებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში სტუდენტთა მობილობისათვის გაცვლითი პროგრამების გააქტიურება, მოწესრიგებული, უსაფრთხო, კანონიერი, პასუხისმგებლიანი მიგრაციისათვის ხელის შეწყობა. აუცილებელია სახელმწიფოს ხელშეწყობა, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით. საჭიროა კვლევების განხორციელება უცხოელ სტუდენტთა საცხოვრებელის, ხარჯების, შემოსავლების შესახებ, სადაც გამოიკვეთება ამ სტუდენტთა კმაყოფილების დონე.

<sup>6</sup> მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი [https://migration.commission.ge/files/bmp\\_22\\_students\\_ge.pdf](https://migration.commission.ge/files/bmp_22_students_ge.pdf) [უ.გ 14.03.2023].

### 3. კერძო კაპიტალის მიგრაცია

გარდა შრომითი და საგანმანათლებლო მიგრაციისა მიგრაციის პროცესები დამახასიათებელია მსოფლიოს მილიონერთათვის. ამ ასპექტში მათთვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შეთავაზება მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ეკონომიკის ზრდისათვის.

Covid-19-ის პანდემიის გამო ორწლიანი პაუზის შემდეგ მსოფლიოს მილიონერები კვლავ იწყებენ მიგრირებას. ექსპერტების აზრით, 2023 წელს კერძო კაპიტალის მიგრაცია რეკორდულ ტემპს მიაღწევს: წელიწადში 125 000 მილიონერი. გასული ათწლეულის განმავლობაში მდიდარი ადამიანების მიგრაციის ძირითადი ტენდენციებზე, ისევე როგორც მომავალი პერიოდის პროგნოზების შესახებ Henley ექსპერტებმა წარმოადგინეს ანგარიში Global Citizens Report.<sup>7</sup>

კერძო კაპიტალისა და ინვესტიციების მიგრაციის ტენდენციების საკითხი აქტუალური რჩება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსთვის. უფრო მეტიც, საუბარია არა მხოლოდ მდიდარ ინვესტორებსა და საინვესტიციო ბაზრის პროფესიონალებზე, არამედ პოლიტიკოსებზეც. მათი სტრატეგიული ამოცანები მოიცავს, კერძოდ, ეფექტური საინვესტიციო პროგრამების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას. ჰენლის ექსპერტებმა New World Wealth-თან პარტნიორობით მოამზადეს Global Citizens Report Q2 2022, წლის მეორე კვარტალში, ანგარიში შემღებული ადამიანების მიგრაციის შესახებ, კერძო სიმდიდრის განაწილებისა და გადაადგილების შესახებ მთელს მსოფლიოში 2022 წლისათვის.

კვლევა მოიცავს 62 ქვეყანას მსოფლიოს 8 რეგიონიდან და მოიცავს მონაცემებს 150 000-ზე მეტი მდიდარი ადამიანის გადაადგილებისა და მიგრაციის ჩვევების შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მილიონერების მიგრაცია შეეხო მხოლოდ მათ, ვინც გადავიდა და ქვეყანაში ექვს თვეზე მეტხანს დარჩა. კვლევის სამიზნე ჯგუფში არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ 1 მილიონი აშშ დოლარი და მეტი ქონება.

ამ კვლევის თანახმად 2000 წლიდან გლობალური სიმდიდრე დაახლოებით 150 ტრილიონი დოლარიდან 500 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა. ამავდროულად ერთდროულად გაიზარდა მაღალი და ულტრა მაღალი სიმდიდრის მქონე ადამიანების რაოდენობა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

- ✓ 1 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ქონებით - 15,3 მილიონზე მეტი ადამიანი,
- ✓ 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ქონებით - 593 340 ადამიანი,
- ✓ 100 მილიონ დოლარზე მეტი ქონებით - 26 670 ადამიანი და
- ✓ მილიარდერები - 2241 ადამიანი.<sup>8</sup>

მსოფლიოში მდიდარი ადამიანებისა და კერძო სიმდიდრის გლობალური განაწილება 2021 წლის ბოლოსათვის ასეთია(ქვეყანაში მცხოვრები ყველა ადამიანის პირადი სიმდიდრე, მათ შორის ყველა მათი აქტივები გამოკლებული ნებისმიერი ვალდებულება):

<sup>7</sup>Global Citizens Report <https://www.henleyglobal.com/publications/henley-global-citizens-report/2022-q2>[უ.გ 14.03.2023]

<sup>8</sup> Global Citizens Report <https://www.henleyglobal.com/publications/henley-global-citizens-report/2022-q2>[უ.გ 14.03.2023]



## ცხრილი 4

ქვეყნები	აშშ მლრდ
ამერიკის შეერთებული შტატები	68,781
ჩინეთი	23,280
იაპონია	20,099
ინდოეთი	8,893
გერმანია	8,868
დიდი ბრიტანეთი	8,848
ავსტრალია	6,447
კანადა	6,247
საფრანგეთი	5,750
იტალია	3,824

წყარო: Global Citizens Report Q2 2022

ბოლო ათწლეულების განმავლობაში HNWI-ების და UHNWI-ების რაოდენობის ასეთი ზრდა განპირობებული იყო 4 ძირითადი ტენდენციით. ისინი მომავალშიც მნიშვნელოვანი იქნება.

1. გლობალური მშპ გეომეტრიული პროგრესით იზრდება - მიუხედავად კრიზისისა. მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან ერთად, იზრდება მოსახლეობის გლობალური ცხოვრების დონეც.


2. განვითარებადი ქვეყნების წილი მსოფლიო მშპ-ში იზრდება. მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა იცვლება: ქვეყნები, რომლებიც ადრე განვითარებულად ითვლებოდნენ, თანდათან ზრდიან თავიანთ წილს მსოფლიო ეკონომიკაში. დაახლოებით 30 წლის წინ ისინი მსოფლიო მშპ-ს მხოლოდ 20%-ს შეადგენდნენ, ახლა კი მათი წილი 60%-ს უახლოვდება.

3. 2008-2009 წლების კრიზისებით და ასევე პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შედეგების შესამსუბუქებლად, მთავრობებმა დაიწყეს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შესუსტება, რამაც გამოიწვია გლობალური დანაზოგის, აქტივების ფასების ზრდა, ამ აქტივების მფლობელების სიმდიდრის ზრდა.

4. გრძელდება მსოფლიოს მოსახლეობის დაბერების პროცესი, რაც იწვევს დანაზოგის ზრდას (უფრო მეტი ფულადი სახსრების გადადება ხდება საპენსიო ასაკისათვის), შესაბამისად, იზრდება აქტივების მოცულობა ინვესტიციებისთვის.

HNWI მიგრაციის ზრდის ტენდენცია გრძელდებოდა პანდემიამდე. Covid-19-მა გაართულა თვალყურის დევნება მიგრაციის პროცესისადმი. 2022 და 2023 წლების პროგნოზები აჩვენებს, რომ ექსპერტები ვარაუდობენ მიგრაციის ზრდის ტემპების სწრაფ ადდენას.





ნახ. 6. ემიგრირებული HNWI-ების რაოდენობა Henley & Partners, Global Citizens Report 2023

2016 წელს დაფიქსირდა 28%-იანი ნახტომი (წინა წლების 12-16%-ის საპირისპიროდ). ამ მაჩვენებელზე გავლენა მოახდინა საინვესტიციო მიგრაციის პროგრამებმა, მათ ხელი შეუწყო მილიონერების შემოდინებას ავსტრალიაში, აშშ-ში, კანადასა და ახალ ზელანდიაში.

მდიდარი ადამიანების მიგრაციული ნაკადები ძალზე მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მილიონერები ხშირად შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს, მათი მოზიდვა და შენარჩუნება მთავრობისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას. მილიონერების მიერ ქვეყნის დატოვებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ეკონომიკასა და უძრავი ქონების ბაზრებს.

იშვიათი არაა, რომ მდიდარ ადამიანებს გადააქვთ რა თავიანთი ბიზნესი სხვა ქვეყანაში გადააქვთ ასევე სამუშაო ადგილებიც, სამუშაო ძალის უნარები, კვალიფიკაცია და გავლენა. ამიტომ ქვეყნებისთვის ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადახედონ თავიანთ მიგრაციის პოლიტიკას. მხოლოდ ამ გზით შეძლებენ მასპინძელი ქვეყნები ახალი ტალანტების მოზიდვის სრული სარგებლის მიღებას.

გაზრდილი მიგრაციული ნაკადების ფონზე ეფექტური შედეგების მიღებისათვის აქტუალური ხდება მიგრაციული პროცესების სახელმწიფოებრივი მართვის საკითხები.

საქართველოში მიგრაციის მართვის სისტემის განვითარებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ევროკავშირთან დაახლოების პროცესის დაჩქარებამ. აღნიშნულ პერიოდში მართვის სისტემის ჩამოყალიბების, გაუმჯობესების და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა 2013-2015 და 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიები.<sup>9</sup>

2010 წელს ჩამოყალიბდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელმაც მიგრაციის პროცესის ყველა მნიშვნელოვანი მონაწილე გააერთიანა და საქმიანობა სამთავრობო მიდგომაზე ააწყო.

მიგრაციის სფეროში მომხდარი სიახლეების და ცვლილებების შედეგად, თავი იჩინა ახალმა ახალი გამოწვევებმა. ამიტომაც შემუშავებულ იქნა მიგრაციის სტრატეგია 2021-

<sup>9</sup> საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, [https://migration.commission.ge/files/migration\\_strategy\\_2016-2020\\_geo\\_final\\_-\\_amended.pdf](https://migration.commission.ge/files/migration_strategy_2016-2020_geo_final_-_amended.pdf) [უ.გ 14.03.2023].

2030 წლებისათვის, რომლის მიზანია ახალ რეალობების შესაბამისად გაუმკლავდეს მიგრაციის დარგში არსებულ გამოწვევებს.<sup>10</sup>

სტრატეგია ითვალისწინებს ქვეყნის ინტერესების გამოკვეთას მიგრაციის სფეროში და მათ განხილვას „მიგრაციის და განვითარების“ პოლიტიკის ასპექტში. ასევე მისი მიზანია მოახდინოს წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან კორელაცია და შეიმუშაოს საკუთარი სისტემა.

სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვის საფუძველია „მიგრაციის და განვითარების“ პრინციპი, რომელიც ემსახურება მიგრაციის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებას და დადებითი ეფექტის გაზრდას, რაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის განვითარებისთვის.

## დასკვნა

მიგრაცია მნიშვნელოვანია ეკონომიკური კეთილდღეობის, ადამიანთა განვითარებისა და უსაფრთხოებისთვის, ხოლო უფრო უსაფრთხო და უკეთ რეგულირებადი მიგრაცია გლობალური პრიორიტეტი გახდა.

მიგრაციის მართვის გაუმჯობესება, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, დაბრუნებულთა რეინტეგრაცია, დიასპორის ჩართულობა, თავშესაფრის სისტემა და ინტეგრაცია საქართველოს მიგრაციის პროცესების უმთავრესი პრიორიტეტებია.

აუცილებელია საზღვარგარეთ დამსაქმებელი შუამავალი პირების საქმიანობის რეგულირება და მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს როგორც შრომითი ემიგრანტების უფლებების დაცვას, ასევე ამ სფეროს სანდო დასაქმების სააგენტოების გააქტიურებას.

დროებითი (ცირკულარული) შრომითი მიგრაციის სქემების განვითარება. იგი ხელს შეუწყობს მიგრაციის სამართლებრივ საზღვრებში მოქცევას, ითვალისწინებს წარმოშობისა და მიმღები ქვეყნების, ასევე თავად შრომით მიგრანტთა ინტერესებს და, რაც მთავარია, უმარტივეს/ხელს უწყობს მათ სამშობლოში დაბრუნებას.

მიუხედავად მოქალაქეებისათვის მიწოდებული ინფორმაციის სიუხვისა, გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ.

ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა, რაც გაზრდის უცხო ქვეყნების სასწავლო დაწესებულებებში ქართველი სტუდენტებისა და მეცნიერების ნაკადებს და, ასევე საქართველოში უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და უცხოელ სტუდენტთა რაოდენობას. ამის საფუძველი იქნება განათლების სამინისტროს მიერ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად განხორციელებული სასტიპენდიო, აკადემიური და სამაგისტრო პროგრამების გააქტიურება.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება გაზრდის უცხოელ სტუდენტთა მობილობას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

<sup>10</sup> საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია, [https://migration.commission.ge/files/ms\\_2021-2030\\_geo.pdf](https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf) [უ. გ. 14.03.2023].

უცხოელ სტუდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე უნივერსიტეტების განვითარებაში. მათ მიერ გადახდილი სწავლის საფასური ქართულ უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და ტექნოლოგიებში და განავითარონ ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

კერძო კაპიტალისა და ინვესტიციების მიგრაციის ტენდენციების საკითხი აქტუალური რჩება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთლიანად მსოფლიოსთვის. უფრო მეტიც, საუბარია არა მხოლოდ მდიდარ ინვესტორებსა და საინვესტიციო ბაზრის პროფესიონალებზე, არამედ პოლიტიკოსებზეც. მათთვის ეფექტური საინვესტიციო პროგრამების შემუშავება და შეთავაზება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას.

აუცილებელია დაბრუნებული მიგრანტების ადგილობრივ შრომით ბაზარზე რეინტეგრაციის მხარდაჭერა.

მიგრაციის მართვის გაუმჯობესების ასპექტში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთთანამშრომლობას. მუნიციპალიტეტებს მეტად აქვთ ინფორმაცია მიგრანტთა სხვადასხვა ჯგუფების შესახებ, მათი საჭიროებების შესახებ.

აუცილებელია მუნიციპალიტეტების ჩართულობის ამაღლება ლეგალურ მიგრაციასთან, ასევე უკანდაბრუნებასა და რეინტეგრაციის საკითხებთან, მიგრაციის სახელმწიფო თუ სხვა პროექტების შესახებ ინფორმაციის პოტენციურ მიგრანტებისათვის მიწოდებასთან დაკავშირებით.

ასევე უნდა ამაღლდეს მუნიციპალიტეტების როლი მიგრანტთა ჯგუფებზე მორგებული, ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების წახალისებაში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში სულ უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს.

მიგრაცია და ტრანსსასაზღვრო მობილობის სხვა ფორმები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებია. ამ სფეროებში სტატისტიკაზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგისა და უსაფრთხო, მოწესრიგებული და რეგულარული მიგრაციის 2018 წლის გლობალური შეთანხმების გათვალისწინებით. როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს სტატისტიკური საზოგადოებისთვის გამოწვევა რჩება საერთაშორისო მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო მობილობის აღქმა ისე, რომ დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მზარდი საჭიროებები.

მიგრაციის საკითხების გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია გლობალურ თუ რეგიონულ საერთაშორისო პროცესებსა და პლატფორმებზე საქართველოს ჩართულობის გაზრდა. აუცილებელია მიგრაციის მართვის სფეროში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, მათი გამოცდილების გათვალისწინება მიგრაციული პრობლემების გადაწყვეტისას. ასევე მნიშვნელოვანია მიგრაციის პრობლემების გადაწყვეტის ქართული ხედვის საერთაშორისო დონისძიებებზე გატანა და მისი პოპულარიზაცია. ეს საერთაშორისო დონეზე ამაღლებს ქვეყნის რეპუტაციას და შესაბამისად მიგრაციის მართვის სისტემის გაუმჯობესებას გამოიწვევს.

ცხადია, რომ ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება მიგრაციის პრობლემებს მარტო. ტრანსნაციონალური პრობლემები მოითხოვს ტრანსნაციონალურ გადაწყვეტას.

## ბიბლიოგრაფია

1. უნარები და მიგრაცია საქართველოში: მოკლე ანგარიში 2021 წლის სექტემბერი  
[https://www.etf.europa.eu/sites/default/files/2021-11/etf\\_skills\\_and\\_migration\\_country\\_fiche\\_georgia\\_2021\\_ka\\_0.pdf](https://www.etf.europa.eu/sites/default/files/2021-11/etf_skills_and_migration_country_fiche_georgia_2021_ka_0.pdf), [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
2. გაეროს მიგრაციის ქსელის სამუშაო გეგმა 2021 – 2022 წლების პრიორიტეტები  
[https://georgia.iom.int/sites/g/files/tmzbd11311/files/documents/network\\_-\\_workplan\\_2021-2022\\_GEO\\_final%20.pdf](https://georgia.iom.int/sites/g/files/tmzbd11311/files/documents/network_-_workplan_2021-2022_GEO_final%20.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
3. საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია  
[https://migration.commission.ge/files/mp19\\_web3.pdf](https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
4. მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში  
[https://migration.commission.ge/files/bmp\\_22\\_students\\_ge.pdf](https://migration.commission.ge/files/bmp_22_students_ge.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
5. ტურიზმი თუ მიგრაცია? (რუსეთის მოქალაქეების საქართველოში დარჩენის მაჩვენებელი - 2022 მარტი-ივნისი)  
[https://idfi.ge/ge/tourism\\_or\\_migration\\_rate\\_of\\_stay\\_of\\_russian\\_citizens\\_in\\_georgia](https://idfi.ge/ge/tourism_or_migration_rate_of_stay_of_russian_citizens_in_georgia)  
 [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური  
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
7. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია  
[https://migration.commission.ge/files/ms\\_2021-2030\\_geo.pdf](https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
8. MIGRATIONS DATENPORTAL Das große Ganze <https://www.migrationdataportal.org/>  
 [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
9. The 3rd International Forum on Migration Statistics (IFMS 2023)  
<https://unstats.un.org/unsd/demographic-social/migrationstat-forum-2023/index.html>  
 [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023];
10. Henley Global Citizens Report <https://www.henleyglobal.com/publications/henley-global-citizens-report/2022-q2> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2023].



## ცირკულარული შრომითი მიგრაცია და საქართველო: გამოცდილება და გამოწვევები

ავთანდილ ხურციძე

შრომითი მიგრაციის სფეროს ექსპერტი

### აბსტრაქტი

მოცემულ სტატიაში განხილულ იქნება ის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რომელთა მიმართ გამოცდილებაც არის დაგროვილი და განხორციელებული საქართველოში ცირკულარული შრომითი მიგრაციის მიმართულებით. შევეცდებით გავიაზროთ და შევაფასოთ საქართველოს მიერ განვლილი მიგრაციული პროცესის ისტორია და მისი შედეგები, რაც მივიღეთ საბჭოთა კავშირის დაშლის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე. განვიხილავთ თუ რა გავლენას ახდენს მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული მძიმე მეხსიერება თანამედროვეობასა და შრომითი მიგრანტების ფსიქოტიპების ჩამოყალიბებაზე; ვისაუბრებთ განსხვავებებზე - წარმოდგენებს, მოლოდინებს, სამუშაო გარემოსა და პირობებს შორის; თუ რა პოზიტიური და ნეგატიური შედეგები არის მოსალოდნელი და დამახასიათებელი მსგავსი, ქვეყნის გარეთ დასაქმების სისტემებიდან; რა ცვლილებები და შესაძლებლობები გააჩინა ვიზალიბერალიზაციამ ქართული შრომითი ბაზრისთვის; როგორი პრევენციული ზომები არსებობს ცირკულარული შრომითი სქემების სწორად ფუნქციონირებისთვის; როგორია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ მიღებული შრომითი მიგრაციის გამოცდილების მაგალითები. რა რისკები და გამოწვევებია მოსალოდნელი მომავალში შრომითი მიგრაციის კუთხით საქართველოში და რა იურიდიული ნიუანსებია დასახვეწი კიდევ უფრო მოქნილი და გაზომვადი რეგულირებისათვის. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შევეცდებით გავაკეთოთ გარკვეული პროგნოზები და დავსახოთ სწორი ხედვები შრომითი მიგრაციის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** ცირკულარული შრომითი მიგრაცია, დასაქმება, კომპეტენცია, კვალიფიკაცია/დე-კვალიფიკაცია, საერთაშორისო შრომითი ბაზარი, ვიზალიბერალიზაცია

### შესავალი

თავად ტერმინი „ცირკულარული მიგრაცია“ თავდაპირველად წარმოიშვა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში და ის ძირითადად დაკავშირებული იყო ქვეყნის ურბანიზაციის პროცესთან, განვითარებასთან და ქვეყნის შიდა მიგრაციასთან. დღეს ამ ტერმინთან დაკავშირებული უამრავი განმარტება და დეფინიცია არსებობს გარკვეული განსხვავებებით. ყველაზე გავრცელებულ ფორმულირებას წარმოადგენს შემდეგი:

ცირკულარული მიგრაცია გულისხმობს მიგრანტის (მიგრანტების) დროებით და როგორც წესი განმეორებითი (რეგულარული) გადაადგილების პროცესს საცხოვრებელ და მასპინძელ ზონებს, ქვეყნებს შორის დასაქმების მიზნით.

მასში მოიაზრება ასევე ქვეყნებს შორის ადამიანების მიმოსვლა ხანგრძლივი მიმოსვლის ჩათვლით, რაც ნებაყოფლობით წარმართვის შემთხვევაში, შესაძლოა, სასარგებლო

ადმოჩნდეს ყველა ჩართული მხარისთვის: მიგრანტებისთვის, წარმოშობის და დანიშნულების ქვეყნებისთვის, მათ შორის შესაბამისი საზოგადოებებისა და ინდივიდებისთვის. მსგავსი ფორმატის დასაქმების სქემები აუცილებლად არის დაკავშირებული მიგრანტების უფლებების დაცვასთან, მათი კომპეტენციების ამაღლებასა და განვითარებაზე ორიენტირებასთან, წარმოშობის და დანიშნულების ქვეყნების ეკონომიკურ შესაძლებლობებთან.<sup>1</sup>

არსებობს ექვსი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს შრომით მიგრაციას, როგორც ცირკულარულს:

1. დროებითი/დროში გაწერილი - დასაქმება ატარებს პერიოდულ, დროში გაწერილ ხასიათს, რაც თავის მხრივ შეთანხმებული და გამყარებულია დამსაქმებლის მიერ დადებული კონტრაქტით, სამუშაო ნებართვით და სხვა სახის ლეგალური დოკუმენტაციით.
2. განახლებადი/ცვალებადი - ცოდნის, კომპეტენციების ამაღლების, გამოცდილების დაგროვების პარალელურად დასაქმებულის სამუშაო პირობები ექვემდებარება პროგრესულ ცვლილებას და შეიცავს კარიერული წინსვლის კომპონენტს.
3. რეგულარული - ცირკულარულ შრომით მიგრანტად არ შეიძლება ჩაითვალოს ერთჯერადად, წარმოშობის ქვეყნის გარეთ დასაქმებული ადამიანი. დასაქმების ფორმატი აუცილებლად უნდა შეიცავდეს წარმოშობის და მიმღებ ქვეყნებს შორის მოძრაობა/გადაადგილების სტაბილურ მაჩვენებელს.
4. ლეგალური - მსგავსი დასაქმების ფორმატის მონაწილეებს გავლილი აქვთ დასაქმებისთვის საჭირო ყველა ლეგალური პროცედურა, ფლობენ დამსაქმებლისგან მიღებულ სამუშაო კონტრაქტს, სამუშაო ნებართვას, მოწვევას და ა.შ.
5. მიგრანტების უფლებები არის დაცული - დასაქმებულნი სარგებლობენ კანონით გარანტირებული და დაცული ყველა უფლებით. ისინი მიმღები ქვეყნის კანონმდებლობით და რეგულაციებით გათვალისწინებულ ნორმებს ექვემდებარებიან, ისევე როგორც მიმღები ქვეყნის მოქალაქეები. მათ გააჩნიათ თავიანთი პასუხისმგებლობები კანონის და სახელმწიფოს წინაშე, ისინი იხდიან გადასახადებს და მათთვის ხელმისაწვდომია უფლებების დაცვისთვის საჭირო ყველა ბერკეტი თუ ინსტიტუცია.
6. მართული/ოპტიმიზებულია შრომის ბაზრის მიერ როგორც წარმოშობის, ასევე მიმღები ქვეყნებისთვის - მსგავსი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა დასაქმების მსურველმა თავად მოიძიოს სხვადასხვა მიმღები ქვეყნის მიერ დეფიციტური და მოთხოვნილი პროფესიები, გაეცნოს მათ, დაუკავშირდეს დამსაქმებელს ან შრომითი მიგრაციის მიმართულებით პასუხისმგებელ შესაბამის ორგანოს და დასაქმდეს. ასევე დასაქმების მსურველს შეუძლია წინასწარ იზრუნოს საკუთარი კომპეტენციების ამაღლებაზე დამსაქმებელთან მოლაპარაკების საფუძველზე.

ცირკულარული დასაქმების სისტემის სისტემა და მისი დანერგვა გარდაუვლად გულისხმობს შრომითი მიგრანტის დაბრუნებას სამშობლოში, რაც ყოფილ შრომით მიგრანტს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ცოდნა და გამოცდილება დანერგოს და განავითაროს წარმოშობის ქვეყანაში. მსგავსი პრაქტიკა მიღებული და დანერგილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შესაბამისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი რეგულაციებით. საქართველო ამ გზაზე ფაქტიურად პირველ ნაბიჯებს დგამს.

<sup>1</sup> გოსი, ა. ცირკულარული მიგრაციის სქემის სახელმძღვანელო, 2016, გვ.6.



## 1. მიგრაცია და საქართველო: პერიოდება

პირობითად დამოუკიდებელი საქართველოს მიგრაციული ისტორია შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე პერიოდად.

1. 1991-2000 წლები - დამოუკიდებლობის მოპოვება, სამოქალაქო ომი - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგი თითქმის 10 წლიანი დროის მონაკვეთი საქართველოში, არალეგალური მიგრაციის ეპოქად შეგვიძლია განვიხილოთ. ქვეყანა გადაიქცა სხვადასხვა დაპირისპირებული ჯგუფების არენად. ემიგრაციამ აბსოლუტურად უკონტროლო ფორმა მიიღო. პირველ რიგში უსაფრთხოებისა და თვითგადარჩენის მიზნით ქართველები არალეგალური ფორმით ახერხებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში შეღწევას. ლეგალური დასაქმების და სწავლის საშუალებები ამ პერიოდისთვის ძალიან მცირეა. ევროპა საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის თითქმის სრულად ჩაკეტილია. სწორედ ამ დროისთვის იწყებს ის ფიქრს და გააზრებას, შიდა ევროპული, როგორც კვალიფიციური ისე პროფესიული მუშახელის დეფიციტის შესახებ.
2. 2000-2017 - ნაწილობრივ რეგულირებული მიგრაცია - ამ პერიოდისთვის საქართველოში უკვე შესაძლებელი გახდა გარკვეული სტაბილიზაციის მიღწევა. მოძლიერდა სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტები, დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა. პარალელურად ევროპული „ჩაკეტილობის“ პოლიტიკა შეიცვალა, შემსუბუქდა და შედარებით გახსნილი სახე მიიღო. საქართველოს მოქალაქეებს როგორც სასწავლებლად ისე დასაქმების მიზნით გარკვეული ლეგალური შესაძლებლობებით სარგებლობის შესაძლებლობა და შანსი მიეცათ.
3. 2017- დღემდე - ვიზალიბერალიზაცია - 2017 წლის 28 მარტიდან ევროკავშირის და შენგენის ქვეყნების ჩათვლით საქართველოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს 72 ქვეყანასთან. ამ მოცემულობამ საქართველოს მოქალაქეებს ამ ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების განვითარების საშუალება მისცა.

სწორედ ვიზალიბერალიზაცია გახდა ცირკულარული შრომითი მიგრაციის განვითარების მთავარი მასტიმულირებელი ფაქტორი საქართველოში.

## 2. შრომითი მიგრაციის განვითარების ქართული საწყისები

ცირკულარული მიგრაცია, საკმაოდ აქტუალურ თემას წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის წრეებში. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის შემქმნელები ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში მხარს უჭერენ მსგავსი დასაქმების პროგრამების განვითარებას და დანერგვას, რათა ხელი შეუწყონ მართულ, კონტროლირებად მიგრანტთა გადაადგილებას სამშობლოსა და სამუშაო ადგილებს შორის.

მათ მთავარ იდეას წარმოადგენს ის, რომ ცირკულარული მიგრაციის სისტემების მართვა შესაძლებელია ისე, რომ მოიტანოს ე. წ. „ანდაზური“ შედეგები - "მოგება-მოგება-მოგება" (სარგებელი მიმღები ქვეყნებისთვის შრომის ბაზრის დეფიციტის დაკმაყოფილების გზით, ქვეყნების გაგზავნისთვის ფულადი გზავნილების განვითარებისთვის გარანტირებული გზით და თავად მიგრანტებისთვის).<sup>2</sup>

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ცირკულარული შრომითი მიგრაცია საქართველოში პირდაპირ არის დაკავშირებული ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესთან. თუმცა მას წინ უსწრებდა საკმაოდ რთული მოსამზადებელი გზა როგორც საკანონმდებლო ისე ადმინისტრაციული ხელისუფლების და გამოცდილების დაგროვების კუთხით.

<sup>2</sup> Vertovec, S., "Circular Migration: the way forward in global policy?", 2007, გვ. 2-3.

პირველი საკანონმდებლო დოკუმენტი სადაც წარმოდგენილ იქნა მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია 1997 წლის 17 ნოემბერს გამოიცა. მან საფუძველი ჩაუყარა ზოგადად მიგრაციული საკითხების სახელმწიფოს დონეზე რეგულირების საქმეს.<sup>3</sup>

2003 წელს შემუშავდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას. საქართველოზე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა გავრცელდა 2004 წლიდან, ხოლო 2006 წლის 14 ნოემბერს ხელი მოეწერა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები, მათ შორის სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხები. მას მოჰყვა წლებზე გაწერილი მიგრაციის სტრატეგიული გეგმები, რომლებიც დიდწილად დაკავშირებულია 2010 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის #314 დადგენილების საფუძველზე მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შექმნასთან.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ სფეროსთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი მონაწილე გააერთიანა და ქმედებები დააფუძნა საერთო სამთავრობო მიდგომაზე. კომისია იქცა საერთო პლატფორმად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა მიგრაციის მართვაში ჩართულ დარგობრივ უწყებებში ურთიერთთან დაკავშირებული მიგრაციის ძირითადი თემატური მიმართულებების გაერთიანება, რამაც განაპირობა, ერთი მხრივ, ამ უწყებების პროფილურად და სტრუქტურულად გამსხვილება და განვითარება, ხოლო, მეორე მხრივ, მათი თანაზიარი ვალდებულებების პრინციპზე დაფუძნებული კავშირების მიხედვით კომისიის ფარგლებში დაჯგუფება.<sup>4</sup> ის დღესაც წარმოადგენს მთავრობის სათათბირო ორგანოს, რომელიც მსჯელობს და გადაწყვეტილებებს იღებს მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

ამ საკითხებს შორის უმნიშვნელოვანესია:

- საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია;
- საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია;
- საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია.<sup>5</sup>

განსაკუთრებული როლი საქართველოში ცირკულარული შრომითი მიგრაციის განვითარების გზაზე ვიზალიბერალიზაციის მიღებამდე შეასრულა:

1. *ერთობლივი დეკლარაცია ევროკავშირის „პარტნიორობა მობილობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ* - რომელსაც ხელი მოაწერა ევროკავშირის 16 სახელმწიფომ, საქართველომ 2009 წლის ნოემბერში. ინიციატივა მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივ ბრძოლასა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობას. შესაბამისად, იგი ითვალისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხები. ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება ხელს უწყობს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს

<sup>3</sup> საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #673 საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის შესახებ (1997 წლის 17 ნოემბერი), <https://matsne.gov.ge/ka/document/view/110440?publication=0> [უ. გ. 02.02.2023].

<sup>4</sup> საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციის სფეროში საკვანძო მოვლენების კრებული, 2021 წლის მარტი, გვ. 26, [https://migration.commission.ge/files/ge-eu\\_m\\_coop\\_web\\_g.pdf](https://migration.commission.ge/files/ge-eu_m_coop_web_g.pdf) [უ. გ. 02.02.2023].

<sup>5</sup> მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის პროდუქტები [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=225&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=225&clang=0) [უ. გ. 02.02.2023].

მოქალაქეების ლეგალურად დასაქმებას, მათ შორის „ცირკულარული მიგრაციის“ საშუალებით.

2. „გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილურობის შესახებ“ ფარგლებში (*Global Approach to Migration and Mobility*) - ეს ინიციატივა შეიქმნა 2011 წელს. ის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ცირკულარული მიგრაციის შესაძლებლობების გამოყენების კუთხით და ემსახურება ორმხრივი ხელშეკრულებითი ურთიერთობების განვითარებას. მისი სამუშაო მიმართულებებია: ლეგალური მიგრაციის მართვის გაუმჯობესება და მობილურობის ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციის პრევენცია და შემცირება, მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის გაძლიერება.<sup>6</sup>

2014 წლის 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი, 2017 წლის 28 მარტიდან კი ევროკავშირისა და შენგენის ზონის ქვეყნებში, საქართველოს მოქალაქეების დასაქმებისათვის გაიხსნა ახალი შესაძლებლობები და დღის წესრიგში დადგა შრომითი მიგრაციის, ქვეყნის შიდა საკანონმდებლო და პრაქტიკული რეგულირების საკითხებიც.

2015 წელს ამოქმედდა კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“, რომელიც არეგულირებს საქართველოდან შრომითი ემიგრაციის საკითხებს, შუამავალი კომპანიების რეგულირებისა და პოტენციურ ემიგრანტთა ინფორმირების გზით.

2018 წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველო - საქართველოში შრომითი მიგრაციის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების საკითხთა (როგორც უწყებათშორისი, ისე ზოგადად ქვეყნის პოლიტიკის) კოორდინაციის მიზნით.<sup>7</sup>

2020 წელს კი საქართველოში შეიქმნა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, რომლის ერთ-ერთ სამუშაო მიმართულებას წარმოადგენს, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა დროებითი ლეგალური დასაქმება.

### 3. ცირკულარული შრომითი მიგრაცია და საქართველო

ევროკავშირის და შენგენის ქვეყნების ჩათვლით საქართველოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს - 72 ქვეყანასთან ეს მოცემულობა საქართველოს მოქალაქეებს აძლევს საშუალებას შრომითი ურთიერთობები დაამყარონ და განავითარონ როგორც ევროპის ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

ქართული გამოცდილებიდან გამომდინარე, ცირკულარულ შრომით მიგრაციაში შეგვიძლია გამოვყოთ მიმართულებები რომლითაც სარგებლობენ ჩვენი მოქალაქეები:

#### 3.1. თავისუფალი/დამოუკიდებელი დასაქმება

საზღვრების გახსნამ საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილების საშუალება მისცა. დროთა განმავლობაში მათ თავადვე შეძლეს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე დამსაქმებლების მოძიება. მათ მოახერხეს თავიანთი

<sup>6</sup> მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველო და ევროკავშირი [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=17&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=17&clang=0) [უ. გ. 02.02.2023].

<sup>7</sup> საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციის სფეროში საკვანძო მოვლენების კრებული, 2021 წლის მარტი, გვ. 31, [https://migration.commission.ge/files/ge-eu\\_m\\_coop\\_web\\_g.pdf](https://migration.commission.ge/files/ge-eu_m_coop_web_g.pdf) [უ. გ. 02.02.2023].

კომპეტენციების, ცოდნის და გამოცდილების შესაბამისად, ლეგალური სამსახურის შოვნა და საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნად პროფესიებში კომპეტენციების ამაღლება. პარალელურად მათ ხელი შეუწყვეს ცირკულარული შრომითი მიგრაციის დასაქმების სქემებში ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრების, ნაცნობების და ა. შ. ჩართვას.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ქვეყნების 2 ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ახალი შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში ამ პირველადი ცირკულარული შრომითი მიგრაციის მხრივ გამოცდილების მიღების გზაზე:

*I ჯგუფი - ბალტიის ზღვის ქვეყნები: პოლონეთი, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი.*

დასაქმების მოთხოვნადი მიმართულებები: შემდუღებელი, მშენებელი, ავტონაწილების წარმოება, თევზჭერა, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წარმოება, ტელევიზორების და სხვა ელექტრონული მოწყობილობების აწყობა, ტრანსპორტი და ა. შ. ცალკე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლონეთს გააჩნია დროებითი/ცირკულარული მიგრაციის გამარტივებული სქემა, რომელიც ექვსი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს იმუშაონ პოლონეთში 6 თვის მანძილზე 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.<sup>8</sup>

*II ჯგუფი - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა: ავსტრია, სლოვაკეთი, უნგრეთი, გერმანია.*

დასაქმების მოთხოვნადი მიმართულებები: IT ტექნოლოგიები, სამედიცინო სფერო, ავტომობილების წარმოება, კურიერული მომსახურება, სასტუმროს სექტორი, მომსახურების სფერო, სოფლის მეურნეობა და ა. შ.

პროცესი თითქმის სრულად მორგებული და სინქრონიზებულია უვიზო მიმოსვლის ფორმატთან: 90 დღე/180 დღის განმავლობაში, თუმცა მრავალმა საქართველოს მოქალაქემ გამოიყენა და დღესაც იყენებს დამატებით, ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული, ლეგალური დასაქმების ბერკეტებს დასაქმების პერიოდის გახანგრძლივებისთვის (განმეორებითი კონტრაქტი დამსაქმებლისგან, ბინადრობის უფლების მოპოვება და ა. შ.).

### 3.2. სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ცირკულარული მიგრაციის შესაძლებლობების გამოყენების მიზნით ორმხრივი ხელშეკრულებითი ურთიერთობების განვითარება წარმოადგენს. დასაქმების სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები ამარტივებს მოქალაქეთა დასაქმებისთვის საჭირო და აუცილებელ პროცედურულ მხარეს, ამცირებს ბიუროკრატიულ რისკებს და ზოგავს დროს.

შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარებისა და საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობათა გაფართოების მიზნით 2017 წლიდან ექვს ქვეყანასთან ინიცირებული იქნა დიალოგი და განსახილველად გაეგზავნათ შეთანხმების პროექტი „ლეგალური დროებითი (ცირკულარული) შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

როდესაც ცირკულარული მიგრაცია სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილი/მართული სქემების ფარგლებში ხორციელდება, როგორც წესი, ხდება როგორც მიმღები, ისე გამგზავნი ქვეყნის და უშუალოდ მიგრანტების საჭიროებების გათვალისწინება. კერძოდ:

<sup>8</sup> Public Employment Services Portal, Declarations on entrusting work to a foreigner, 2019, <https://lang-psz.praca.gov.pl/en/dla-bezrobotnych-i-poszukujacych-pracy/dla-cudzoziemcow/oswiadczenia-o-powierzeniu> [უ. გ. 03.02.2023].



- აქცენტი კეთდება იმაზე თუ სად, რომელ პროფესიებში არის დანაკლისი მიმღები ქვეყანის შრომის ბაზარზე.
- როგორ შეიძლება გამგზავნი ქვეყნის სამუშაო ძალამ ისარგებლოს საზღვარგარეთ დასაქმებით, ისე რომ მომავალში ადგილობრივადაც შეუწყოს ხელი უმუშევრობის შემცირებას.

განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ცირკულარული მიგრაციის საშუალებით დასაქმებული პირის სარგებელი განისაზღვრება არა მხოლოდ მისი ეკონომიკური მოგებით (ანაზღაურებით), არამედ ახალი ცოდნის, კვალიფიკაციის მიღებით, რომელიც მას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეხმარება უკეთესი სამუშაოს მოძებნაში. ქვეყნის მასშტაბით, ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს უწყობს უფრო განვითარებული ქვეყნებიდან ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების შესახებ ცოდნისა და ე. წ. „ნოუ-ჰაუს“ შემოსვლა/გავრცელება/დანერგვას.<sup>9</sup>

სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების პრაქტიკაში დანერგვამდე, საქართველოში საპილოტე ფორმატში განხორციელებულ იქნა რამდენიმე დროებით დასაქმებასა და პროფესიული უნარების ამაღლებაზე ორიენტირებული პროექტი. მათ შორის საყურადღებოა 2016-2017 წლებში IOM საქართველოს და „IOM-ის განვითარების ფონდის (IDF)“ მიერ დაფინანსებული საცდელი პროექტი - „დროებითი შრომითი მიგრაცია პოლონეთსა და ესტონეთში“ - რომლის ფარგლებში არაერთი ღონისძიება ჩატარდა და რომელიც მიზნად ისახავდა წრიული (იგივე ცირკულარული) შრომითი მიგრაციის პროცესების მართვასა და დანერგვაში საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების ეტაპობრივ გაძლიერებას.<sup>10</sup>

მოცემული მომენტისთვის განხორციელების აქტიურ ფაზაში 3 სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება იმყოფება. ეს პროგრამებია:

### 3.2.1. საფრანგეთი

შეთანხმება საფრანგეთის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ გაფორმდა 2013 წელს. მისი მიზანია დროებითი პროფესიული მიგრაციის გაადვილება, რომელიც ეფუძნება სტუდენტებისა და კვალიფიციური სპეციალისტების მობილობასა და უკან დაბრუნებას პროფესიული კომპეტენციის შეძენის შემდეგ.

ეს შეთანხმება პირველი ორმხრივი დოკუმენტია, რომელიც საფრანგეთსა და საქართველოს შორის პროფესიული მიგრაციის სფეროში გაფორმდა. ის ითვალისწინებს:

- 12 თვიანი ხანგრძლივობის ბინადრობის ბარათის მოთხოვნის შესაძლებლობას ქართველი სტუდენტებისთვის სასწავლო კურსის ბოლოს, თუ მათ მოიპოვეს მინიმუმ მაგისტრის ან პროფესიული ბაკალავრის შესაბამისი დონის დიპლომი საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელსაც საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში დიპლომის გაცემის შესახებ შეთანხმება გაფორმებული აქვს საფრანგეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და სურვილი

<sup>9</sup> დიაკონიძე, ა., „ქართული სამუშაო ძალის ევროკავშირის ქვეყნებში ცირკულარული მიგრაციის პოტენციალის კვლევა“, 2018, გვ.13, [https://migration.commission.ge/files/cm\\_potential\\_research\\_final\\_\\_16.11.18\\_.pdf](https://migration.commission.ge/files/cm_potential_research_final__16.11.18_.pdf) [უ. გ. 02.02.2023].

<sup>10</sup> IOM საქართველოს ოფიციალური ვებგვერდი, „დროებითი შრომითი მიგრაცია პოლონეთსა და ესტონეთში“ შესახებ, <https://georgia.iom.int/ka/shromiti-mobiluroba-da-adamianis-ganvitareba> [უ. გ. 02.02.2023].

აქვთ სწავლის შემდგომი პირველი პროფესიული გამოცდილება მიიღონ საფრანგეთში საქართველოში მათი დაბრუნების პერსპექტივით.

- ერთი წლის ხანგრძლივობის, განახლებადი დროებითი ბინადრობის ბარათის მითითებით „დაქირავებული მშრომელი“ მოთხოვნის შესაძლებლობას ისეთი შრომითი ხელშეკრულების მეშვეობით, რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქალაქეებისთვის ღია 50 პროფესიიდან ერთ-ერთს (სხვა და სხვა სფეროში, როგორცაა მშენებლობა და საზოგადოებრივი სამუშაოები ან თუნდაც მექანიკა, რესტორნის სფერო ან IT ტექნოლოგიები). შეთანხმების მიხედვით, საფრანგეთის მიერ წლიურად გაცემული დროებითი ბინადრობის ბარათების რაოდენობა ამ კატეგორიის მშრომელთათვის 500 არ უნდა აღემატებოდეს.
- 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდა ფრანგი და ქართველი კვალიფიციური სპეციალისტების გაცვლის განვითარებას; ისინი საფრანგეთში ან საქართველოში გაემგზავრებიან მათი კარიერული პერსპექტივის გასაუმჯობესებლად დაქირავებული შრომისას მიღებული გამოცდილების წყალობით. შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ორივე ქვეყანაში მიღებული ახალგაზრდა ფრანგი და ქართველი კვალიფიციური სპეციალისტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 150 ადამიანს წელიწადში.<sup>11</sup>

2018 წლის 3 დეკემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოსცა კანონი აღნიშნული შეთანხმების აპრობაციის მიზნით.

შეთანხმებით სარგებლობის მსურველებს საშუალება აქვთ მიმართონ საფრანგეთის საელჩოს საქართველოში, ან საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სადაც მიიღებენ დეტალურ კონსულტაციას.

### 3.2.2. გერმანია

ორმხრივი ჩარჩო ხელშეკრულება საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში სოფლის მეურნეობის სექტორში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების შესახებ. მას ხელი მოეწერა 2020 წლის 17 იანვარს, გერმანიის დასაქმების ფედერალურ სააგენტოსა (BA - Bundesagentur für Arbeit) და საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს (SESA) შორის.

შეთანხმებით განისაზღვრა სეზონურ სამუშაოებზე საქართველოს მოქალაქეების დასაქმებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტები, დასაქმების პირობები და პროცედურები. შეთანხმება ძალაში შევიდა ხელმოწერისთანავე

კოვიდ-პანდემიის გამო, აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმება 2020 წელს ვერ განხორციელდა და ამ პროცესის დაწყება მხოლოდ 2021 წლის თებერვლიდან გახდა შესაძლებელი.

დოკუმენტის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეებს გერმანიის შრომის ბაზარზე, სოფლის მეურნეობის სექტორში დროებითი ლეგალური დასაქმების საშუალება მიეცათ - ერთ ჯერზე 90-დღემდე პერიოდებით (მაქსიმუმ 70 სამუშაო დღე), ყოველ 180 დღეში. პროგრამა არ გულისხმობს მხოლოდ ერთჯერად დასაქმებას, მასში ჩართულ ადამიანებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ შეუზღუდავად დასაქმდნენ განმეორებით. პროგრამა

<sup>11</sup> „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“ შეთანხმება, 2013, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4476017?publication=0> [უ.გ. 02.02.2023].



დღემდე აქტიურია და ძირითადად ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულ ადამიანებზე, თუმცა სხვა სფეროს/პროფესიის ადამიანებისთვის პროგრამაში მონაწილეობა შეზღუდული არ არის.

### 3.2.3. ისრაელი

ისრაელსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და მისი იმპლემენტაციის პირველი ოქმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს 1 000 მოქალაქეს იმუშაოს ისრაელის სამედიცინო დაწესებულებებში შინამოვლის სპეციალისტად 1 წლის ვადით, მაქსიმუმ 5 წლამდე გაგრძელების პერსპექტივით.

პროგრამის პირველი საპილოტე ეტაპი დაიწყო 2021 წლის აპრილში, თუმცა პანდემიის გამო, მისი დანერგვა გადაიდო. 2022 წლიდან პროგრამის იმპლემენტაციის პროცესი განახლდა და მოხდა გარკვეული რაოდენობის საქართველოს მოქალაქეების დასაქმება. 2023 წელს პროგრამა კვლავ აქტიურია და განახლებული ფორმატით განაგრძობს ფუნქციონირებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ასევე, რომ 2019 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას „ბულგარეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ“. შეთანხმების მიხედვით ქართველ სეზონურ მუშაკებს მიეცემათ საშუალება დასაქმდნენ სოფლის მეურნეობის სექტორში წელიწადში არაუმეტეს 9 თვის ვადით.

თავდაპირველად მათ მიეცემათ ერთწლიანი ბინადრობის ნებართვა, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით, ჯამურად სამ წლამდე ვადით. პროგრამას გავლილი აქვს ყველა მოსამზადებელი ეტაპი, ელოდება პრაქტიკული განხორციელების, იმპლემენტაციის პროცესის დაწყებას.<sup>12</sup>

ამჟამად საქართველო მუშაობს ცირკულარული მიგრაციის ორმხრივი შეთანხმების ხელშეკრულების გაფორმებაზე შემდეგი ქვეყნის მთავრობებთან: საბერძნეთი, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, ლიეტუვა, ესპანეთი, პორტუგალია, ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი ირლანდია და კვიპროსი.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან პრეფერენციების/შესაძლებლობების მისაღებად ორმხრივი შეთანხმებების ხელმოწერისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ მცდელობებს საკმარისი შედეგი ჯერ არ მოუტანია. მიგრაციის ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია კანონიერი დროებითი, ცირკულარული შრომითი მიგრაციის სქემების მეტი მხარდაჭერა და განვითარება სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე. საქართველოს სჭირდება ძლიერი დიპლომატიური ძალისხმევა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დასარწმუნებლად, რათა მათ მოახდინონ ცირკულარული მიგრაციის ინსტიტუციონალიზაცია.

### 3.3. კერძო დასაქმების კომპანიები

ყველაზე გაურკვეველი მდგომარეობა საქართველოს კერძო დასაქმების კომპანიების მიმართულებით აქვს. წლებია, პრობლემურია ამ „შუამავალი კერძო კომპანიების“ მეშვეობით საქართველოს მოქალაქეების დასაქმების პრაქტიკა საზღვარგარეთ, რაც საბოლოოდ, როგორც წესი არალეგალურ და უკონტროლო შრომითი მიგრაციის ფორმას

<sup>12</sup> მუხლი 2, შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ, 2019, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4701239?publication=0> [უ. გ. 02.02.2023].

იღებს. სახეზე გვაქვს უცხოეთში საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლებების მძიმე დარღვევები. 2015 წლის „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონით კერძო დასაქმების კომპანიები ვალდებული არიან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარუდგინონ ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში გაწეულ საშუალო საქმიანობებზე. ეს რეგულირების წესი ეხება უცხოელთა საქართველოში დასაქმების პირობებსაც. თუმცა პრაქტიკაში საკმაოდ ბუნდოვანი და არაფუნქციონალურია მათი მონიტორინგის, შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლის და აღსრულების მექანიზმები. სფეროს, ხარისხიანი ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება მოქნილი საკანონმდებლო ბაზა და აღსრულებითი ბერკეტები, რადგან პოტენციურ მომავალში სწორედ ისინი უნდა გახდნენ რეალური, ლეგალური შუამავლები სამუშაოს მაძიებლებს და მიმღებ ქვეყნებსა შორის.

#### 4. სტატისტიკა

სხვადასხვა მონაცემის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ 90-იან წლებში გარე მიგრაციის შედეგად გაცილებით მეტი დანაკლისი განიცადა, ვიდრე მის წინა 30 წლიანი პერიოდის განმავლობაში. 1990-2000 წლების პერიოდში საქართველომ, გარე მიგრაციის მეშვეობით, 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობა 19% შემცირდა, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი ქვეყნიდან წავიდა.

1995-2000 წლების პერიოდში, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, უარყოფითი სალდოს 69,1% რუსეთზე მოდიოდა. 1995-1996 წლებში უარყოფითი სალდო საქართველოსათვის რუსეთთან, მთელი გარე მიგრაციის 72% შეადგენდა. შემდეგ წლებში, უარყოფითი სალდო რუსეთთან მნიშვნელოვნად კლებულობდა და 1997-2000 წლების პერიოდისათვის, საშუალოდ, მხოლოდ 36, 7% შეადგენდა.

დღეს მთლიანობაში, საქართველო აგრძელებს ვიზალიბერალიზაციის კრიტერიუმების შესრულებას. მან მიიღო ზომები ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად. თუმცა, საჭიროა შემდგომი ძალისხმევა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის უსაფუძვლო განაცხადების საკითხის გადასაჭრელად, ფულის გათეთრების, ტრეფიკინგის, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციისა და ბრძოლის სფეროებში.

2021 წელს სულ ქვეყნიდან გავიდა 99 974, ხოლო შემოვიდა 74 008 ადამიანი. ემიგრანტებს შორის 61 740 (61,7%) კაცი იყო. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იმ პირებს შორის ვინც ქვეყანა დატოვა 80 351 (80,3%) საქართველოს მოქალაქე იყო, ხოლო ჩამოსულ პირთა შორის მხოლოდ 39 526 (53,4%) იყო საქართველოს მოქალაქე. შესაბამისად, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა შემცირდა 40 825-ით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა გაიზარდა 14 859-ით. აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოში სამუშაო ადგილების დეფიციტია, საქართველოს მოქალაქეები მიემგზავრებიან საზღვარგარეთ და მათ თანდათან ანაცვლებენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

მიუხედავად ამ და სხვა უამრავი ტიპის სტატისტიკური მონაცემებისა, სამწუხაროდ არცერთი მათგანი არ ეფუძნება კონკრეტულად ცირკულარული მიგრაციის პროცესში ჩართული საქართველოს მოქალაქეების მიმართ კვლევას, რის გამოც ვერ ვიღებთ სრულ სურათს, თუ რა ცვლილებები შეიტანა ცირკულარული მიგრაციის შესაძლებლობამ და

პროგრამებმა, საქართველოს ზოგადი მიგრაციული სალდოს ფორმირებაში. ცალკე ცირკულარული მიგრაციის შესახებ ემპირიული კვლევებიც შესაბამისად ძალიან მწირია.

წარმოდგენისთვის შეგვიძლია მოვიშველიოთ ევროკავშირის კვლევები - 2004, 2007 და 2013 წლებში მომხდარი გაფართოების შემდეგ ევროკავშირის 13 ახალი წევრი ქვეყანა დაემატა, რამაც ევროპის ქვეყნებში ცირკულარული შრომითი მიგრანტების ახალი ნაკადის შედინება გამოიწვია. European Migration Network-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში განხილულია ევროკავშირის ქვეყნებში დროებითი და ცირკულარული შრომითი მიგრაციის შედეგად წარმოქმნილი დადებითი პრაქტიკა და მისი ასპექტები.<sup>13</sup> მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი პროგრამის და პოლიტიკის შეფასება მონაწილე მიგრანტებზე დადებითი შედეგების ქონას ადასტურებს, წარმოშობის ქვეყნისთვის ან დამსაქმებლებისთვის არსებულ სერიოზულ სარგებელზე ცოტა რამ თუ მიუთითებს.

ქართულ სივრცეში ერთადერთი კვლევა ამ მიმართულებით მხოლოდ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) აქვს ჩატარებული მცირე მასშტაბებში.<sup>14</sup> რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების მონაწილეთა 86% უკან სამშობლოში ბრუნდება, იცავს საკონტრაქტო რეჟიმს და პარალელურად ადგილობრივ შრომით ბაზარზე ცდილობს დამკვიდრებას.

ზოგადად რომ შევაფასოთ ევროკავშირის შრომითი ბაზრისადმი ხედვის სრული სურათი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ „პარტნიორობა მობილობისათვის“ დეკლარაციის თექვსმეტივე ხელმომწერი ქვეყანა საქართველოს ყოველწლიურ კვოტას გამოუყოფს, ეს რიცხვი მაინც ძალიან მცირე იქნება ქვეყნის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოსახდენად და ვერ აღმოფხვრის უმუშევრობის პრობლემას.<sup>15</sup>

თუ დავუშვებთ, რომ დანარჩენი ხელმომწერი ქვეყნებიც საფრანგეთის მსგავსად წლიურად 650 კვოტას გამოგვიყოფენ, ჯამური წლიური კვოტების რაოდენობა 10,400 იქნება. თუკი ამ კვოტას მთლიანად მიმართული იქნება მხოლოდ უმუშევრებზე (რაც არარეალისტურია), დასაქმების მსურველთა მხოლოდ 4.2%-ს შეძლებს ცირკულარული მიგრაციის სქემით სარგებლობას. შესაბამისად ამ სქემამ შეიძლება გავლენა იქონიოს მხოლოდ რამდენიმე ათასი არალეგალურად დასაქმებული მიგრანტის ლეგალურად დასაქმებაზე, მაგრამ პირდაპირ ვერ მოახდენს გავლენას უმუშევრობის შემცირებაზე. საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება ქართული შრომითი გარემოს და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რათა პოტენციური შედეგები, გარკვეულწილად პროგნოზირებადი და მართვადი გახდეს.<sup>16</sup>

საბოლოო ჯამში სწორი მენეჯმენტის პირობებში, სამშობლოში დაბრუნებული, უკვე ამაღლებული კომპეტენციების და ცოდნის მქონე ადამიანები თავად უნდა გახდნენ ახალი დამსაქმებლები სამშობლოში, შექმნან სამუშაო ადგილები ადგილობრივ შრომის ბაზარზე. სწორედ ეს წარმოადგენს ცირკულარული მიგრაციის საბოლოო მიზანს ისეთი ქვეყნებისთვის, როგორც საქართველოა, სწორედ ამ ადამიანების მიერ ინიცირებული

<sup>13</sup> The European Migration Network, Temporary and circular migration: empirical evidence, current policy practice and future options in the EU Member States, 2011.

<sup>14</sup> გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების მუშაობისა და ცხოვრების პირობების კვლევის შედეგები, 2022.

<sup>15</sup> მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველო და ევროკავშირი [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=17&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=17&clang=0) [უ. გ. 02.02.2023].

<sup>16</sup> ბურდული, ა., ცირკულარული შრომითი მიგრაციის როლი უმუშევრობის შემცირებაში: რამდენად ამბიციურები შეიძლება ვიყოთ?, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2019, <https://iset-pi.ge/ka/blog/109-tsirkularuli-shromiti-migratsiis-rol-i-umushevrobis-shemtsirebashi> [უ. გ. 02.02.2023].

კომერციული საქმიანობების ხელშეწყობა და სტიმულირება გამოიწვევს ადგილობრივ შრომით ბაზარზე უმუშევრობის შემცირებას.

## 5. პრაქტიკული გამოცდილება, გამოწვევები და რისკები

ათეულობით წლის მანძილზე დაგროვილი არალეგალური მიგრაციის დიდი გამოცდილება, გარკვეულ ფსიქოლოგიური ორიენტირად გასდევს მთელი შრომითი მიგრაციის პროცესს, რომელიც მოქმედებს როგორც საზოგადოებრივი ჩვევა, ტრადიცია. ქმედებების ამ მითოლოგიური პორტრეტის ზემოქმედებით, ადამიანები ინსტიტუტურად აწყობენ ქმედებათა ჯაჭვს და მზად არიან უცხო ქვეყანაში არალეგალურ მუშახელად წასვლისთვის, ათასობით და ათიათასობით დოლარის გადაუხადონ ე. წ. „შუამავლებს“. მათთვის დღეს ხელმისაწვდომია ყველა ის ბენეფიტი რაც ახლავს ლეგალურ დასაქმებას. შესაძლებლობის ფარგლებში მათ ხელეწიფებათ აიმაღლონ პროფესიული კომპეტენციები, შეისწავლონ ახალი პროფესიები, გაიუმჯობესონ ენის ცოდნის დონე და ა. შ. რათა თავად, ბევრად უფრო ნაკლები დანახარჯებით და რისკით შეძლონ საერთაშორისო შრომით ბაზარზე საკუთარი თავის რეალიზება. პირადი და პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირება არის ის რა მიმართულება, საითაც უნდა მოხდეს პოტენციური შრომითი მიგრანტების პოზიციონირება ყველა დონეზე.

ვიზალიბერალიზაციის პროცესმა სწორედ ამ მდგომარეობის გამოსწორების მხრივ დაიწყო პოზიტიური ცვლილებების შემოტანა ქართველი შრომითი მიგრანტების დღის წესრიგში. თუმცა გასაგებია ისიც, რომ ძალიან დიდი ძალისხმევა და მუშაობაა გასაწევი ამ გზაზე. უმთავრეს გამოწვევებს ამ მიმართულებით განვითარებისთვის წარმოადგენს შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

- სწორი საინფორმაციო კამპანიების შექმნა/წარმოება ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობების შესახებ იმისთვის, რომ შრომით მიგრანტებს ადეკვატურად მიეწოდოთ საბაზისო ინფორმაცია მსგავსი ტიპის დასაქმების სქემების უპირატესობებზე.
- მეტი ხელმისაწვდომობა პროფესიული უნარების, კომპეტენციების და ა. შ. ამაღლებისთვის საჭირო სასწავლო კურსებსა და პროგრამებზე.
- საკანონმდებლო, მონიტორინგის, რეგულაციის და პასუხისმგებლების მექანიზმების დახვეწა.
- საერთაშორისო დონეზე სამთავრობო და დიპლომატიური აქტივობების გაძლიერება, მეტი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების გაფორმებისა და იმპლემენტაციისთვის.
- კომპეტენციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ორგანიზაციებზე.

ცირკულარული შრომითი მიგრაციის სქემების კიდევ უფრო მეტად განვითარება წარმოადგენს სპონტანური და უკანონო მიგრაციის ქმედით ალტერნატივას. საინფორმაციო-საკომუნიკაციო სტრატეგია აუცილებლად უნდა აქცენტირებდეს მის უპირატესობებსა და სარგებელზე პირველ რიგში წარმოშობის ქვეყნისთვის სადაც ხაზი უნდა გაესვას ცირკულარული დასაქმების უმთავრეს მახასიათებლებს:

- ფინანსური სტაბილურობა,
- უსაფრთხო სამუშაო გარემო და პირობები,
- პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება,
- სამუშაო გამოცდილების დაგროვება/განახლება,
- კარიერული წინსვლა.



- კავშირები/კომუნიკაცია,
- შეძენილი უნარების წარმოშობის ქვეყნის ეკონომიკაში დანერგვა.

აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყოთ სამშობლოსთან/ოჯახთან კონტაქტის და მასთან გაერთიანების შესაძლებლობა. მთელმა გასულმა ათწლეულებმა დიდი დარტყმა მიაყენა საქართველოს დემოგრაფიას, უამრავი ჩვენი თანამოქალაქე ათწლეულების მანძილზე ვერ ახერხებდა და ვერ ახერხებს უკან სამშობლოში დაბრუნებას, რადგან უცხო ქვეყანაში იმყოფება არალეგალურად და ჩამოსვლის შემთხვევაში განმეორებით წასვლის შესაძლებლობა შეიძლება აღარ მიეცეს. სწორედ ამიტომ ოჯახის ერთიანობის თემატიკა ცირკულარული შრომითი მიგრაციის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მიუხედავად საქართველოს ამ მძიმე მიგრაციული გამოცდილებისა, ცირკულარული მიგრაციის პროცესში ჩართული ადამიანების მსოფლმხედველობაში მაინც მოხდა გარკვეული პოზიტიური ძვრები: ლეგალური და არალეგალური დასაქმების განსხვავებების, უპირატესობების გააზრება/გადაფასება; სამოგზაურო თუ სამუშაო ვადების დაცვაზე ორიენტირება; ზრუნვა საკუთარი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ამაღლებაზე; ორმაგი საკონტრაქტო პასუხისმგებლობების გააზრება (დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის); სამუშაო ნორმების, შესრულებული სამუშაოს ხარისხის დაცვის გათავისება.

უმთავრეს რისკს, განსაკუთრებით ისეთი პატარა, განვითარებადი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა ე. წ. „ტვინების გადინება“ წარმოადგენს, ამ ტიპის რისკები კი მუდამ თან სდევს მიგრაციულ პროცესს.

ცირკულარული მიგრაცია გარკვეულწილად შეიცავს შესაძლებლობას მსგავსი რისკების შემცირებისა და დაზღვევისთვის. ის ქმნის ერთის მხრივ გარკვეულ ბაზისს ქვეყნიდან ინტელექტუალური რესურსის გადინების და მეორე მხრივ, წარმოშობს სამშობლოში დაბრუნებული ადამიანების ადგილობრივ დასაქმების ბაზარზე არაეფექტიანად გამოყენების თავიდან არიდების შესაძლებლობას. თუმცა ცალკე აღებული ეს პროცესი დიდ გავლენას ვერ მოახდენს შრომითი მიგრაციის გამოწვევებისადმი გამკლავებას, თუ ქვეყნის ინდუსტრიული და ეკონომიკური განვითარება შესაბამისი პროგრესით არ პასუხობს მის შიგნით სხვადასხვა სფეროს პროფესიონალური კადრების რიცხოვრივ ზრდას.

## დასკვნა

გამოცდილება და სხვადასხვა კვლევები გვაჩვენებს, რომ ადამიანებს რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ მიგრაციაში წასვლა, ისინი ყველანაირი შეზღუდვების მიუხედავად მაინც ახერხებენ ამას, რა სახის სირთულეებთანაც არ უნდა იყოს ეს დაკავშირებული. ამიტომ სახელმწიფოს ამოცანა ლეგალური მიგრაციის სქემაში ჩართვის პროცედურების იმდენად გამარტივებაა, რომ პოტენციური შრომითი მიგრანტისთვის არალეგალური მიგრაცია მეორეხარისხოვანი გახდეს. შეიქმნას გარკვეული საპირწონე ბალანსი მათ შორის.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის შრომითი მიგრაციის დადებითი მიმართულებით განვითარება, პირდაპირპროპორციულია ქვეყნის ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების პროგრესული სვლის დონესთან, თუკი სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური განვითარების და დასაქმების პოლიტიკა არ უბიძგებს ამ ტიპის დასაქმების სქემებში ჩართულ ადამიანებს დე-კვალიფიკაციისკენ, ან კვლავ ქვეყნის დატოვებისკენ. ასევე მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღება დაეთმოს ქვეყანაში სოციალურ უსაფრთხოების, შრომის მინიმალურ ანაზღაურების, შრომის პირობების დაცვის, ეფექტიანი დასაქმებისა და სოციალურ სამართლიანობის საკითხებს.

უმეტეს შემთხვევებში, შრომითი მიგრანტები გაუმჯობესებული უნარებითა და ამალეული კვალიფიკაციით (ტრენინგის და საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილების შედეგად მიღებული გამოცდილებით) ბრუნდებიან სამშობლოში და თავად ხდებიან შემოქმედნი საკუთარი ცხოვრების, რაც ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის შესაბამისი ხელშეწყობის რეჟიმში აუცილებლად სარგებლის მომტანი გახდება.

მიუხედავად იმისა, რომ ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარება მნიშვნელოვანი და საჭირო ნაბიჯია, ის ცალმხრივად ვერ შეძლებს გახდეს წარმოშობის ქვეყნისთვის უმუშევრობის პრობლემის მოგვარების და მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გარანტი. გამგზავნი ქვეყნისთვის ცირკულარული მიგრაციის სარგებლიანობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია, დაბრუნებული მიგრანტებისთვის სამუშაო ადგილების შექმნა. მათი პოტენციალის განვითარების შესაძლებლობის მისაცემად, როგორც სახელმწიფოს ისე კერძო სექტორის მხრიდან საჭიროა აქტიური, ქმედითუნარიანი ზომების მიღება და მათი პრაქტიკაში დანერგვა.



## ბიბლიოგრაფია

1. გოსი ანა, ცირკულარული მიგრაციის სქემის სახელმძღვანელო, 2016 წ;
2. Vertovec Steven, “Circular Migration: the way forward in global policy?”, 2007;
3. საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #673 (1997 წლის 17 ნოემბერი)  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/110440?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
4. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის პროდუქტები  
[https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=225&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=225&clang=0) [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
5. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველო და ევროკავშირი  
[https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=17&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=17&clang=0) [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
6. საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა მიგრაციის სფეროში საკვანძო მოვლენების კრებული, 2021 წლის მარტი, [https://migration.commission.ge/files/ge-eu\\_m\\_coop\\_web\\_g.pdf](https://migration.commission.ge/files/ge-eu_m_coop_web_g.pdf) [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
7. გიორგი წულამე, ავთანდილ სულაბერიძე, ნიკა მაღლაფერიძე, გიორგი მამარდაშვილი - საქართველოს დემოგრაფიული განვითარება: გუშინ, დღეს, ხვალ, 2008 წ;
8. ევროკომისიის ანგარიში ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის მეოთხე ანგარიში სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში, 2021, გვ.23-24, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021DC0602&from=EN> [უკანასკნელად გადამოწმდა 03.02.2023];
9. The European Migration Network, Temporary and circular migration: empirical evidence, current policy practice and future options in the EU Member States, 2011;
10. მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2000;
11. მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2001;
12. კვლევების პრეზენტაცია პოლონეთსა და ესტონეთში დროებითი შრომითი მიგრაციის შესახებ - [https://migration.commission.ge/index.php?article\\_id=238&clang=0](https://migration.commission.ge/index.php?article_id=238&clang=0) [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
13. 2016-2017 წლებში IOM საქართველოს „IOM-ის განვითარების ფონდის (IDF)“ მიერ დაფინანსებული საცდელი პროექტის „დროებითი შრომითი მიგრაცია პოლონეთსა და ესტონეთში“ შესახებ - <https://georgia.iom.int/ka/shromiti-mobiluroba-da-adamianis-ganvitareba> [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
14. Public Employment Services Portal, Declarations on entrusting work to a foreigner, 2019, <https://lang-psz.praca.gov.pl/en/dla-bezrobotnych-i-poszukujacych-pracy/dla-cudzoziemcow/oswiadczenia-o-powierzeniu> [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
15. „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“ შეთანხმება, 2013, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4476017?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
16. დიაკონიძე ანა, „ქართული სამუშაო ძალის ევროკავშირის ქვეყნებში ცირკულარული მიგრაციის პოტენციალის კვლევა“, 2018

[https://migration.commission.ge/files/cm\\_potential\\_research\\_final\\_\\_16.11.18\\_.pdf](https://migration.commission.ge/files/cm_potential_research_final__16.11.18_.pdf)  
[უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];

17. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ინფორმაცია საქართველოს მოქალაქის (ორდინალური) პასპორტის მფლობელთათვის საზღვარგარეთ უვიზოდ მიმოსვლის შესახებ  
<https://geoconsul.gov.ge/HtmlPage//html/View?id=992> [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
18. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ, 2019,  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4701239?publication=0> [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
19. საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობისა და ცირკულარული მიგრაციის შესახებ“ შეთანხმება, 2013, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4476017?publication=0>  
[უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023];
20. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების მუშაობისა და ცხოვრების პირობების კვლევის შედეგები, 2022;
21. ბურდული ანა, ცირკულარული შრომითი მიგრაციის როლი უმუშევრობის შემცირებაში: რამდენად ამბიციურები შეიძლება ვიყოთ?, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, 2019, <https://iset-pi.ge/ka/blog/109-tsirkularuli-shromiti-migratsiis-rol-i-umushevrobis-shemtsirebashi> [უკანასკნელად გადამოწმდა 02.02.2023].

## მიგრაციის მიზანები და მისი გავლენა ეკონომიკაზე

თამარ მარბიანი

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი,  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მიგრაცია არის მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც ორაზროვნად მოქმედებს მასპინძელი საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა კომპონენტებსა და ინდივიდუალურ პარამეტრებზე. უფრო მეტიც, ამ ზემოქმედების მიმართულება და ინტენსივობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. იმიგრაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი შედეგების სწორი შეფასება რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ყოვლისმომცველ და დაბალანსებულ ანალიზს. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ იმიგრაცია უზრუნველყოფს მასპინძელ საზოგადოებებს დაკარგული შრომითი რესურსებით და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მათ ეკონომიკურ განვითარებაში. მიგრანტები ხშირად ირჩევენ თავიანთ რეგიონში არსებულ ქვეყანაში ცხოვრებას. თუმცა, საერთაშორისო მიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება დიდ დისტანციებზე, განსაკუთრებით განვითარებადი ბაზრიდან და განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ეკონომიკებამდე.

ადამიანთა მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის შემოსავლის განსხვავება წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის. მდიდარი ქვეყნები იზიდავენ მეტ იმიგრანტს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოსახლეობას ქვეყნებიდან.

არსებობს ეკონომიკაზე იმიგრაციის გავლენის შეფასების სირთულე. ეს არის გავლენა საგადასახადო შემოსავლებზე და მთავრობის დანახარჯებზე. ერთი მხრივ, იმიგრანტები გადასახადებს იხდიან და ამგვარად დანახარჯების დაფარვას ხელს უწყობენ, მეორე მხრივ, ისინი მთავრობას დანახარჯს უზრდიან, რადგან მათი მანქანების გადაადგილებას გზები სჭირდება, მათ ბავშვებს-სკოლები, რომ ისწავლონ და ა. შ. რადგან ბევრი იმიგრანტი მცირე ხელფასზე მუშაობს და, შესაბამისად, მცირე გადასახადს იხდის, ისინი უფრო მეტ დამატებით დანახარჯებს წარმოშობენ, ვიდრე-იხდიან. მიუხედავად აღნიშნულისა საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაცია მოითხოვს ლტოლვილთა მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, რაც მოიცავს ლტოლვილების მასპინძლობის ხარჯების თანადაფინანსებას და განვითარებად ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას.

**საკვანძო სიტყვები:** ომი, შრომითი მიგრაცია, ყოფილი საერთაშორისო სტუდენტები, როგორც შრომითი მიგრანტები, უმუშევრობა, სასოფლო წარმოების სპეციალიზაცია, დაცული სქემები, შემოსავლების ზრდა.

### შესავალი

შრომის ბაზრის მოქნილობა და ეფექტურობა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადი, განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს. სოციალური და

ეკონომიკური შოკები სერიოზულ გავლენას ახდენს დასაქმების პროცესების დინამიკაზე და, შედეგად, ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე. ეკონომიკურმა კრიზისმა და პანდემიამ გაამწვავა დასაქმების საკითხები შრომის ბაზარზე და მიუთითა კომუნიკაციების დიგიტალიზაციის პროცესის გარდაუვალობაზე, მნიშვნელოვნად შეცვალა ორგანიზაციები და ტექნოლოგიები პროფესიულ საქმიანობაში.

მასასადამე მიგრაცია არის მრავალგანზომილებიანი პროცესი, რომელიც ორაზროვნად მოქმედებს მასპინძელი საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა კომპონენტებსა და ინდივიდუალურ პარამეტრებზე. უფრო მეტიც, ამ ზემოქმედების მიმართულება და ინტენსივობა შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში. იმიგრაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი შედეგების სწორი შეფასება რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ყოვლისმომცველ და დაბალანსებულ ანალიზს. ტრადიციულად ითვლებოდა, რომ იმიგრაცია უზრუნველყოფს მასპინძელ საზოგადოებებს დაკარგული შრომითი რესურსებით და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მათ ეკონომიკურ განვითარებაში. მიგრაციული პროცესები მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში და აქვს მულტივექტორული ორიენტაცია, მაგრამ შრომის ბაზარზე ჩამოყალიბდა მკაფიოდ განსაზღვრული ცენტრები, რომლებშიც ძირითადად შრომითი რესურსები მიედინება. მიგრანტები ხშირად ირჩევენ თავიანთ რეგიონში არსებულ ქვეყანაში ცხოვრებას. თუმცა, საერთაშორისო მიგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება დიდ დისტანციებზე, განსაკუთრებით განვითარებადი ბაზრიდან და განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ეკონომიკებამდე.

## 1. მიგრაციის ძირითადი ეკონომიკური მიზეზები

მოცემულ თემაში განვიხილავ მიგრაციის ძირითადად ეკონომიკურ მიზეზებს და მის გავლენას მოწინავე ეკონომიკებზე, ლტოლვილთა იმიგრაციას განვითარებად ქვეყნებში და ყოფილ საერთაშორისო სტუდენტებს, როგორც შრომითი მიგრაციის მნიშვნელოვან წყაროს.

1. განვითარებად ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის მიგრაციას, რომელიც ძირითადად გამოწვეულია ომით, უფრო ლოკალიზებული ფენომენია, რადგან მოსახლეობა უეცრად ტოვებს სახლს, მხოლოდ მწირი საშუალებებით, რათა გადავიდნენ უსაფრთხო ადგილას, ჩვეულებრივ, სამშობლოსთან ახლოს. ამრიგად, ლტოლვილთა მიგრაციის შემთხვევაში, განვითარებადი ბაზრები და განვითარებადი ქვეყნები მათთვის როგორც საწყისი, ასევე მთავარი დანიშნულების პუნქტებია.

რუსეთის აგრესიულმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს, გამოიწვია მასობრივი ფრენა. OECD-ის ქვეყნებმა მყისიერად უპასუხეს უკრაინის მოქალაქეებს და საიმიგრაციო შეღავათები მიანიჭეს, როგორცაა ვიზებისგან გათავისუფლება, ყოფნის გახანგრძლივება ან საიმიგრაციო განაცხადების პრიორიტეტიზაცია. ევროკავშირის საბჭომ პირველად მიიღო დროებითი დაცვის დირექტივა, რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციართა უფლებების კომპლექსს ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში. ევროკავშირის არაწევრმა OECD-ის ქვეყნებმა ასევე მიიღეს, სხვადასხვა ხარისხით, ზომები, რათა ხელი შეუწყონ ომს გაქცეული უკრაინელი ხალხის შესვლას და დარჩენას.

2022 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისთვის ევროკავშირსა და OECD-ის სხვა ქვეყნებში დაფიქსირდა თითქმის 5 მილიონი ინდივიდუალური ლტოლვილი უკრაინიდან, რომელთაგან დაახლოებით 4 მილიონი დარეგისტრირდა დროებითი დაცვის ან მსგავსი ეროვნული დაცვის სქემებზე ევროპაში.



2. ადამიანთა მიგრაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის შემოსავლის განსხვავება წარმოშობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის. ამავდროულად, ძირითადად შრომითი მიგრაცია მიდის ქვეყნებში, რომლებსაც ახასიათებთ ეკონომიკური თავისუფლების უფრო მაღალი დონე, მიმზიდველი ინსტიტუციური გარემო ბიზნესის წარმოებისთვის და დასაქმების შესაძლებლობები ეკონომიკის ფორმალურ სექტორში, რის შედეგადაც მიგრაციული ნაკადები უფრო დიდ გავლენას ახდენს იმ ქვეყნებზე, რომლებშიც მიგრანტების წილი ადგილობრივ მოსახლეობაში 4%-მდეა კერძოდ: მოსახლეობის დასაქმების პროცესებზე, შრომითი მიგრანტების ნაკადების დინამიკის სპეციფიკაზე, მათ ასაკზე და კვალიფიკაციაზე.

მდიდარი ქვეყნები იზიდავენ მეტ იმიგრანტს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოსახლეობას ქვეყნებიდან. შრომითი მიგრანტების უმრავლესობას არ აქვთ სტაბილური სამუშაო თავიანთ ქვეყნებში. ასევე ერთ სულ მოსახლეზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს აქვთ ემიგრაციის მაღალი დონე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან ძალიან ღარიბი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი ადამიანები სიღარიბეში არიან ჩარჩენილი, რადგან მათ არ გააჩნიათ მიგრაციასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის შესაძლებლობა. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მიგრაციის ხარჯები მოიცავს გეოგრაფიულ და ენობრივ ბარიერებს, რომლებიც ერთად განაპირობებს მიგრაციის ნაკადების ცვალებადობას.

შრომის მობილობის ნამდვილი გმირული ეპოქა მე-19 საუკუნის ბოლო და ადრეული მე-20 საუკუნის დასაწყისი იყო. ამ პერიოდში იმიგრაცია ზოგიერთ ქვეყანაში მოსახლეობის გაზრდის ძირითადი წყარო გახდა, ხოლო ემიგრაციამ სხვა ქვეყნებში მოსახლეობის შემცირება გამოიწვია. გლობალურ ეკონომიკაში, რომელიც ინტეგრირებული იყო რკინიგზით, გემებით, ტელეგრაფის კაბელებით, მიგრაციის ლეგალური შეზღუდვა არ არსებობდა, ათობით მილიონი ადამიანი უკეთესი ცხოვრების ძიებაში დიდი მანძილზე გადაადგილდებოდა. ჩინელები სამხრეთ აზიასა და კალიფორნიაში გადავიდნენ, ინდოელები - აფრიკაში და კარიბის აუზის ქვეყნებში; იაპონელები - ბრაზილიაში. თუმცა ყველაზე დიდი მიგრაცია იყო ევროპის პერიფერიებიდან. სკანდინავიიდან, ირლანდიიდან, იტალიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ადამიანები ჭარბმინიანი და მაღალხელფასიანი ქვეყნებისკენ მიიწევდნენ: აშშ-ში, კანადაში, არგენტინასა და ავსტრალიაში.

მიგრაციის არარსებობის შემთხვევაში, ქვეყნებს შორის ხელფასების განსხვავება ტექნოლოგიის ან შრომასთან დაკავშირებული მიწის რესურსის სხვადასხვაობით შეიძლება იყოს გამოწვეული. თუ მუშახელი სამამულო ქვეყნიდან უცხო ქვეყანაში გადავლენ. ეს მოძრაობა სამამულო ქვეყნის სამუშაო ძალას შეამცირეს და შედეგად ხელფასებს გაზრდის ამ ქვეყანაში, იმავედროულად უცხო ქვეყანაში სამუშაო ძალა გაიზრდება და ხელფასები შემცირდება. თუ მუშახელის მოძრაობას დაბრკოლებები არ შეექმნება, ეს პროცესი გაგრძელდება, ვიდრე ხელფასები არ გათანაბრდება.

მნიშვნელოვანია გამოვყოთ სამი საკითხი, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოს მილიონობით მოსახლის სამუშაო ძალის ასეთ გადანაწილებას:

1. ეს ხელფასის რეალური განაკვეთების დაახლოებას იწვევს. სამამულო ქვეყანაში ხელფასები მოიმატებს და უცხო ქვეყანაში შემცირდება;
2. ის მთლიანობაში მსოფლიო გამოშვებას ზრდის;
3. ცვლილებები ზოგ ადამიანს დააზარალებს. ისინი ვინც თავიდანვე სამამულო ქვეყანაში მუშაობდნენ, უფრო მაღალ ხელფასებს მიიღებენ, ხოლო ვინც თავიდანვე უცხო ქვეყანაშია დასაქმებულნი მიიღებენ უფრო დაბალ ანაზღაურებას. მიწის მფლობელები



უცხო ქვეყანაში ისარგებლებენ გაზრდილი სამუშაო ძალით, ხოლო სამამულო ქვეყანაში დაზარალებიან.

სწორედ აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ხელფასების დაახლოება.

*ცხრილი გვიჩვენებს რეალურ ხელფასებს 1870 წელს და მათ ცვლილებას პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე.<sup>1</sup>*

	რეალური ხელფასები 1870 (აშშ=100)	რეალური ხელფასების ზრდა %-ლი წილი, 1870-1913
<b>ქვეყნები სადაც გადავიდნენ</b>		
არგენტინა	53	51
ავსტრალია	110	1
კანადა	86	121
აშშ	100	47
<b>ქვეყნები საიდანაც გადავიდნენ</b>		
ირლანდია	43	84
იტალია	23	112
ნორვეგია	24	193
შვედეთი	24	250

ამ ცხრილით ირკვევა, რომ პერიოდის დასაწყისში რეალური ხელფასები უფრო მაღალი იყო მიმღებ ქვეყნებში, ვიდრე სამამულოში. შემდგომი ოთხი ათწლეულის მანძილზე რეალურმა ხელფასებმა ყველა ქვეყანაში მოიმატა, მაგრამ ისინი უფრო სწრაფად სამამულო ქვეყანებში გაიზარდა, ვიდრე მიმღებში. ეს ნიშნავს რომ მიგრაციამ მსოფლიოს ხელფასების გათანაბრება გამოიწვია.

აშშ-ის მოსახლეობაში იმიგრანტების წილი ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ძალიან იცვლება. მე-20 საუკუნის დასაწყისში, საზღვარგარეთ დაბადებული აშშ-ის მოქალაქეების რაოდენობა ძალზედ გაიზარდა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპიდან დიდი მიგრაციის გამო. მკაცრმა შეზღუდვებმა, რომელიც 1920 წელს შემოიღეს, ამ ხანას ბოლო მოუღო. 1960-იანი წლებისათვის იმიგრანტები ამერიკისთვის მცირე ფაქტორი იყო. იმიგრაციის ახალი ტალღა 1970-იან წლებში დაიწყო. ამჯერად, უმრავლესობა ლათინო-ამერიკული ქვეყნებიდან და აზიიდან მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ იმიგრანტების წილი სტაბილურად იზრდება, ის მაინც იმ დონეზე დაბალია, ვიდრე იმიგრაციის პირველი ტალღის დროს იყო. იმიგრაციის ახალი ტალღის შედეგი სამუშაო ძალა გაიზარდა. მაგალითად თუ განვიხილავთ აშშ-ს, 2014 წლისათვის უცხოეთში დაბადებულმა მუშახელმა აშშ-ის სამუშაო ძალის 16.7% შეადგინეს.

ამას დაერთო ის ფაქტიც, რომ MERCOSUR, რომელიც უმსხვილესი დაჯგუფებაა სამხრეთ ამერიკაში (არგენტინა, ბრაზილია, პარაგვაი და ურუგვაი, ხოლო ასოცირებული წევრების სახით — ჩილე და ბოლივია). შრომით ურთიერთობებში, ასუნსონის შეთანხმების თანახმად, ამოქმედდა პრინციპი სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილების შესახებ MERCOSUR -ის ქვეყნებში და ამგვარად შეიქმნა 210 მლნ-ზე მეტი ადამიანური რესურსის ტევადობის შრომის ბაზარი. რეგიონის ყველა ქვეყანა დადგა ისეთი პრობლემის წინაშე, როგორცაა: უმუშევრობა, სამუშაო ძალის გაიაფება და „სოციალური დემპინგი“. MERCOSUR -ში გაერთიანებულნი სახელმწიფოები განსხვავდებიან არა მარტო ეკონომიკური განვითარებით, არამედ ტრადიციით, კულტურით, დემოგრაფიით და

<sup>1</sup>Jeffrey G. Williamson, The Evolution of Global Labor Markets Since 1930.

მოსახლეობის განათლების დონით, რაც რა თქმა უნდა, ზეგავლენას ახდენს ახალ შრომის ბაზარზე.

სამუშაო ძალის მოძრაობა სხვადასხვა ქვეყნების შრომით ბაზრებს შორის ეფუძნება ეროვნული ეკონომიკის პოტენციალის განსხვავებას და დამოკიდებულია რეგიონების მიგრაციულ შესაძლებლობაზე. მიგრაციის შესაძლებლობა კი უნდა განვიხილოთ, როგორც მიგრაციის რესურსების ხელმისაწვდომობა, რომელიც მდებარეობს დონორ ქვეყნებში და პოტენციურად მიმართულია მიგრაციის მიმღებ ქვეყანაში. მიგრაციული შესაძლებლობა დამოკიდებულია არა მხოლოდ დონორი ქვეყნების შესაძლებლობებზე, არამედ მიმზიდველი ქვეყნისთვის მიგრანტების საჭირო მასშტაბზე და სასურველ სტრუქტურაზე, აგრეთვე მათი მიღების მისაღებ პირობებზე. შრომითი რესურსების იმპორტის შედეგად ემიგრანტები ზრდიან გამომუშავებას და პროდუქტიულობას როგორც მოკლე, ისე საშუალო ვადიან პერიოდში. მიმღები ქვეყანა იღებს იაფ მუშახელს და მზა სპეციალისტებს, შედეგად ეკონომიკური ზრდა ჩქარდება და სახელმწიფო ბიუჯეტის დადებითი დინამიკაც. განვითარებულ ეკონომიკებში იმიგრაციის ერთი პროცენტით ზრდა მთლიან დასაქმებაში, მეხუთე წლისთვის ზრდის გამომუშავებას თითქმის ერთი პროცენტით. ეს იმიტომ ხდება, რომ ადგილობრივ მუშაკებსა და ემიგრანტებს შრომის ბაზარზე შემოაქვს სხვადასხვა უნარები, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და ზრდის პროდუქტიულობას. გარდა ამისა, იმიგრაციით გამოწვეული პროდუქტიულობის მცირე ზრდაც კი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის საშუალო შემოსავლის ზრდას. ამავდროულად, ტერიტორიაზე არამკვიდრი მოსახლეობის გაზრდილი კონცენტრაცია უარყოფითად აისახება მასპინძელ ქვეყნებში სოციალურ და არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებზე.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეკონომისტების შეფასებების მიხედვით, აშშ-ის ხელფასები 3%-ით უფრო დაბალია, ვიდრე იმიგრაციის არარსებობის შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო. თუმცა საშუალო ხელფასების შედარება შეიძლება არასწორიც იყოს, რადგან. აშშ-ის მთლიან მოსახლეობასთან შედარებით, იმიგრანტებს ძალიან განსხვავებული განათლება აქვთ. უცხოეთში დაბადებული მუშახელი კონცენტრირებულია ყველაზე დაბალი განათლების ჯგუფებში. მაგ 2016 წელს აშშ-ში იმიგრანტი სამუშაო ძალის 28%-ს არ ჰქონდა სრული სასკოლო განათლება ან მისი ექვივალენტი; მაშინ როცა შშ-ის ადგილობრივ მუშახელის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 6%-ია. შესაბამისად სხვადასხვა დონის განათლების მქონე მუშახელი წარმოებისათვის სხვადასხვა დანახარჯია და მარტივად ერთმანეთს ვერ შეენაცვლებიან. თუმცა სხვა შეფასებების მიხედვით, რეალურად, იმიგრაციამ ადგილობრივი უმრავლესობის ხელფასები გაზარდა. იმიგრაციის ნეგატიური შედეგი ნაკლებად განათლებული ამერიკელების ხელფასებზე აისახა. თუმცა ეკონომისტები ბევრს კამათობენ თუ რამდენად დიდია ეს ნეგატიური შედეგები. შეფასებები ძირითადად 8 და ნაკლებ პროცენტს შორის მერყეობს. თუმცა აშშ-ს მთლიანი სამამულო პროდუქტი იმიგრაციამ აშკარად გაზარდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, განვითარებად ქვეყნებში ლტოლვილთა იმიგრაციის შემთხვევაში, პროდუქტიულობის ზრდის ასეთი დადებითი გავლენა არ არსებობს. ეს გამოწვეულია იმ სირთულეებით, რომლებსაც ეს მიგრანტები განიცდიან ადგილობრივ შრომის ბაზრებზე ინტეგრაციისას.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბოლო 60 წლის განმავლობაში, მიგრანტების წილი მსოფლიოს მოსახლეობაში დაახლოებით 3 პროცენტია. 1990 წლიდან დღემდე მიგრანტების რაოდენობა 120 მილიონზე მეტით არის გაზრდილი. 2019 წელს მსოფლიოში 270 მილიონი მიგრანტი იყო, 2020 წელს COVID-19 კრიზისის გამო მიგრაციული ნაკადები დროებით მოულოდნელად შეჩერდა. პანდემიით გამოწვეულმა ძალდატანებით შეწყვეტილმა სოციალურმა ურთიერთობებმა და მისგან გამოწვეულმა დეფორმაციებმა

ადამიანთა შორის ურთიერთობის მთელ სისტემაზე დატოვა კვალი. კერძოდ შემცირებულმა იმიგრაციამ და მაღალმა უმუშევრობის დონემ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ღარიბ ქვეყნებზე, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებულნი მიგრანტი მუშაკების მიერ სახლში გაგზავნილ ფულად გზავნილებზე. მიგრაცია თავისუფალ მობილურ ადგილებში პანდემიამ ნაკლებად დაზარალდა, მაგრამ მაინც დაეცა 17%-ით 2020 წელს.

მიგრაციის რეკორდული შემცირების შემდეგ, 2021 წელს OECD-ის ქვეყნებში მუდმივი ტიპის მიგრაცია 22%-ით დაბრუნდა ანუ მიიღეს 4,8 მილიონი ახალი მუდმივი ტიპის ემიგრანტი, მაგრამ მაინც ნახევარ მილიონზე ნაკლებია ვიდრე 2019 წელს იყო. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი მონაცემების მიხედვით მუდმივი მიგრაციის ნაკადების ზრდა გაგრძელდა 2022 წელსაც. 2021 წელს OECD-ის ქვეყნებში შემოდინების უდიდეს კატეგორიად დარჩა ოჯახური მიგრაცია - 40%-ით, შრომითი მიგრაცია - 45%-ით და თავშესაფრის ახალი განაცხადების რაოდენობა 28%-ით, რაც 1 მილიონს აჭარბებს. ძირითადი წარმოშობის ქვეყნები იყო ნიკარაგუა, ავღანეთი და სირია.

შეერთებული შტატები დარჩა მუდმივი ემიგრანტების ყველაზე დიდ მიმღებად 2021 წელს (834 000), 43%-ით მეტი, ვიდრე 2020 წელს და 19%-ით ნაკლები, ვიდრე 2019 წელს. ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მომდევნო 30 წლის განმავლობაში მოსახლეობა მიგრაციული ზეწოლა გაგრძელდება და გაიზრდება.

3. ყოფილი საერთაშორისო სტუდენტები ბევრ ქვეყანაში შრომითი მიგრაციის მნიშვნელოვანი წყაროა. სწავლის პერიოდში, ყოველი მესამე და მეოთხე საერთაშორისო სტუდენტი მუშაობს ევროკავშირში, გაერთიანებულ სამეფოსა და შეერთებულ შტატებში, დაახლოებით ყოველი მეორე ავსტრალიაში და ათიდან ცხრა იაპონიაში.

2020 წელს OECD-ში 4.4 მილიონი საერთაშორისო სტუდენტი იყო ჩარიცხული, რაც საშუალოდ შეადგენს ყველა უმაღლესი სასწავლებლის 10%-ს. ყველაზე მნიშვნელოვანი მიმღები ქვეყნებია შეერთებული შტატები (22%), გაერთიანებული სამეფო (13%) და ავსტრალია (10%). მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტუდენტების მიმართულებები დივერსიფიცირებული იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მთავარი წარმოშობის ქვეყნები რჩებიან ჩინეთი და ინდოეთი.

გასული ათწლეულის განმავლობაში OECD-ის თითქმის ყველა ქვეყანა ახორციელებდა ფართო პოლიტიკას, რათა შეენარჩუნებინათ საერთაშორისო სტუდენტები სწავლის დასრულების შემდეგ, მაგრამ საერთაშორისო სტუდენტების შენარჩუნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. პირველადი მიღებიდან ხუთი წლის შემდეგ, საერთაშორისო სტუდენტების 60%-ზე მეტი, რომლებმაც მიიღეს სწავლის მიზნით 2015 წელს კანადასა და გერმანიაში, ჯერ კიდევ იმყოფებიან დაახლოებით ნახევარი ავსტრალიაში, ესტონეთსა და ახალ ზელანდიაში ასევე საფრანგეთსა და იაპონიაში. დარჩენილი სტუდენტების (15%-ზე ნაკლები) დანიაში, სლოვენიაში, იტალიასა და ნორვეგიაში.

სწავლის ნებართვებიდან სამუშაოზე მიმღებთა გადასვლამ შეადგინა 2019 წელს, საფრანგეთში (52%), იტალიაში (46%) და იაპონიაში (37%). შეერთებულ შტატებში (57%)-ს. საერთაშორისო სტუდენტებს, რომლებიც სწავლის შემდგომ რჩებიან მასპინძელ ქვეყანაში, აქვთ გრძელვადიანი დასაქმების მაჩვენებლები კვალიფიკაციიდან გამომდინარე, რომლებიც ბევრად აღემატება შრომით მიგრანტების მაჩვენებელს.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტური მიგრაცია შეიძლება იყოს დიდი სარგებელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. კარიბჭის როლის დელეგირება და

ეკონომიკური მიგრაციის მზარდი წილი, რომელსაც ყოფილი სტუდენტები შეადგენენ, კვლავ შეიცავს უამრავ რისკს, მათ შორის მიგრაციის რეგულირების დამახინჯებას და შრომის ბაზრის რეგულაციების შელახვას.

OECD-ის ქვეყნებში, 2020 სასწავლო წელს საერთაშორისო სტუდენტები შეადგენდნენ ბაკალავრის საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტთა 5%-ს, მაგისტრატურაში 14%-ს და დოქტორანტურის 24%-ს<sup>2</sup>. 2020 წელს OECD-ის ქვეყნებში საერთაშორისო სტუდენტების 29% დარჩა იმავე წარმოშობის გეოგრაფიულ რეგიონში. მთლიანობაში, OECD-ში, საერთაშორისო სტუდენტების პირდაპირი ექსპორტის შემოსავალი ნომინალური თვალსაზრისით გაიზარდა 50 მილიარდი ევროდან 110 მილიარდ ევრომდე 2010- 2019 წწ-ში.

## 2. ეკონომიკაზე მიგრაციის გავლენის შეფასება და საქართველოს პოლიტიკა

არსებობს ეკონომიკაზე იმიგრაციის გავლენის შეფასების სირთულე. თუმცა, მისი ერთი შეხედვით უდაოდ დადებითი ეკონომიკური ეფექტი სულ უფრო და უფრო კლებულობს ახლა, როდესაც იმიგრაციის უარყოფითი სოციალურ-პოლიტიკური შედეგები აშკარად ჩანს იმ ქვეყნებისა და რეგიონებისთვის, სადაც მიგრანტები ჩადიან და რაც დიდწილად გამომდინარეობს მისივე მახასიათებლებიდან და ნათლად ვლინდება:

- ტერორიზმის გაზრდილი საფრთხე;
- ეროვნული იდენტობის ეროზია და რასიზმი;
- ეთნიკური კონფლიქტების ზრდა და პოლიტიკური ექსტრემიზმი;
- მიგრანტ მუშაკებსა და მეწარმეებს შორის ექსპლუატაციის გაზრდა, რაც გამოიხატება ხელფასების შემცირებაში;
- ეროვნული ვალუტის გადინებაში ექსპორტის სახით ან მიგრანტების მიერ თანხების გადარიცხვის სახით;
- დამატებითი პრობლემების გაჩენა, რომლებიც დაკავშირებულია ემიგრანტების სოციალური დაცვასთან, დანაშაულის დონის მატებასთან;
- ჩრდილოვანი ეკონომიკის სექტორის ზრდა მიგრანტების ოფიციალური დასაქმების შესაძლებლობის არარსებობის პირობებში;
- გაწვრთნილი იაფი იმიგრანტი სპეციალისტების დაკარგვა სამშობლოში დაბრუნებისთანავე;
- ძირძველ მოსახლეობაში ხელფასების შემცირება (იქ სადაც ადგილობრივი მუშები კონკურენციას უწევენ ემიგრანტებს);
- სოციალური ხარჯების ზრდაში;
- ეკონომიკური ზრდის შენელება და ა. შ.

მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ემიგრაციის და იმიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან, ისე ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან. საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია, ძირითადი მიზეზი, ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაცია და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებები იყო განპირობებული. თუმცა მოგვიანებით ემიგრაციული ნაკადების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ეკონომიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა კერძოდ:

<sup>2</sup> Migration flows bounced back in 2021. <https://www.oecd-ilibrary.org/sites/30fe16d2-en/index.html?itemId=/content/publication/30fe16d2-en> [უ. გ. 1.03.2023].



- სოფლად არსებულმა უმუშევრობამ გამოიწვია სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მასობრივი მიგრაცია, აგრეთვე საზღვარგარეთ მათი ემიგრაცია. პრობლემას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ სოფლის მოსახლეობაში ყოველწლიურად მცირდება მოზარდების (16 წლამდე) წილი და იზრდება ხანდაზმულთა (60 წელს გადაცილებული) ხვედრითი წილი, რის გამოც სოფლების აბსოლუტურ უმეტესობაში ბუნებრივი ზრდის მაჩვენებელი ნულს ქვემოთაა;
- ცხოვრების დონის მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა განსხვავებებმა,
- მიგრანტების სურვილებმა გაიუმჯობესონ თავიანთი ოჯახების ცხოვრების დონე ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლით ან ფულის საშოვნელად საზღვარგარეთ გამგზავრებით;
- ემიგრანტთა ქსელები საზღვარგარეთ;
- განვითარებულ ქვეყნებში განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობები.

შედეგად მიგრაციული პროცესებმა ჩვენს ქვეყანაში გამოიწვიეს სოციალური გარდაქმნები, კერძოდ ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია მოსახლეობის ბუნებრივი კლების და „ტვინების გადინების“ ეფექტი.

შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურობა ვლინდება უმუშევრობის დონის განსაზღვრით, რაც ახასიათებს შრომითი რესურსების სწორად გამოყენების ხარისხს. მართალია უმუშევრობა საქართველოს მაგალითზე ბოლო 10 წლის განმავლობაში 6.6%-ით შემცირდა (2010-2021წწ. მაჩვენებლების მიხედვით) და 2021 წლის მონაცემების მიხედვით 20.6%-ია, მაინც მსოფლიოს უმუშევრობის ამავე წლის მაჩვენებელთან (6.18%) შედარებით 3 ჯერ მეტია. ამასთან შემოსავლების დაბალი დონის პრობლემა აწუხებს დასაქმებულთა ყველა კატეგორიას. ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ცალკეულ სფეროებში მართალია გაუმჯობესდა, მაგრამ მისი სიდიდე აბსოლუტურ ციფრებში კვლავ დაბალია 1 360 ლარია<sup>3</sup>, მაშინ როდესაც ევროპაში ეს მაჩვენებელი 2 570 ევროა<sup>4</sup>, აშშ-ში- 4 176\$-ია<sup>5</sup>. ამასთან, პანდემიის პირობებში 2019-2021წწ. უმუშევრობა კვლავ გაიზარდა 3%-ით, რაც იწვევს შრომით იმიგრაციის პროცესს, რის შედეგადაც მივიღეთ მოსახლეობის კვლავწარმოების ისეთი ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობის დაბალი დონე, სიკვდილიანობის ზრდა და მიგრაციის უარყოფითი სალდო<sup>6</sup> 2021წ.- (- 25 966) კაცი და ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდაც, რაც 133.2% -ით (2022წ- 535, 3 მლნ აშშ დოლარი) მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით<sup>7</sup> და იგი ემიგრანტთა ოჯახების დიდი ნაწილისთვის მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენს. ამავდროულად ფულად გზავნილებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაშიც დიდი წვლილი შეაქვს, რადგანაც იგი უმეტესწილად ჯანდაცვასა და განათლებას ხმარდება.

<sup>3</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi> [უ. გ. 1.03.2023].

<sup>4</sup> Average Monthly Salary in European Union 2022 <https://www.reinisfischer.com/average-monthly-salary-european-union-2022> [უ. გ. 1.03.2023].

<sup>5</sup> America: Rankings by Country of Average Monthly Net Salary (After Tax) (Salaries And Financing) [https://www.numbeo.com/cost-of-living/country\\_price\\_rankings?displayCurrency=USD&itemId=105&region=019](https://www.numbeo.com/cost-of-living/country_price_rankings?displayCurrency=USD&itemId=105&region=019) [უ. გ. 1.03.2023].

<sup>6</sup> მიგრაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia> [უ. გ. 1.03.2023].

<sup>7</sup> ფულადი გზავნილები, საქართველოს ეროვნული ბანკი

<https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98> [უ. გ. 1.03.2023].



საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2022წ. 1 იანვრის მონაცემებით 3 688 6 კაცია და აქედან 99 974 ემიგრანტია რაც წინა წელთან შედარებით 34.6%-ით მეტია და მათი 88.6% შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენს.

*საქართველოს ემიგრანტების განაწილება ამჟამინდელი საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით*

ამჟამინდელი საცხოვრებელი ქვეყანა	სულ
რუსეთი	19 195
საბერძნეთი	14 048
თურქეთი	9 922
იტალია	9 612
გერმანია	6 259
აშშ	5 021
სულ	99 974

საქართველო როდესაც ზემოთ აღნიშნულ დემოგრაფიულ კრიზისს განიცდის, არის იაფი შრომითი მიგრაციის რესურსების მიმწოდებელი, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის.

ამასთან წლიდან წლამდე იზრდება იმპორტირებული პროდუქციის წილი ქვეყანაში მოხმარებული სასურსათო კალათის მოცულობაში, რაც არსებითად აფერხებს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას და შრომითი მიგრაციის შეჩერებას.

შესაბამისად მიგრაციის ეფექტიანი მართვა საქართველოს პოლიტიკისთვის დემოგრაფიული და უმუშევრობის პრობლემების მოგვარების ორერთიანი ფორმულაა, იგი ასევე წარმოადგენს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. რადგანაც შრომის ბაზარი, სოციალური სისტემის განუყოფელი ნაწილი და ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ ბაზრის ეფექტურობაზე და ბალანსზე დამოკიდებული კონკრეტული ტერიტორიის ეკონომიკური ზრდა. ა. გ. შრომის ბაზარზე კომპლექსურად მოქმედებს, როგორც ხელისუფლების ასევე სოციალურ-ეკონომიკური მარეგულირებელი ღონისძიებები. შრომის ბაზრის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია შრომის მოთხოვნაზე და შრომის მიწოდებაზე. ხოლო შრომის ბაზრის ფუნქციონირების პროცესში ამ ფაქტორებს შორის დროებითი წონასწორობის გამო, იქმნება ურთიერთდამოკიდებული წონასწორობა დასაქმების დონესა და ხელფასების დონეს შორის. ამ პირობებში შრომის მიწოდება პირდაპირპროპორციულია ხელფასის დონისა.

სწორედ ამიტომ, მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვა და მართვა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროს 1997 წელს დაიწყო, როდესაც შეიქმნა პირველი დოკუმენტი „საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციის შესახებ“. შემდგომში საქართველოსთვის სტრატეგიულ დოკუმენტად იქცა 2013-2015 და 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიები<sup>8</sup>, რომლიც დაგროვილ გამოცდილებაზე და იმჟამინდელი რეალობის გათვალისწინებით (საუბარია ასოცირების შეთანხმებაზე და ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაზე) შემუშავდა. თუმცა არსებული

<sup>8</sup>საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია [https://migration.commission.ge/files/migration\\_strategy\\_2016-2020\\_geo\\_final\\_-\\_amended.pdf](https://migration.commission.ge/files/migration_strategy_2016-2020_geo_final_-_amended.pdf) [უ. გ. 1.03.2023].

მარეგულირებელი ჩარჩო არასაკმარისი აღმოჩნდა, რადგან მიგრანტების დიდი ნაწილის რეგისტრაცია ვერ ხერხდებოდა და აღრიცხვა შეუძლებელი იყო. მართალია, რომ ახალი კანონები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მათ ვერ გადაჭრეს მთელი რიგი პრობლემები, როგორც იყო მასიურ არალეგალური მიგრაცია და სამუშაო ნებართვის მიღება.

მიუხედავად ამისა ჩვენი მთავრობა არ არის პოლიტიკური მოვლენების პასიური დამკვირვებელი გლობალურ და ადგილობრივ მიგრაციის სფეროში მომხდარი ძვრების და მათთან დაკავშირებული ცვლილებების. შედეგად შეიმუშავდა 2021-2030 წწ. საქართველოს მიგრაციის სტრატეგია<sup>9</sup>, რომლის მიზანს წარმოადგენს – განსაზღვროს სფეროში ქვეყნის კონკრეტული ინტერესები, მთავრობის მათ „მიგრაციის და განვითარების“ პოლიტიკა და წარმატებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან კორელაციის გზით განავითაროს საკუთარი სისტემა, რათა უპასუხოს თანამედროვე საზოგადოებრიობის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

### 3. შრომის ბაზრის ფორმირების სირთულეები და გადაჭრის გზები

შრომის ბაზრის განხილვისას და მასზე შრომითი მიგრაციის გავლენის შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური თეორიის დებულებები არ იძლევა პოტენციური მიგრანტებისა და დამსაქმებლების ურთიერთქმედების აღწერის საშუალებას, რადგან ეს მიდგომა არ ითვალისწინებს რეგულაციებს მიგრანტების ქცევა გადაადგილებისას.

ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლების მიერ შემუშავებულ ზღვრული პროდუქტიულობის თეორიის თანახმად, რომელშიც საქონლის ღირებულება განისაზღვრება მათი ზღვრული სარგებლიანობით, ინდივიდის საჭიროებების სუბიექტური შეფასებების საფუძველზე. ამ დებულებებით, სამთავრობო რეგულირება არ არის აუცილებელი ინსტრუმენტი სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, დებულება ბაზრის საჭიროებებზე ხელფასების მოქნილი რეაგირების შესახებ, მიწოდებისა და მოთხოვნის მიხედვით, შესაძლებელს ხდის გავითვალისწინოთ მოსახლეობის მიგრაციის დინამიკის გავლენა შრომის ბაზრის განვითარებაზე. ნეოკლასიკური სკოლის მომხრეები ვარაუდობდნენ, რომ ხელფასების ზომა შრომის ბაზრის მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი მარეგულირებელია და რომ ხელფასის დონის ზრდა იწვევს დასაქმების დონის შემცირებას, ე. ი. იზრდება უმუშევრობა, რადგან მაღალი ხელფასები იწვევს წარმოების უფრო მაღალ ხარჯებს და სამუშაო ადგილების შემცირებას. ასევე აღინიშნა, რომ წარმოების ხარჯების კლებასთან ერთად ხდება პროდუქტის ფასის კლებას და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ზრდა. შედეგად, იქმნება დამატებითი მოთხოვნა, რაც ხელს უწყობს წარმოების გაფართოებას და დასაქმებას.

ეკონომისტების ნაწილი პატარა ქვეყნების, მცირე მასშტაბიანობის პრობლემის გადაწყვეტას, ვიწრო სპექტრის საქონლის წარმოებასა და ექსპორტში სპეციალიზაციაში ხედავს და დანარჩენი საქონლის იმპორტს გთავაზობს. მეორეს მხრივ კი ქვეყნის იმპორტშემცველი ინდუსტრიალიზაციის სტრატეგია ასეთ არჩევანს ეწინააღმდეგება, რადგან კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ამ სტრატეგიამ სხვა ისეთ პრობლემებს წარმოშვებს, როგორცაა ზემოთ აღნიშნული (მიგრაცია, განსხვავება შემოსავლებში, უმუშევრობა და ა. შ.).

პრობლემის გადასაჭრელად გთავაზობთ საქართველოში განსაზღვროთ ცალკეული სოფლებისათვის მცენარეთა გავრცელების საუკეთესო არეალი, მეცხოველეობის ორგანიზების უმჯობესი ბუნებრივი პირობები და მათი გათვალისწინებით მოვახდინოთ

<sup>9</sup>საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია [https://migration.commission.ge/files/ms30\\_geo\\_web4.pdf](https://migration.commission.ge/files/ms30_geo_web4.pdf) [უ. გ. 1.03.2023].

სასოფლო წარმოების სწორი სპეციალიზაცია და ფერმერული მეურნეობის რაციონალური ზომების ფორმირება სპეციალური სტრუქტურების (სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტროები) დახმარებით, რათა შევძლოთ სახელმწიფოს მიერ დაცული სქემების შემოღება და სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული სასოფლო-სამეურნეო კულტურების განსზღვრა. რაც გამოიწვევს შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავლების ზრდას. შედეგად უდავოდ შემცირდება მიგრაციულ ზეწოლა.

მართალია მიგრაციაზე ასევე გავლენას ახდენს სხვა ალტერნატიული ფაქტორებიც. მაგალითად, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს შიდა და რეგიონული მიგრაციის მნიშვნელოვანი ზრდა განვითარებად ქვეყნებში. თუმცა მისი გავლენა განვითარებულ ეკონომიკაზე რა თქმა უნდა ნაკლებად მკაფიოა, რადგან ბევრ ღარიბ ქვეყანაში დაბალ შემოსავალმა შეიძლება მეტი ადამიანი შეინარჩუნოს მათი წარმოშობის რეგიონში.

იმისათვის რომ საქართველოში შეიქმნას და განვითარდეს შრომის ბაზარი აუცილებელია, როგორც მიგრაციის პოლიტიკის წარმოება, რაც თემაში განვიხილეთ ასევე კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოზიდვა და დასაქმება, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ფორმირება, რათა მაქსიმალურად გავზარდოთ შემომავალები იმ რესურსების გამოყენებით რაც ჩვენს ქვეყანად ბუნებრივ-კლიმატურ-გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით გააჩნია.

შრომის ბაზრის განვითარება შეამცირებს მიგრაციული ნაკადებს თუ მოხდება პოტენციურ მიგრანტებთან პროგრამების შემუშავება, მათი განათლების, კვალიფიკაციის დონის, ენის ცოდნისა და პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი მაღალი ხარისხის შრომითი რესურსების მოზიდვა.

მიმდინარე მიგრაციული პროცესების ოპტიმიზაცია შრომის ბაზარზე, განვითარების პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავება საფუძველ მისცემს საქართველოს მოხდინოს:

- უმუშევრობის შემცირების და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ღონისძიებები;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიგრაციის დინამიკის კონტროლი;
- შრომითი მიგრაციის მართვა სოციალურ-ეკონომიკური რისკების, გაურკვევლობის და კრიზისული პირობების დროს;
- დაბრუნებული შრომის შენარჩუნება-დასაქმება;
- კვალიფიციური სპეციალისტების მიგრაციის შემცირება, რომელნიც ჩართული არიან უცხოურ სამეცნიერო ორგანიზაციებში, რათა განვახორციელოთ პერსპექტიულ ერთობლივ პროექტები.
- უცხოელი მეცნიერების მოზიდვა სამეცნიერო პროექტებზე სამუშაოდ.

## დასკვნა

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციას ერთის მხრივ სარგებელი მოაქვს მასპინძელ ქვეყნებს და აძლევს მიგრანტებს უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობებს. მაგრამ, მას ასევე შეუძლია შექმნას პრობლემები საგადასახადო შემოსავლის და მთავრობის დანახარჯების განაწილების სფეროში, რადგან ბაზრის გარკვეულ სეგმენტებში ადგილობრივმა მუშაკებმა შეიძლება განიცადონ ეკონომიკური ზარალი, დროებით მაინც. ამიტომ, საგადასახადო და შრომის ბაზრის პოლიტიკა უნდა იქნას გამოყენებული შემოსავლების მხარდასაჭერად და ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადებისთვის, რომლებიც შრომის ბაზრის სირთულეებს აწყდებიან. ასევე ერთი მხრივ, იმიგრანტები გადასახადებს იხდიან და

ამგვარად დანახარჯების დაფარვას ხელს უწყობენ, მეორე მხრივ, ისინი მთავრობას დანახარჯს უზრდიან, რადგან მათი მანქანების გადაადგილებას გზები სჭირდება, მათ ბავშვებს-სკოლები, რომ ისწავლონ და ა. შ. რადგან ბევრი იმიგრანტი მცირე ხელფასზე მუშაობს და, შესაბამისად, მცირე გადასახადს იხდის, ისინი უფრო მეტ დამატებით დანახარჯებს წარმოშობენ, ვიდრე-იხდიან.

მიუხედავად აღნიშნულისა საერთაშორისო პოლიტიკის კოორდინაცია მოითხოვს ლტოლვილთა მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, რაც მოიცავს ლტოლვილების მასპინძლობის ხარჯების თანადაფინანსებას და განვითარებად ბაზრებსა და განვითარებად ქვეყნებში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას, როგორცაა ენის სწავლება და პროფესიული წოდებების ხელშეწყობას, რათა დაეხმაროს მასპინძელ ქვეყნებში იმიგრანტს კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მიღწევაში.

და ბოლოს, დიდ მნიშვნელობას იძენს მომავალი მიგრაციული ნაკადების ანალიზისთვის, წარმოშობის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მოსახლეობის მობილურობა გაიზრდება მოცულობით, უფრო და უფრო მრავალფეროვანი გახდება მათი სოციალური და კულტურული მახასიათებლები. რადგანაც მიგრაციული პროცესები არის ეროვნული ეკონომიკების გლობალურ ურთიერთობებში შესვლის შედეგი, ხოლო ისინი შეიძლება განიხილებოდეს როგორც სტიმული შემდგომი სოციალური ტრანსფორმაციებისთვის როგორც მასპინძელ ქვეყნებში, ასევე წარმოშობის ქვეყნებში.

შვედი ავტორი მაქს ფრიჩი შვედეთში იმიგრაციის შედეგებზე, რაც ამ ქვეყანას მძიმედ დააწვა წერდა: „ჩვენ შრომა მოვითხოვეთ და ადამიანები მოვიდნენ“. სწორედ ის ფაქტი, რომ იმიგრანტები ადამიანები არიან იმიგრაციის საკითხს ასე ართულებს.<sup>10</sup>

<sup>10</sup> Hanson, G., „Challenges for Immigration Policy,” in C. Fred Bergsten, ed The united states and the World Economy: Foreign Economic Policy for the Next Decade, Washington, D.C : Institute for International Economics, 2005, გვ. 343-372.

### ბიბლიოგრაფია

1. Hanson, Goldin, „Challenges for Immigration Policy,” in C. Fred Bergsten, ed The united states and the World Economy: Foreign Economic Policy for the Next Decade, Washington, D.C : Institute for International Economics, 2005;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა) 2021 წელი;
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: „მოსახლეობის რიცხოვნობა 2022წლის 1 იანვრის მდგომარეობით“;
4. Migration flows bounced back in 2021. [www.oecd-ilibrary.org](http://www.oecd-ilibrary.org) [უკანასკნელად გადამოწმდა 1.03.2023];
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge) [უკანასკნელად გადამოწმდა 1.03.2023];
6. მიგრაცია [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) [უკანასკნელად გადამოწმდა 1.03.2023];
7. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: საქართველოს 2019 მიგრაციის პროფილი;
8. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია. 30.11.2015;
9. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: ენციკლოპედიური ვერსია საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. 2020;
10. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია: მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი ფულადი გზავნილები. თბილისი, საქართველო, 2016;
11. Верещагина, Татьяна, Александровна, Коростелева Елена Сергеевна, Миграция как фактор социально-экономического развития территории/Вестник Челябинского государственного университета. 2004. № 1;
12. შინამეურნეობების შემოსავლები [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) [უკანასკნელად გადამოწმდა 1.03.2023];
13. Average Monthly Salary in European Union 2022 [www.reinisfischer.com](http://www.reinisfischer.com) [უკანასკნელად გადამოწმდა 1.03.2023];
14. Rankings by Country of Average Monthly Net Salary (After Tax) (Salaries and Financing) [www.numbeo.com](http://www.numbeo.com) [უკანასკნელად გადამოწმდა 1.03.2023];
15. ემიგრანტების განაწილება ამჟამინდელი საცხოვრებელი ქვეყნის და სქესის მიხედვით. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) [უკანასკნელად გადამოწმდა 1.03.2023].



## მიგრაციის გამოწვევი ფაქტორები და ადამიანთა უფლებები

მეგი სურმანიძე

დოქტორანტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

აღნიშნული სტატია ეხება მიგრაციის პროცესის შესწავლისას მიგრაციისთვის წამახალისებელ და ბიძგის მიმცემი ფაქტორების და ადამიანთა უფლებების ანალიზს, ერთის მხრივ მიგრაციის გამომწვევ მიზეზად ადამიანის უფლებების არ არსებობა შეიძლება იყოს როგორც სამშობლოში საიდანაც მოქალაქეები ღებულობენ გაქცევის გადაწყვეტილებას და მეორეს მხრივ ის მნიშვნელოვანია მიგრანტების მიმღები, მასპინძელი სახელმწიფოსთვის. მიგრაციას საკმაოდ ბევრი ხელშემწყობი ფაქტორი აქვს მათ შორისაა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ადამიანების უფლებების ფაქტორები, ბუნებრივი, სამედიცინო-ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, კულტურული და საგანმანათლებლო ფაქტორები. სახელმწიფოები სადაც დაბალია სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების დონე, არ არის დაცული ადამიანის უფლებები, მოქალაქეს არ აქვს შემოსავალი, არის დასაქმების მცირე და არაპერსპექტიული შესაძლებლობები, რის არასტაბილური პოლიტიკური გარემო, დროთა განმავლობაში კარგავს მოქალაქეების დიდ ნაწილს, შესაბამისად მიგრაცია შეიძლება იყოს როგორც შრომითი ასევე ოჯახური ფაქტორით განპირობებული.

სტატიაში ასევე განხილულია მიგრირების ფაქტორები და წარსულში გამოწვეული პოლიტიკური ფაქტორებით და ცივისხლიანი დაპირისპირებებით მიმართულებები, პირველმა და მეორე მსოფლიო ომმა გამოიწვია ყველაზე ფართომასშტაბიანი მიგრაციები და საცხოვრებელი ლოკაციის შეცვლა. მნიშვნელოვანია ასევე მიგრაციის სტრუქტურა და ხასიათი, რომელიც ძალადობის და ომის მიზეზებით შეიძლება იყოს ფორმირებული. საერთაშორისო მიგრაციაში განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანია ადამიანთა უფლებები, ქვეყნის დატოვებამდე არსებული სისტემური თუ საკანონმდებლო პრობლემები და მიგრანტების მიმღებ სახელმწიფოში მათ მიმართ არსებული დამოკიდებულებები, არის თუ არა მათი უფლებები სრულფასოვნად დაცული?

სტატიაში მნიშვნელოვანი კვლევის შედეგებია:

- მიგრაციამ წარსულიდან მოყოლებული ისტორიული ფაქტორების საფუძველზე შეიძინა ხასიათი, მაგალითად მოსახლეობის მიგრაცია ხშირია აღმოსავლეთ აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკაში, აღმოსავლეთ აფრიკიდან ევროპაში, ასევე ხშირია მოსახლეობის მიგრაცია ისლამური სახელმწიფოებიდან ევროპაში მოსახლეობის განსაკუთრებით კი ქალთა უფლებების დაუცველობის გამო, ფიზიკური დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივით.
- მიგრაციის ხელისშემწყობ ფაქტორად ახალგაზრდებში რჩება განათლების მიღების და უბრალოდ მოგზაურობის სურვილი,

- მიგრაციის გამომწვევ ფაქტორებად საერთაშორისო მიგრაციაში რჩება: სიცოცხლის უფლება, პირადი თავისუფლების უფლება, რელიგიური თავისუფლების უფლება, თავისუფლება მოძრაობასა და გადაადგილებაში, სიტყვის თავისუფლება, ფიზიკური უსაფრთხოების უფლება.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრაცია, გამოწვევა, ადამიანი, უფლება

## შესავალი

ბოლო პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით გაიზარდა მიგრაციული გადაადგილებების შემთხვევები, ადამიანები გაცილებით უფრო ინტენსიურად ტოვებენ საცხოვრებელ, მშობლიურ ქვეყნებს და ქალაქებს, ამ გადაწყვეტილებებს ისინი სხვადასხვა მოტივებით ღებულობენ, ხშირად მათთვის განსაზღვრული მიზნისა თუ მდგომარეობის მიღწევა არსებულ საცხოვრებელ პირობებში შეუძლებელია, მაგალითად დარჩენის შემთხვევაში ისინი ვერ გაიუმჯობესებენ ცხოვრების სოციალურ ეკონომიკურ ფონს, ვერ მიიღებენ ხარისხიან განათლებას, ვერ დასაქმდებიან პერსპექტიულ კომპანიებში, ვერ აუნაზღაურდებათ შრომა ადეკვატურად, საარსებო მინიმუმზე უფრო უკეთესი, საცხოვრებლად და ოჯახის სარჩენად საკმარისი ანაზღაურებით. პრობლემას წარმოადგენს ასევე სიცოცხლის უფლება და სიცოცხლის უსაფრთხოება, ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციების, ფორმალური თუ არაფორმალური საერთაშორისო ორგანიზაციების არსებობის, მოქმედების მიუხედავად მაინც მოუგვარებელია ბევრი სახელმწიფოს მოქალაქეების ფიზიკური, სიცოცხლის უსაფრთხოების საკითხი, სიცოცხლის გადარჩენის და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების მოტივი ასევე ერთერთი მნიშვნელოვანი ბიძგია და წინაპირობა მიგრაციაში გამგზავრების. სხვადასხვა მიზნის გამო ღებულობენ, ლოგიკურია, რომ თუ ყველაფერი რიგზეა მოქალაქეები არ დატოვებენ მშობლიურ მხარეებს, ამიტომ მიგრაციის სტატისტიკური მაჩვენებლები საკმაოდ ბევრ პრობლემას ააშკარავენ, ასევე ბევრ სასიკეთო ინფორმაციას იძლევა იმ სახელმწიფოების შესახებ სადაც იმიგრირებულთა რიცხვი მაღალია. მიგრაციულ პროცესებში განსაკუთრებით აქტუალურია მისი გამომწვევი ფაქტორების ანალიზი და ადამიანთა უფლებები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციები და ადამიანის საერთაშორისო უფლებები, ის თუ რა ნაბიჯები იდგმება პრობლემების აღმოსაფხვრელად, რა პროგნოზები არსებობს მიგრაციის ზრდის ან კლების თვალსაზრისით და რა შესაძლო შედეგები შეიძლება მოუტანოს ამ მაჩვენებლებმა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს.

## 1. მიგრაციული პროცესები, საწყისები და გამომწვევი ფაქტორები

### 1.1 მიგრაცია, საწყისები, ძირითადი ფაქტორები

მოსახლეობის მიგრაცია საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი პროცესია, მიგრაცია სხვადასხვა მოტივით შეიძლება იქნეს განპირობებული. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები სხვადასხვა მიზეზების გამო ღებულობენ ქალაქის, რეგიონის, ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას, მსოფლიოში მიგრაციის ყველაზე გავრცელებული და ძლიერი ფაქტორი ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების დონის, მდგომარეობის გაუარესებაა, ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში მიგრაციის მაჩვენებლები და სტატისტიკა პერიოდულად უარესდება, რადგან ისინი ვერ ახერხებენ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საერთაშორისო მიგრაციული პროცესები ფაქტიურად ყველა სახელმწიფოს ეხება, რომელიც ადამიანების გადაადგილებით გამოიხატება. მიგრაცია არის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიების გზა და გამოსავალი ადამიანებისთვის,

ამასთან მიგრაციული პროცესები ხელს უწყობს პროდუქტის, ფულის, იდეების მიმოცვლას უნივერსალური არხებით.

კვლევის მიხედვით, რომელიც მონივას ქალაქში ჩატარდა და მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლიდა გამოვლინდა მიგრაციის განმაპირობებელი, გავლენის მქონე და ბიძგის მქონე ფაქტორები, სხვაგვარად, რომ ვთქვათ ბიძგები და გავლენები, რომლებიც აიხსნება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, გარემოს, ჯანმრთელობის, განათლების, ტრანსპორტირების ღირებულებების სიდიდით. გავლენის მქონეა ამ თვალსაზრისით ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც ნაკლებად განიხილება როგორც ბიძგი მაგრამ არის მნიშვნელოვანი ღირებულების გავლენის მქონე ფაქტორი მიგრაციის პროცესში<sup>1</sup>. მიგრაციის ხასიათის განმაპირობებელი, კერძოდ ბიძგის მიმცემი ფაქტორია პოლიტიკურად არასტაბილური ვითარებები, ძალადობა, საომარი მოქმედებები, დაპირისპირებები ქვეყნებს შორის, რომელიც პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის გადაადგილებაზე, მიგრაციის პროცესებზე. ამგვარი ფაქტები ისტორიას კარგად ახსოვს, პირველი მნიშვნელოვანი თარიღია 1857 წელი, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ „ტანზიმატის“ სახელწოდებით ცნობილი რეფორმა განახორციელა, ასევე კარგად ახსოვს ისტორიას პირველი მსოფლიო ომი 1914-1918 და მისით გამოწვეული იძულებითი გადაადგილებები, ლტოლვილები, რომლებიც ბელგიიდან გადაადგილდნენ სომხეთში, ასევე საფრანგეთის, იტალიის და ავსტრია უნგრეთის მოსახლეობის მიგრირება თურქეთში.<sup>2</sup> მიგრაციის მასობრივი პროცესები რასაკვირველია მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც გაგრძელდა, იძულებითი გადაადგილებების უამრავი ფაქტი ახსოვს ისტორიას, რომელიც იყო წარსულში და დღესდღეობითაც მიმდინარეობს. ამგვარად მიგრაციის გამომწვევ კერძოდ იძულებითი ბიძგის მიმცემ ფაქტორად ითვლება პოლიტიკური არასტაბილური გარემო და დაპირისპირებები, რომლებიც საომარი ვითარების სახით მიმდინარეობს. ასეთ სიტუაციებში მოსახლეობა ორიენტირებულია თვითგადარჩენაზე, ასეთი ტიპის მიგრაცია მკვეთრი, სწრაფი და მზარდი ხასიათისაა, ის ნელი ტემპით არ ხასიათდება განსხვავებით მხოლოდ ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ საგანმანათლებლო ფაქტორებისგან, რომელიც ეტაპობრივად და ნელნელა იწვევს მოსახლეობის გადინებას უფრო განვითარებულ ქვეყნებში.

მიგრაციას და მის მიმართულებას ასევე განაპირობებს შემოსავლების ზრდის სურვილი მაშინ როდესაც მათი შემოსვლების დონე ძალიან დაბალია, ამ მოტივით ადამიანები ირჩევენ ქვეყნებს სადაც შრომის ბაზარზე მაღალი ანაზღაურებებია, სადაც მუშაობა დაბალ პოზიციებზეც უფრო მეტი თანხის გამომუშავების საშუალებას იძლევა ვიდრე მშობლიურ ქვეყნებში მუშაობის შემთხვევაშია შესაძლებელი.<sup>3</sup> აფრიკის შემთხვევაში მიგრაცია ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებისკენ განპირობებულია ომით, დიქტატორული რეჟიმისგან გაქცევის მიზნით, ტერორიზმით, შიმშილით და სხვა. კონტინენტებს და ქვეყნებს შორის მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს შორის განსხვავებები დიდია, მაგალითად ცენტრალური და აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებიდან მიგრაციის ძირითად მოტივებს შორის არის ცხოვრების დაბალი დონე და ხარისხი. ევროპის ტერიტორიაზე მიგრირებული მოსახლეობის მოტივები ძირითადად უკეთესი სამსახურის, განათლების, შემოსავლის მიღების, ცხოვრების მდგომარეობის გაუმჯობესებით არის გამოწვეული. 2020 წლის

<sup>1</sup> Kyaing Kyaing Thet, Pull and Push Factors of migration: A case study in the urban Area of Moniwa Township, Myanmar, n.d.

<sup>2</sup> Gatrell, P., Refugees and forced migrants during the First World War, Immigrants & Minorities, Vol.26 No.1-2, 2008, page.82-110.

<sup>3</sup> Titan, E., Ghita, S., Covrig, M., Migration Phenomenon: A globalization Effect or a Cpnsequence of poverty? Procedia-Social and Behavioral Sciences, Vol.62,2012 page. 367-71.



UNHCR <sup>4</sup>სტატისტიკის მიხედვით საერთაშორისო მიგრანტთა რიცხვი 281 მილიონ ადამიანს აღწევს, რაც მსოფლიო მოსახლეობის 3,6%ს წარმოადგენს.

მიგრაციის ხასიათის კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია უნგრეთის, ზეგედის უნივერსიტეტის პროფესორის მიერ განხორციელებული კვლევა, გამოყენებული იქნა თვისებრივი ანალიზის მეთოდი, რომლის დახმარებითაც გაანალიზდა ბუნებრივ აღქმები, ადამიანების შეგრძნებები. კვლევის პირობებში გამოიკითხა 9745 რესპოდენტი, კვლევა განხორციელდა 2019 წელს, რესპოდენტების შერჩევა თოვლის გუნდის მიხედვით განხორციელდა. კვლევის შედეგად მიგრაციის ის ხელისშემწყობი ფაქტორები გამოვლინდა, რომლებიც სტატიაშია განხილული, მიგრაციის ისტორიული ხასიათი მნიშვნელოვანი დაპირისპირებების და ომის შედეგად გამოვლენილი, ასევე მიგრირებული საზოგადოება საუბრობს კონფლიქტებისგან, ძალადობისგან, ადამიანის უფლებების ჩაგვრისგან, გარემოს დეგრადაციისგან, ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირისგან გაქცევის მოტივებზე. მნიშვნელოვანია ასევე მიგრანტების უფლებები, ლეგალურ კანონებს შორის, რომელიც საერთაშორისო მიგრანტების უფლებებზე ზრუნავს, (ემიგრანტი მომუშავეების, ოჯახის წევრების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (ICRMW)). კონვენცია თანაბრად ეხება და იცავს ასევე დროებით და უსაბუთო, არალეგალ ემიგრანტებს. სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან მიგრანტების უფლებები საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან უნდა აკონტროლონ ქვეყნის საზღვრების გადმოლახვის და დატოვების მსურველები და მათი უფლებები.

უფლებების დაცვის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია ლტოლვილების უფლებები. ლტოლვილები არიან ადამიანები, რომლებიც დევნაში იმყოფებიან რასის, რელიგიის, ეროვნების, კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო, იმყოფებიან ქვეყნის საზღვრებს გარეთ და საჭიროებენ თავშესაფარს. ლტოლვილების უფლებები გაწერილია ლტოლვილების კონვენციის 1967 წლის პროტოკოლში. მათი უფლებების დაცვა გულისხმობს სიცოცხლის უფლების დაცვას, დაცვას წამებისგან, სასტიკი, ბარბაროსული, ძალადობრივი და მკაცრი მოპყრობისგან.<sup>5</sup> ლეგალური თუ არალეგალური მიგრანტების, ლტოლვილების და ასევე მოქალაქეობის არ მქონეთა უფლებების დაცვა კონვენციის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებს წარმოადგენს, კონვენციის მიზანია შეუქმნას მოქალაქეობის არ მქონე პირებს უსაფრთხო, არადისკრიმინაციული გარემო, იზრუნოს მათ უფლებებზე ჰქონდეთ განსაზღვრული სტატუსი. ნებისმიერი სახელმწიფო უნდა უზრუნველყოფდეს მიგრანტების უფლებების, უსაფრთხოების დაცვას და მონიტორინგს, ძალიან ხშირად ემიგრანტები აწყდებიან დაბრკოლებებს, მათ შორის სამსახურებრივ გარემოში შრომის პირობების სიმძიმის, საცხოვრებელი პირობების შეუსაბამობის, ანაზღაურების განაკვეთის სხვა რეზიდენტ მოქალაქეებთან შედარებით სიმცირის თვალსაზრისით, ასევე პრობლემას წარმოადგენს მათთვის სხვადასხვა აუცილებელი მომსახურებების მიღების და ღირებულებების კონტროლის ნაწილი. რამდენად სწორია ემიგრანტებისთვის მაგალითად ჯანდაცვის მომსახურების გაორმაგებული ღირებულების სანაცვლოდ მიღება? რამდენად მნიშვნელოვანია ემიგრანტების შრომითი უფლებების დაცვა მათთვის უცხო ქვეყნებში? კონტროლდება თუ არა საკმარისად ყველა ჩამოთვლილი ეტაპი?

კვლევის შედეგებით, რომელიც 2019 წელს განხორციელდა, გამოიკვეთა რეგიონების მიხედვით მიგრაციის გამომწვევი მიზეზები და ასევე ერთ კონტინენტზე მიგრაციის ძირითადი მიმართულებები. აფრიკის რეგიონის შემთხვევაში ხშირია ერთი რეგიონიდან

<sup>4</sup> UNHCR, Global Trends forced Displacements In 2020, Denmark, June 18.2020.

<sup>5</sup> Bosniak, L. S., Human Rights, State Sovereignty and protection of undocumented migrants under the international migrant workers convention, International Migration Review Vol.25 No.4, page.737.

მეორე რეგიონში მიგრაციის მაგალითები, მაგალითად დასავლეთ და ცენტრალური აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკაში (1471 რესპოდენტი), აღმოსავლეთ აფრიკიდან ჩრდილოეთ აფრიკაში (657 რესპოდენტი) აღმოსავლეთ აფრიკიდან ევროპაში და აშ.<sup>6</sup> აფრიკელი მოსახლეობის მიგრაციის მიზეზებად სახელდება ძალადობა და უსაფრთხოების სისტემის არ არსებობა, ადამიანის უფლებების არ არსებობა, ეკონომიკური ფაქტორი, სოციალური სერვისების სიღარიბე, ასევე ემიგრაციის პროცესებს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ყველა მათ ირგვლივ ტოვებს ქვეყანას და თავადაც მიდიან ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებამდე.

West/Central African to North Africa	Violence and General Insecurity	7.3	East Africa to Southern Africa	Violence and General Insecurity	60.1
	Lack of Rights	30.7		Lack of Rights	33.5
	<b>Economic Reason</b>	<b>94.8</b>		Economic Reason	59.1
	Personal/Family Reason	22.4		Personal/Family Reason	28.0
	Lack of Social Services/Poorly Governed	37.2		Lack of Social Services/Poorly Governed	8.8
	Everybody Around me Was Leaving	42.2		Everybody Around me Was Leaving	3.8
	Environmental Factors	2.3		Environmental Factors	1.5
East Africa to North Africa	Violence and General Insecurity	61.5	East Africa to Europe	Violence and General Insecurity	54.4
	Lack of Rights	60.7		<b>Lack of Rights</b>	<b>82.9</b>
	<b>Economic Reason</b>	<b>62.3</b>		Economic Reason	17.4
	Personal/Family Reason	36.6		Personal/Family Reason	5.2
	Lack of Social Services/Poorly Governed	30.1			
	Everybody Around me Was Leaving	4.4			
	Environmental Factors	0.0			


სამხრეთ ამერიკის შემთხვევაში მოსახლეობის გადინება კანადის მიმართულებით ხდება, ძირითად მოტივებს შორისაა სამსახურის პოვნა და შემოსავლების გაუმჯობესება. ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მოსახლეობა ემიგრირებს ცენტრალური ევროპიდანაც. ასევე მნიშვნელოვანია კლევის შედეგები, რომელიც ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში მიგრაციულ პროცესებს აღწერს. მოსახლეობა მიგრირებს შუა აღმოსავლეთ აზიიდან– სამხრეთ აზიაში (1007 რესპოდენტი) ბანგლადეშიდან მალაიზიაში (333 რესპოდენტი). მიგრაციის და ემიგრაციის მოტივებს შორის ლიდერობს ძალადობა და ცენტრალური უსაფრთხოების სისტემის არ არსებობა, 62,7%, პირადი და საოჯახო მიზნები 45,9%, შუა აღმოსავლეთ აზიიდან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში მიგრაციის მიზეზებს შორის ლიდერობს ძალადობა და გენერალური უსაფრთხოების სისტემის პრობლემები 77.1%, ასევე ადამიანთა უფლებების ნაკლოვანებები 33,9%.

ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო მიგრაციული ხედვა, რომლის მიხედვითაც ყველაზე მაღალი იმიგრაციული ნაკადის სამიზნე სახელწმიფოს წარმოადგენს ამერიკა, საუდის არაბეთი, რუსეთი, შვეიცარია, გერმანია, იტალია, ქუვეითი, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, არაბეთის საამიროები. ხოლო სახელმწიფოები საიდანაც ყველაზე მეტი ემიგრანტი ტოვებს საშობლოს: ინდოეთი, ჩინეთი, მექსიკა, ფილიპინები, საფრანგეთი, ეგვიპტე, ნიგერია, პაკისტანი, ბანგლადეში და გერმანია.

<sup>6</sup> Bahri, M. T., Understanding the pattern of international Migration: Challenges in human rights protection.

<sup>7</sup> იქვე.





8

## 2. ადამიანის უფლებები და მიგრაცია

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანთა უფლებებში არის თანასწორობა, მიუხედავად განსხვავებებისა, განსხვავებული კანის ფერის, სქესის, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური წარმომავლობის თუ რასისა ადამიანები იყენებენ დაცულნი კანონმდებლობით და იყენებდნენ ყველა უფლებას, რომლის არსიც დაკავშირებულია სიცოცხლის თუ აზრის თავისუფლებასთან. როგორც ვიცით, ადამიანების მიერ საცხოვრებელი ადგილის, ქვეყნის დატოვებას საფუძვლად სიტყვის თავისუფლების არარსებობა შეიძლება ედოს, ცხოვრების ისეთ პირობებში როდესაც მოქალაქე ვერ გამოხატავს თავის პოლიტიკურ, რელიგიურ ნებას, შეხედულებებს და შეზღუდულია საზოგადოების ან ადამიანთა უფლებების დაცვის სისტემის ნაკლოვანებების თუ სისუსტის გამო შეიძლება მიიღოს ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილება, საზოგადოდ იმისთვის, რომ ადამიანმა ცხოვრება სრულფასოვნად შეიგრძნოს სჭირდება თავისუფლება, სტაბილური და დამაკმაყოფილებელი ცხოვრების დონე, უსაფრთხოება და ადგილი სოციალურად. აზიურ სახელმწიფოებში სადაც სისტემატიურად ირღვევა მკაცრი რელიგიური წესების და ტრადიციებზე აგებული კანონმდებლობის გამო ადამიანთა, ქალთა უფლებები იქმნება გაუსაზრისი ცხოვრების პირობები, რომელსაც ბოლო დროინდელი საპროტესტო აქციებიც მოწმობს ირანის სახელმწიფოში. ხშირ შემთხვევაში როდესაც ადამიანის უფლებების საკანონმდებლო ნაკლოვანებებზე ვსაუბრობთ მივდივართ იქამდეც, რომ ამ უფლებებზე ყველაზე მეტად მორგებული სამოქალაქო კონსტიტუციაა, ისლამურ სახელმწიფოებში ტრადიციებზე და რელიგიურ წესებზე დაფუძნებული კანონმდებლობა ზღუდავს ადამიანების, განსაკუთრებით კი ქალთა უფლებებს და არის მიგრაციული გადაადგილებების ხელისშემწყობი ფაქტორი. მეორეს მხრივ ადამიანთა უფლებების ნაწილში მიგრაციის შემდგომ პრობლემის გაგრძელებას ემიგრანტთა უფლებების დაუცველობა წარმოადგენს. უსაფრთხოება და უფლებების დაცვის ნაწილი აუმჯობესებს ლეგალური დასაქმების მაჩვენებლებს, პოლიტიკურ და კულტურულ ევოლუციას. ოკონი (2018) ადამიანის უფლებებს ხედავს როგორც უფლებებს, რომლებიც ადამიანებს ღმერთმა უბოძა.<sup>9</sup> დაუშვებელია ადამიანის უფლებების იგნორირება და გამეორებარისხოვნება

<sup>8</sup> OCDE, International Migration Outlook: Annual Report, International Migration, 2006, page.1-330.

<sup>9</sup> Okon, G. B., Media and national development. Course lecture note at Department of english and Communication Arts. Ignatius Ajuru University of Education, 2018.

თანამედროვე პირობებში როდესაც ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი და უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების დაცვა.

საერთაშორისო მიგრაციის ორგანიზაციის 2014 წლის შემაჯამებელი რეპორტის მიხედვით მიგრაციის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, მოქალაქეების გადინების თვალსაზრისით ფიქსირდება ნიგერიაში 1990–2013 წლებში, 465,932 ადამიანიდან 1,030,322. 1990 წლიდან 2010 წლამდე მაჩვენებელი 56,7%-მდე გაიზარდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმართულებები, ნიგერიელთა უდიდესი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურებდა, მიზეზად იქ არსებული შრომის თუ ცხოვრების პირობები და ემიგრანტების უფლებების დაცვის ხარისხია, ამერიკაში გადასახლების, დასაქმების თუ სწავლის დაწყების მთავარ ხელშემწყობ ფაქტორს სწორედ ეს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია საბაზისო ადამიანის უფლებები როგორცაა:

- სიცოცხლის უფლება,
- უფლება პირად თავისუფლებაზე,
- უფლება რელიგიურ თავისუფლებაზე,
- გადაადგილების უფლება,
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება,
- სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლება.
- შეკრებისა და გაერთიანების უფლება<sup>10</sup>,

ემიგრანტების უფლებებს შორის, რომლებიც ხშირად ირღვევა ან იგნორირდება არის:

- სიცოცხლის უფლება;
- უფლება პირად თავისუფლებაზე;
- უფლება რელიგიურ თავისუფლებაზე;
- გადაადგილების უფლება;
- საქმის სამართლიანი განხილვის უფლება;
- სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- შეკრებისა და გაერთიანების უფლება;

ფაქტიურად ყველა ჩამოთვლილი ადამიანური უფლების პუნქტი არის განსამტკიცებელი და საჭიროებს დაცვას, სიცოცხლის უფლება შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვან პუნქტად ჩაიშალოს:

- უფლება არ იქნე მოკლული;
- უფლება არ იქნე მოკლული უსამართლოდ;
- უფლება მშვიდი სიცოცხლის ქონაზე;

ადამიანის უფლებებს შორის სიცოცხლის უფლება განიხილება როგორც საბაზისო უფლება, როგორც ჭამის, ჩაცმის, სამედიცინო ზრუნვის და სხვა. მსოფლიოში არის შემთხვევები როდესაც კლავენ ან ფიზიკურ ზიანს აყენებენ ემიგრანტებს უმიზეზოდ, ზოგ შემთხვევაში დანაშაულის ფაქტები უყურადღებოდ რჩება და მათ შესაბამისი ორგანოები არ იძიებენ.


- ადამიანის უფლებების მეხუთე მუხლში საუბარია პიროვნული თავისუფლების და უსაფრთხოების უფლებაზე, არავის აქვს უფლება შელახოს ადამიანის პიროვნული თავისუფლება და საფრთხეში ჩააგდოს მისი სიცოცხლე,

<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, I-X მუხლები, 10.1950 წ.

- ემიგრანტების დაპატიმრების დროს სახელმწიფო ვალდებულია მისთვის გასაგებ ენაზე აცნობოს უფლებების, დაპატიმრების მიზეზების შესახებ, ასევე წაყენებული ბრალდების შესახებ,
- ემიგრანტებს დაპატიმრების შემთხვევაში ისეთივე უფლებები აქვთ როგორც ქვეყნის მოქალაქეებს მიიღონ ყველა მომსახურება სრულფასოვნად,<sup>11</sup>
- ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

ადამიანის და შესაბამისად ემიგრანტების უფლებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რელიგიური მრწამსის თავისუფლებას, უფლებას იყო ნებისმიერი რწმენის მიმდევარი, ძალიან ხშირად საზოგადოება რიყავს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მათგან მკვეთრად განსხვავებული რელიგიური მრწამის მქონენი არიან, დაბალი მიმდებლობის კულტურის მქონე საზოგადოება ხშირად არცთუ ისე დადებითად განეწყობა განსხვავებული მრწამსის ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ თუ ისინი ჩამოსული, სამსახურის მაძიებლები და ემიგრანტები არიან. სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი უკანონო წინააღმდეგობა ან უფლებების ჩაგვრის მცდელობა აღკვეთოს და გამოუცხადოს ემიგრანტებს მხარდაჭერა, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება.

ადამიანების უფლებების, ტრეფიკინგის სტატისტიკის 2017 წლის მაჩვენებლების მიხედვით 24.9 მილიონი მიგრანტი იქნა დატყვევებული მონად, 16 მილიონი (64%) გამოყენეს სამუშაოდ, 4,8 მილიონი (19%) სექსუალური მონობისთვის გაყიდეს და 4,1 მილიონი (17%) იქნა იძულებით მოყვანილი იძულებით სამუშაოდ. სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ტერიტორიაზე კვლავაც აქტუალურია ტერორიზმის და ტრეფიკინგის ფაქტები, რომლის სტატისტიკაც 2011–2013 წლების პერიოდში ზრდადი მაჩვენებლით ხასიათდება.



12

მნიშვნელოვანია ასევე მოსმენის, სამართლიანად მოპყრობის ასპექტი, კერძოდ ნიგერიის პოლიცია ხშირად აპატიმრებს უკანონოდ, არალეგალურად მოქალაქეებს საფუძვლიანი მიზეზების და დანაშაულებრივი ფაქტების გარეშე, ასევე პრობლემას წარმოადგენს მათი ლინჩის წესით გასამართლება გარკვეული დანაშაულებების გამო, ქურდობის და სხვა. ასეთი ტიპის ქვეყნები სადაც მორღვეულია კონსტიტუციური, უსაფრთხოების, ადამიანური უფლებების სისტემები, კრიმინალიზებულია სამართალდამცავი ორგანოები

<sup>11</sup> Umor, D. P., Communication, Human Rights and Migration.

<sup>12</sup> Human Rights First, Human Trafficking by the numbers, Human rights first trafficking by number report 2017, accessed June 17, 2022.

რთულია საუბარი მიგრაციული ნაკადების შემცირების გზებისკენ წარიმართოს. ასეთი ტიპის სახელმწიფოებს განვითარება არ აქვთ, ისევე როგორც იქ მცხოვრებ მოსახლეობას, სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ისინი ცდილობენ თავს უშველონ და მიაშურებენ ამერიკას და ევროპის სახელმწიფოებს თავშესაფრებისთვის. ემიგრანტების უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს ისევე როგორც ზოგადი ადამიანური უფლებების ნაწილს წარმოადგენს სხვადასხვა ხასიათის და მნიშვნელობის ორგანიზაციებში გაწევრიანების უფლება, ეს ორგანიზაციები შეიძლება პოლიტიკური ხასიათისა იყოს, რაც არ უნდა უქმნიდეს პირადი პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანებს პრობლემებს სახელმწიფოსთან. ასეთი ტიპის ორგანიზაციები შეიძლება ასევე რელიგიურ ხასიათს ატარებდნენ. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ნიგერიაში გადაადგილება, ფაქტიურად ეს პროცესი ადგილობრივებისთვის მუდმივად შიშთან ასოცირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ სიტყვის თავისუფლებაზე და გამოხატვის თავისუფალ ნებაზე. ყველა არსებული ფაქტორი არის პოტენციური თუ არსებული ემიგრანტების უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილი და მათი უზრუნველყოფა სახელმწიფოების პრეროგატივაა.

ემიგრანტების მიმართ სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობისგან ხშირია ქსენოფობიური და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, ქსენოფობიური, რომელიც გულისხმობს მათ შიშებს ეროვნული ღირებულებების, ადათ წესების დაკარგვის თვალსაზრისით და დისკრიმინაციული ფაქტები, რომლებიც ემიგრანტების ჩაგვრას, გარიყვას გულისხმობს მათი განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, კანის ფერის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრწამსის, კულტურული განსხვავებების და სხვა ნიშნების გამო, ხშირად ადგილობრივებს არ აქვთ ტოლერანტული დამოკიდებულებები და მიმღებლობა ემიგრანტების, ლტოლვილების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების კანონმდებლობა თანაბრად უნდა იცავდეს ყველას განურჩევლად მოქალაქეობისა, მუდმივი მაცხოვრებლობისა, ემიგრანტობისა თუ ლტოლვილობისა მაინც პრობლემას წარმოადგენს მისი დეფიციტური ხასიათი და არაადეკვატური სერიოზულობა, კონტრასტი დამოკიდებულებებში როდესაც ირღვევა ქვეყნის მუდმივი მოქალაქის, ადგილობრივი მაცხოვრებლის და ემიგრანტის უფლებები, ამაზე საუბარია ემიგრანტების ადამიანური უფლებების კონვენციაში, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოსცა.<sup>13</sup> „ემიგრანტებს საერთაშორისო ადამიანის უფლებების პრინციპების მიხედვით აქვთ ისეთივე უფლებები როგორც ყველა სხვა დანარჩენს მიუხედავად სტატუსისა, რომელიც მათ აქვთ ქვეყანაში, უსაფრთხოების უფლების ჩათვლით“<sup>14</sup>

ემიგრანტების უფლებების დაცვის სტანდარტების მიღებისა და დანერგვის პროცესის ნაკლოვანებებში განხილულია ბოლო ათი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები სახელმწიფოების მიერ, მხოლოდ 16-მა სახელმწიფომ მიიღო 1990 წლის კონვენცია და მოახდინა რატიფიცირება, რაც არ არის საკმარისი მთლიანი მდგომარეობის გაუსაუმჯობესებლად. ამ კონვენციის მიღება ყველა სახელმწიფოსთვის ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით თანაბრად მნიშვნელოვანია. ფაქტიურად, პროგრესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ის, რომ კონვენციის მიღებას და რატიფიკაციას სახელმწიფოები თანხმობით არ ხვდებიან გვიჩვენებს გულგრილ დამოკიდებულებას ემიგრანტების უფლებების აღიარებისა და დაცვის მიმართ. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ პრობლემა მხოლოდ დაინტერესების სისუსტეში კი არა არამედ კონვენციის გავრცელების ხელშემწყობ საქმიანობაში იყო, კერძოდ 1990

<sup>13</sup> International organization for migration- The human rights of migrants, P 22.

<sup>14</sup> Weissbrodt, D. S., and Collins, C., The Human Rights of Stateless Persons, Human Rights Quarterly, Vol.28 No.1, 2006, page.245-76.



წლის კონვენციის ხელშეკრულების, პირობების, მონაცემების გავრცელებაც კი არ განხორციელებულა სრულყოფილად, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული და მყოფი მდივების, მოხალისეების თუ დასაქმებულების საკმაოდ მაღალი რიცხვისა, ასევე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძღვანელოში სადაც კონვენციის ნაკლოვანებებია განხილული საუბარია იმაზე, რომ ადამიანის უფლებების კონვენციის ხელშეკრულებაც კი ვერ მოიპოვებოდა სათანადოდ, რთულად ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ფოტო ასლები. ამასთან 2001 წლამდე არცერთი კონკრეტული პასუხისმგებელი პირი არ გამოყოფილა ვინც კონვენციის შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიწოდებას და გავრცელებას განხორციელებდა. შესაბამისად ევროპის დიპლომატები და მთავრობების წარმომადგენლები გამოთქვამდნენ კონფერენციებზე, საერთაშორისო შეხვედრებზე, დისკუსიებზე 1990 წლის კონვენციის მიმართ უკმაყოფილებას:

- კონვენცია იყო არარეალიზებული, არაპრაქტიკული საერთაშორისო სტანდარტების თვალსაზრისით როგორც ზედმეტად ამბიციური და დეტალური;
- კონვენცია არა რელევანტურია, რადგან სახელწმიფოებს არ გამოუთქვამთ მისი აღიარებისა და მიღების სურვილი;

ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის უამრავი ფაქტი არსებობს, 2000 წელს სამხრეთ აფრიკაში თეთრკანიანმა პოლიციელებმა შავკანიან დაუცველ მოქალაქეებზე იძალადეს, ეს ფაქტი საერთაშორისო მასმედიის მიერ იქნა შეფასებული როგორც „ყველაზე მძიმე რასიზმისა და ძალადობის პორნოგრაფია“, ფაქტი ცხადყოფდა სამხრეთ აფრიკაში რასიზმის პრობლემების არსებობას, ამასთან მსგავსი ფაქტები არის ქსენოფობიის არსებობის მტკიცებულებაც. ამ ფაქტში საინტერესო ნაწილი არის ასევე ის, რომ სამი მამაკაცი, რომლებზეც იძალადეს მოზამბიკიდან იყვნენ როგორც არალეგალი მიგრანტები, იმ პერიოდში პოლიცია უხეშად არღვევდა ევროპის კონვენციას, რომლის მიხედვითაც დაუსაბუთებელი, დაუმტკიცებელი დაკავებების განხორციელება დაუშვებელი იყო, თუმცა პოლიცია აპატიმრებდა არალეგალ მიგრანტებს და მათ ადეპორტებდა. სამხრეთ აფრიკის მთავრობამ 600000 მიგრანტი დაადეპორტა. SAMP-სამხრეთ აფრიკის დარგობრივი პროექტის კვლევის პირობებში დადგინდა, რომ მიგრანტები დაბალი უსაფრთხოების პირობებით არიან უზრუნველყოფილნი სხვადასხვა სამსახურებრივ გარემოში სადაც მათ საქმის შესრულება უწევთ ფიზიკურად, ფერმებში, მშენებლობებზე და სხვა.<sup>15</sup>

სამხრეთ აფრიკის მატერიალური პროექტის (SAMP)-მიერ განხორციელებული კვლევის მიხედვით, რომლის დროსაც გამოკითხულ იქნა 500 რესპოდენტი, ზიმბაბვეს, ნამიბიის, მოზამბიკის და ლეზოტოს მოქალაქეები, კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ღია ტიპის კითხვარები, ამ მეთოდის საშუალებით გაანალიზდა ვერბალური და ფიზიკური ძალადობის ხასიათი ავტორიტეტებისა და მოქალაქეების მხრიდან. აფრიკის ადამიანის უფლებების კომისიამ დაასკვნა:

„ცხადია არ არის საკმარისი რასიზმისგან თავის დაცვისთვის მხოლოდ შავკანიანობა მითუმეტეს თუ აფრიკის მეზობელი სახელმწიფოებიდან ხართ, იგივე დისკრიმინაციის და შეურაცხყოფის მსხვერპლი შეიძლება გახდეთ ან უარესის“

მნიშვნელოვანია განვიხილოთ კვლევის რამდენიმე შედეგი, სადაც კარგად ჩანს რესპოდენტების დამოკიდებულებები ლტოლვილებისა თუ მოქალაქეობის არ მქონე მიგრანტების მიმართ. კითხვაზე ჰქონდეთ უნდა თუ არა ემიგრანტებს თავისუფლად გადაადგილების და აზრის გამოხატვის უფლება სამხრეთ აფრიკელი რესპოდენტები

<sup>15</sup> International organization for migration- The human rights of migrants, P 108.



ფიქრობენ, რომ არალეგალ ემიგრანტებს ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეთ ეს უფლება 2.8% ხოლო მოქალაქეებს თითქმის ყოველთვის 86,4%. უნდა უზრუნველყოფდნენ თუ არა არალეგალების დაცვას და უსაფრთხოებას? რესპოდენტების აზრით არალეგალური იმიგრანტები ყველაზე ნაკლებად უნდა იქნენ დაცულნი. სოციალურ მომსახურებებზე უზრუნველყოფის ნაწილშიც და პოლიციის მიერ მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაწილშიც ასევე არალეგალებს ყველაზე მცირე რესპოდენტთა ნაწილი უჭერს მხარს 11,4 და 8,9%.

გამოკითხვის მეორე ნაწილშიც, რომელიც ლტოლვილებს ეხებათ ასევე ნაკლებად ჩანს კეთილგანწყობა და ტოლერანტიზმი, რესპოდენტთა ძალიან მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ მათთვის უსაფრთხოება, თუ სოციალური მომსახურება ყველაზე ნაკლებად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ნეგატიურია ასევე არამოქალაქეებთან კომუნიკაციის შეფასების ნაწილიც, ფაქტიურად რესპოდენტთა 60% მათთან კომუნიკაციის არქონას არჩევს.

SOUTH AFRICAN ATTITUDES TO RIGHTS FOR CITIZENS AND MIGRANTS

	Always	Sometimes	Never
<b>Should be granted right to freedom of speech and movement<sup>1</sup></b>			
Citizens	86.4	13.1	0.5
Temporary workers	12.8	43.3	43.7
Illegal immigrants	2.8	12.7	84.4
<b>Should be granted right to legal protection<sup>2</sup></b>			
Citizens	90.8	8.7	0.5
Temporary workers	23.9	52.7	23.2
Illegal immigrants	8.3	29.2	62.2
<b>Should be granted right to police protection<sup>3</sup></b>			
Citizens	92.6	6.7	0.6
Temporary workers	30.1	45.6	24.1
Illegal immigrants	11.4	27.1	60.9
<b>Should be granted right to social services<sup>4</sup></b>			
Citizens	96.2	3.8	0
Temporary workers	29.7	45.6	24.6
Illegal immigrants	8.9	28.3	62.7

1. Literally "Depends on the circumstances".

TABLE 10

SOUTH AFRICAN ATTITUDES TO RIGHTS FOR REFUGEES

	Always	Sometimes <sup>1</sup>	Never
Should be granted right to freedom of speech and movement	3.3	27.3	69.3
Should be granted right to legal protection <sup>2</sup>	13.3	43.5	42.8
Should be granted right to police protection <sup>3</sup>	16.7	40.7	42.2
Should be granted right to social services <sup>4</sup>	16.9	40.6	42.4

PERSONAL CONTACT WITH NON-CITIZENS

	1998	1999
Great deal of contact	4	8
Some contact	15	29
Hardly any contact	20	16
No contact	60	44

Source: 1998 and 1999, SAMP (South Africa Survey).

## 2.1 მიგრაციის ევროპული პროგნოზები

ევროპის პოლიტიკური ლაბორატორიის მიერ შემუშავებული პროგნოზები, რომელიც ლუქსემბურგში გამოქვეყნდა 2018 წელს განხილულია მიგრაციის განვითარების სავარაუდო სცენარები, პროგნოზირებულია ის გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს იმიგრაციას განვითარებული სახელმწიფოებისთვის ხოლო განვითარებადი ან პრობლემური სახელმწიფოებისთვის გაზრდის ემიგრირებული, ქვეყნიდან წასვლის მსურველი მოქალაქეების რაოდენობას, ევროპა ემიგრაციულიდან იმიგრაციულ რეგიონად ბოლო პერიოდში გარდაიქმნა სწორედ იმიტომ, რომ გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, შრომის ბაზარი, განათლების ხარისხი, სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების ფონი და მდგომარეობა, ანალოგიურად დაბალი და საშუალო განვითარების სახელმწიფოებისთვის გამოსავალი მიგრაციის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით არის უკეთესი საცხოვრებელი, შრომის, სოციალური, საგანმანათლებლო პირობების შექმნის ნაწილში.

როგორც წესი თავისუფალი, უვიზო მიმოსვლები თუ ღია არხები, მეტი ხელმისაწვდომობა სატრანსპორტო მიმოსვლებზე, ფრენებზე და სხვა ახალისებს მიგრაციული ნაკადების გადინებას, ამიტომ სახელმწიფოები კარგად უნდა დაფიქრდნენ ვიდრე უფრო ღია მიგრაციის სისტემებს შეიმუშავენ, რადგან ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება შრომისუნარიანი მოქალაქეების ნაკადის გადინება დაასტიმულიროს. არხების გახსნის შემდეგ ძალიან რთულია ნაკადების და მიგრაციული მაჩვენებლების რეგულირება, შეჩერება. დაუგეგმავად ამ რეფორმის გატარებამ შეიძლება არაპროდუქტიული შედეგები გამოიღოს.

### დასკვნა

მიგრაციის პროცესებს საფუძველი „ტანზიმატ“- ის რეფორმამ ჩაუყარა, რომელმაც თურქეთის ტერიტორიაზე რელიგიური ნიშნით დევნილთა და არამხოლოდ დევნილთა შესვლა გახადა შესაძლებელი, ამასთან ამ რეფორმის ფარგლებში ყველა უმცირესობის უფლებები იყო დაცული. მასობრივი გადაადგილებები პირველი და მეორე მსოფლიო ომებთანაც არის დაკავშირებული, რაც თავიდ დროზე საომარი ვითარებებით იყო გამოწვეული, აფრიკის შემთხვევაში რეგიონებს შორის მიგრაცია სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორისაა სიღატაკე, ადამიანის უფლებების დაუცველობა, საფრთხის შემცველი გარემო და ძალადობა. მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს განათლების მიღების სურვილი, სიღარიბიდან გაქცევის მცდელობა, პირადი საჭიროებების დაკმაყოფილება, კონფლიქტისგან და ძალადობრივი გარემოსგან თავის არიდების მცდელობა და სხვა.

მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის მონაცემების გათვალისწინებით ყველაზე პრობლემურ ზონებს წარმოადგენს აფრიკის კონტინენტი აღმოსავლეთი და სამხრეთი ზონები, ყველა სხვა ფაქტორთან შედარებით სტატისტიკას ამძაფრებს და სწრაფი ტემპით ზრდის არასტაბილური, საფრთხის შემცველი გარემო, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის მასიური გადინება და ქვეყნის შრომისუნარიანი მოქალაქეებისგან დაცარიელება. განხილული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

- ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემა არ დგას მხოლოდ სახელმწიფოების და ინსტიტუტების დონეზე, პრობლემა არ იქმნება მხოლოდ მათი უმოქმედობით ან გულგრილობით, პრობლემას ქმნის მოქალაქეების მიერ ადამიანის უფლებების გაუცნობიერებლობის პრობლემა, რისი დამადასტურებელი შედეგებიც სამხრეთ აფრიკის კვლევაშიც აისახა

- ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე მძიმე ფორმებს ცივილიზებულ სამყაროში ტრეფიკინგის სახით ვხვდებით, სამწუხაროდ მისი აღმოფხვრა ვერ ხერხდება, ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფოს გაცილებით მკაცრი ზომების მიღება სჭირდება, ასევე მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებების გატარება.
- ევროპის პოლიტიკური ლაბორატორიის მიერ შემუშავებული პროგნოზების მიხედვით ღია მიგრაციის სისტემების დანერგვამ განსხვავებული შედეგები შეიძლება მოუტანოს განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს, განვითარებულ სახელმწიფოებში რისკ ფაქტორი იმისა, რომ მოქალაქეების მასიური გადინება მოჰყვება გამარტივებულ სავიზო რეჟიმებს მცირეა, ხოლო განვითარებად სახელმწიფოებში შეიძლება გამოიწვიოს მიგრაციის უწყვეტი ნაკადების გადინება, რომლებსაც სახელმწიფო ვერ დაარეგულირებს, ვერ შეაჩერებს, შესაბამისად სახელმწიფო დადგება კრიტიკული სიტუაციის წინაზე, ყველაზე შრომისუნარიანი და ძლიერი ნაკადებისგან ქვეყნის დაცარიელების თვალსაზრისით. სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეებისთვის შესაბამის საცხოვრებელ გარემოს, სოციალურ ეკონომიკურ ფონს, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემას, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების სისტემას წინასწარ განსაზღვრული პროგნოზების გარეშე არ უნდა გაატაროს ასეთი ტიპის პოლიტიკა.
- სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საერთაშორისო უფლებების კონვენციის არამხოლოდ ფორმალურ გატარებას კანონმდებლობაში არამედ ამუშავებდეს მკაცრი კონტროლის სისტემას, ღებულობდეს პერიოდულ ზომებს უსაფრთხოების მექანიზმის განახლების თვალსაზრისით, იკვლევდეს ადამიანის უფლებების დარღვევის სტატისტიკას და შესაბამისად ადგენდეს იმ სუსტ მხარეებს რომლის გაძლიერებასაც მეტი ყურადღება სჭირდება.
- გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის უფლებების გააზრების პროცესი ადრეული ასაკიდან იწყება და მისი გაცნობიერება პირდაპირ კავშირშია განათლებასთან, საჭიროა ადამიანის უფლებების გარკვევის, შემცნების პროცესი სკოლის საგანმანათლებლო სისტემაში უფრო აქტიურად დაინერგოს.

### ბიბლიოგრაფია

1. Umor, Daniel Progress, Communication, Human Rights and Migration;
2. Weissbrodt, David S and Collins, Clay, The Human Rights of Stateless Persons, Human Rights Quarterly, Vol.28 No.1, 2006;
3. International organization for migration- The human rights of migrants, 108;
4. Titan, Emillia, Ghita, Simonna, Covrig, Mihaela, Migration Phenomenon: A globalization Effect or a Cpnsequence of poverty? Procedia-Social and Behavioral Sciences, Vol.62,2012;
5. Human Rights First, Human Trafficking by the numbers, Human rights first trafficking by number report 2017, accessed June 17, 2022;
6. Kyaing Kyaing Thet, Pull and Push Factors of migration: A case study in the urban Area of Moniwa Township, Myammar, n.d;
7. Bosniak, Linda S, Human Rights, State Sovereignty and protection of undocumented migrants under the international migrant workers convention, International Migration Review Vol.25 No.4;
8. Manuel sur les droits de l’homme pour les élus locaux et régionaux. Vol.1 2019;
9. Bahri, Mohammed Thoriq, Understanding the pattern of international Migration: Challenges in hman rights protection;
10. OCDE, International Migration Outlook: Annual Report, International Migration, 2006;
11. Okon, Godwin, B, Media and national development. Course lecture note at Department of english and Communication Arts. Ignatius Ajuru University of Education, 2018;
12. Gatrell, Peter, Refugees and forced migrants during the First World War, Immigrants & Minorities, Vol.26 No.1-2, 2008;
13. UNHCR, Global Trends forced Displacements In 2020, Denmark, June 18.2020;
14. Weissbrodt, David S, Collins, Clay, The Human Rights of Stateless Persons, Human Rights Quarterly, Vol.28 No.1, 2006;
15. International organization for migration- The human rights of migrants, 108;
16. მუხლი I-X, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი.

## სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები თავშესაფრის მოპოვებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

სალომე წიკლაური

დოქტორანტი, ასისტენტი,

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მიგრაციის საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლის სამართლებრივი რეგულირება დამოკიდებულია, როგორც სახელმწიფო ორგანოებზე, ისე სასამართლოზე. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენცია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის ერთ-ერთი მექანიზმია. თავშესაფრის მაძიებელ პირს, რომელიც საქართველოში შემოდის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მოპოვების მიზნით, აქვს გარკვეული უფლება-მოვალეობები, რომლის საფუძველზეც ხდება მისთვის სტატუსის მინიჭება ან უარის თქმა. ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების საკითხი შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა (პოლიტიკური ნიშნით, რელიგიური ნიშნით და სხვა) საფუძველს. საბოლოოდ, გადაწყვეტი რგოლი, რომელიც განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებელი პირის სამართლებრივ მდგომარეობას, არის სასამართლო. იგი ახორციელებს საპროცესო მოქმედებებს ისე, რომ არ დაარღვიოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესები, ასევე თავშესაფრის მაძიებელი პირის უფლებები.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით, სასამართლო არ არის შეზღუდული, როგორც მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის მხრივ, ასევე თვითინიციატივით გამოიკვლიოს პირის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სასამართლოს თვითინიციატივა მოიცავს, არა მხოლოდ ფორმალურად დადგენილ სტანდარტს, არამედ შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში, თვითინიციატივით, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუმცა, გარკვეულ საკითხებში, საქმის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლოს შესაძლებლობა შეიძლება შეიზღუდოს. საბოლოოდ, სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციათა გადანაწილების გათვალისწინებით, არსებობს ზღვარი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სრულყოფილი შედეგის მიღწევა თავშესაფრის მაძიებელი პირის უფლებათა დაცვის ასპექტში.

**საკვანძო სიტყვები:** თავშესაფრის მაძიებელი, სასამართლო, ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსი, თვითინიციატივა.



## შესავალი

თავშესაფრის მაძიებელი პირისათვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, იმისათვის, რომ სახელმწიფოს დაეკისროს ვალდებულება, არ დაუშვას უცხო ქვეყნის მოქალაქის იმ ქვეყანაში დაბრუნება, სადაც იგი შეიძლება გახდეს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ქმედებების მსხვერპლი, უნდა დადასტურდეს საფრთხის რეალურობა და მიმღებ სახელმწიფოს არ უნდა შეეძლოს გააქარწყლოს ეს საფრთხე შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფით.<sup>1</sup> უნივერსალურობის თეორიიდან გამომდინარე, ადამიანის დაცვა უნდა ხდებოდეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.<sup>2</sup> თავშესაფრის მაძიებელი პირი ვალდებულია, გაიაროს შესაბამისი პროცედურა ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მოპოვების მიზნით.<sup>3</sup> იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო (შსს მიგრაციის დეპარტამენტი) არ დააკმაყოფილებს თავშესაფრის მაძიებელი პირის მოთხოვნას, თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.<sup>4</sup> ამ მხრივ საინტერესოა, როგორც საქმის განხილვის სამართლებრივი ასპექტები, ისე სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები, საქმის გამოკვლევის პროცესში.

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე სასამართლოში საქმის განხილვას აქვს სპეციფიკური მახასიათებლები (მაგ., საქმის განხილვის დაჩქარებული ვადები, ადვოკატის სავალდებულო დანიშვნა, თარჯიმნით უზრუნველყოფა, გადაწყვეტილების გასაჩივრების განსხვავებული ვადა და სხვა). სასამართლო, თავისი დისკრეციის ფარგლებში იკვლევს და აფასებს თავშესაფრის მაძიებელ პირთა სამართლებრივ და ფაქტობრივ (მაგ., წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაცია) მდგომარეობას და შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას.<sup>5</sup>

სტატიაში განხილული იქნება თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მოიცავს, როგორც სასამართლოში მიმდინარე პროცედურულ საკითხებს, ისე მოსამართლის ინკვიზიციურობას. კერძოდ, წარმოჩენილი იქნება:

- თავშესაფრის მაძიებელი პირის ის საპროცესო უფლებები, რომელსაც უზრუნველყოფს სასამართლო;
- სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა მოპოვების საკითხი - რა სახის მტკიცებულებებს აგროვებს სასამართლო თვითინიციატივით;
- სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის საკითხი - საბოლოოდ, რა შედეგის მიღწევაში ეხმარება სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები და როგორ აისახება თავშესაფრის მაძიებლის მდგომარეობაზე. შესაბამისად, შეფასდება თავშესაფრის მინიჭებასთან დაკავშირებით სასარჩლო წარმოების თავისებურებანი.

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N27765/09, *Hirsi Jamaa and others v. Italy*“ 2012 წლის 23 თებერვალი, პარაგრაფი 120.

<sup>2</sup> ფიცხალაშვილი, ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, სამეცნიერო ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #2(41), 2014, გვ. 74.

<sup>3</sup> „საერთაშორისო დაცვის შესახებ, საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016.

<sup>4</sup> მუხლი 21<sup>24</sup>, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37801/97 „*Suominen v. Finland*“, 2003 წლის 24 ივლისი. პარაგრაფი 34; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N16034/90 „*Van de Hurk v. the Netherlands*“, 1994 წლის 19 აპრილი. პარაგრაფი 61.

ამდენად, სასამართლოს მიდგომა, როგორც იმპერატიულად დადგენილი სამართლებრივი ნორმების გამოყენების თვალსაზრისით, ისე ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელი პირისათვის სტატუსის მინიჭების მხრივ გადაწყვეტი მნიშვნელობისაა.

## 1. თავშესაფრის მაძიებლის სამართლებრივი უფლებები

### 1.1. ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიმართვის უფლება

უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ტოვებს თავის ქვეყანას და შემოდის საქართველოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მიზნით, უპირველეს ყოვლისა უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ ზოგად კრიტერიუმებს.<sup>6</sup> აღნიშნული გულისხმობს, რომ მას უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თავის ქვეყანაში გახდება დევნის მსხვერპლი და შიშიდან გამომდინარე, არ უნდა სურდეს ან არ უნდა შეეძლოს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება ან იგი შეიძლება ვერ აკმაყოფილებდეს ლტოლვილის სტატუსის მინიჭების პირობებს, მაგრამ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში სერიოზული ზიანის საფრთხის წინაშე დადგება.<sup>7</sup> თუ მიგრანტი თვლის, რომ აქვს ასეთი მდგომარეობა, იგი განცხადებით მიმართავს სახელმწიფო ორგანოს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.<sup>8</sup> თუ ადმინისტრაციული ორგანო თავისი წარმოების ფარგლებში დაადგენს, რომ პირს არ უნდა მიენიჭოს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი, თავშესაფრის მაძიებელი პირი დავას იწყებს სასამართლოში, რაშიც იგი შეზღუდული არ არის.<sup>9</sup> მეტიც, საქმის წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე, მისი საქართველოდან გაძევება დაუშვებელია.<sup>10</sup> საქართველოში ყოფნის პერიოდში, პირი სარგებლობს იმ სოციალური სიკეთეებით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კანონმდებლობიდან გამომდინარე.<sup>11</sup>

### 1.2. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება

მას შემდეგ, რაც თავშესაფრის მაძიებელ პირს ჩაბარდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, მას უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გასაჩივრებული აქტის კანონიერების შემოწმება, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის სასამართლოს მხრიდან დავალება, რომ მიენიჭოს ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსი.

განსახილველ საქმეზე სადავო საკითხის მარეგულირებელი, საყოველთაოდ აღიარებული ნორმები რეგლამენტირებულია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენციაში, რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის N1996 -II ს დადგენილებით.

<sup>6</sup> მუხლი 6, „საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“ 15 დეკემბერი, 2016.

<sup>7</sup> მუხლი 15, „საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“ 15 დეკემბერი, 2016.

<sup>8</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „თავშესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 06 აპრილი.

<sup>9</sup> მუხლი 31, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995.

<sup>10</sup> Field, O., (with the assistance of Alice Edwards) Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees, Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees (April 2006), p. 41-45.

<sup>11</sup> მუხლი 33, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995.

სასამართლო პირველ ეტაპზე ადგენს თავშესაფრის მამიებელი პირის საპროცესო უფლებებს, რაც საქმის საბოლოო განხილვამდე რეგულირდება. იმ შემთხვევაში, თუ პირს არ ჰყავს ადვოკატი, სასამართლო თვითინიციატივით, სახელმწიფოს ხარჯზე უნიშნავს მოსარჩელეს ადვოკატს.<sup>12</sup> მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ტიპის სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდებინება. ამდენად, თავშესაფრის მამიებელს გარკვეულ საკითხებში აქვს საპროცესო პრივილეგიები, რასაც სავალდებულოდ ასრულებს სასამართლო. ამ კატეგორიის დავებთან დაკავშირებით საქმის განხილვა ხდება სარჩელის წარმოებაში მიღებიდან არაუგვიანეს ორი თვისა,<sup>13</sup> თუმცა საქმის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ სასამართლო სრულყოფილად არ გამოიკვლევს საქმესთან დაკავშირებულ ყველა გარემოებას. საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, სასამართლო სხდომებზე, თავშესაფრის მამიებელი უზრუნველყოფილია მისთვის გასაგები ენის თარჯიმნით. ასევე, სპეციფიკურია გადაწყვეტილების ჩაბარებისა და გასაჩივრების წესი. მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თავშესაფრის მამიებელ პირს გადაწყვეტილება უნდა ჩაბარდეს მისთვის გასაგებ ენაზე ნათარგმნი სახით. აღნიშნულის შემდეგ მას უფლება აქვს გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში (გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში) 15 დღის ვადაში.<sup>14</sup> ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, გადაწყვეტილების გასაჩივრების ასეთი მაქსიმალური ვადა მხოლოდ მსგავსი ტიპის დავებს ახასიათებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თუ თავშესაფრის მამიებელ პირს კანონით დადგენილი წესით ვერ ბარდება მის ენაზე ნათარგმნი გადაწყვეტილება (ფოსტის მეშვეობით ან პირადად), სასამართლო არ იყენებს საჯარო გამოქვეყნების გზით მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარების წესს. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ემსახურება თავშესაფრის მამიებლის დაცვას, მისი წარმოშობის ქვეყანაში მასზე ინფორმაციის გავრცელების თავიდან არიდების მიზნით. ასევე, თავშესაფრის მამიებელი, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ითვლება, რომ საქართველოში იმყოფება ლეგალურად და უფლება აქვს ისარგებლოს სხვა სოციალურ-სამართლებრივი სიკეთეებით,<sup>15</sup> გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი განმეორებით ან ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო არ მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

შედარების მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელი, რომელიც საქართველოში შემოდის ბინადრობის უფლების მოპოვების მიზნით, მასზე არ ვრცელდება ზემოთჩამოთვლილი ყველა საპროცესო პრივილეგია, გარდა სასამართლო სხდომებზე თარჯიმნის ყოლისა.<sup>16</sup> ამდენად, როგორც გამოიკვეთა, ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მამიებელი პირის მიმართ არსებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება სპეციფიკურობითა და განსაკუთრებულობით გამოირჩევა.

## 2. სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსამართლის თვითინიციატივის ფარგლებს ინკვიზიციურობის პრინციპი განსაზღვრავს.<sup>17</sup> აღნიშნული გულისხმობს, რომ თავშესაფრის მამიებლის უფლებასთან ერთად, წარადგინოს სასამართლოში

<sup>12</sup> მუხლი 5, პუნქტი 2<sup>3</sup>, „იურიდული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 19 ივნისი, 2007.

<sup>13</sup> მუხლი 21<sup>25</sup>, ნაწილი პირველი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

<sup>14</sup> მუხლი 21<sup>25</sup>, ნაწილი მე-2, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

<sup>15</sup> მუხლი 56, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016.

<sup>16</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N3/6427-21, 17 დეკემბერი, 2021.

<sup>17</sup> მუხლი 4, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.



მტკიცებულებები, რომელსაც იგი საჭიროდ თვლის, სასამართლოსაც შეუძლია დაეხმაროს მას, მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოკვლევის ფარგლებში. სასამართლოში საქმის წარმოების ეტაპზე, პროცესში მონაწილე ყველა მხარე (მოსარჩელე და მოპასუხე) ვალდებულია, წარუდგინოს სასამართლოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, მისცეს ახსნა-განმარტებები და სწორი/სანდრო ინფორმაცია. ამდენად, სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები არ ათავისუფლებს მხარეებს აქტიურად გამოიყენონ შეჯიბრებითობის პრინციპი.

## 2.1. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოდან მტკიცებულებათა გამოთხოვა

სასამართლო, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ ავალებს მოპასუხე - ადმინისტრაციულ ორგანოს მის ხელთ არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენას. ადმინისტრაციული წარმოების მასალები მოიცავს ყველა იმ მტკიცებულებას, რაც თავშესაფრის მაძიებელი პირის მიმართ შეგროვდა.<sup>18</sup> მაგ., ანკეტა, თავშესაფრის მაძიებელთან გასაუბრების ოქმი,<sup>19</sup> რომელშიც დეტალურადაა განხილული მიზეზები, თუ რის გამო დატოვა მან წარმოშობის ქვეყანა, ხორციელდებოდა თუ არა მის მიმართ რაიმე სახის დევნა და სხვა. გასაუბრების ოქმში ასახულია თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, დევნაში ძირითადად მოიაზრება რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების გამო ბოჭვა. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო მტკიცებულების სახით წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს სტატუსის დადგენის განყოფილების მიერ შედგენილ დასკვნას, რაც ასახავს არგუმენტებს, რომლებიც მოსარჩელემ მოთხოვნას დაუდო საფუძვლად; დასახელებული არგუმენტების შეფასებას სამმართველოს მიერ; დადგენილ კრიტერიუმებთან დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისობის შეფასებას 1951 წლის ქენევის კონვენციის მიხედვით; მსჯელობას დაინტერესებული პირის მიმართ დევნის განხორციელების საფუძვლიანი შიშის რეალურობის არარსებობის შესახებ. დასკვნაში ასახული რეკომენდაციით, საერთაშორისო დაცვის საკითხთა სამმართველოს სტატუსის დადგენის განყოფილება მიიჩნევს, აკმაყოფილებს თუ არა თავშესაფრის მაძიებელი 1951 წლის ქენევის კონვენციის 1A(2) მუხლითა და "საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 და მე-19 მუხლებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სასამართლო ასევე ითხოვს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციას, რომლითაც ადგენს რეალურია თუ არა დევნა, რომელზეც მიუთითებს თავშესაფრის მაძიებელი წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.

იმის გათვალისწინებით, რომ მიგრაციის საქმეების განხილვას გააჩნია სპეციფიკური მახასიათებლები, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ ფაქტებზე, არამედ თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, სასამართლო ადარებს მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტებას და ადმინისტრაციულ ორგანოში, გასაუბრებაში ასახულ გარემოებებს, რათა დაზუსტდეს, ხომ არ ხდება მოსარჩელის მხრიდან ცრუ ინფორმაციის მიწოდება და სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მცდელობა. ამ მხრივ სასამართლოს გააჩნია განსაკუთრებული დისკრეცია, თვითინიციატივის ფარგლებში გადაამოწმოს ყველა მტკიცებულება და ფაქტი,

<sup>18</sup> მუხლი 5, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 06 აგვისტოს N588 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დებულება

<sup>19</sup> მუხლი 35, პუნქტი 2, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016.



დამატებით გამოითხოვოს სხვა მტკიცებულებები, რასაც საჭიროდ მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია საქმის სრულყოფილად გამოკვლევისათვის.<sup>20</sup>

## 2.2. სასამართლოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა

უცხოელ პირს, რომელსაც სურს საქართველოში თავშესაფრის მიღება, ზემოაღნიშნული პროცედურების გავლის ფარგლებში ამოწმებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ხომ არ არის პირის საქართველოში გადაადგილება ან მისთვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი. ასეთი ინფორმაცია საიდუმლო ხასიათისაა და მისი შესწავლა სპეციალური წესების დაცვით ხდება. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე დაფუძნებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემულ დასკვნაზე, თავშესაფრის მაძიებელი პირის საქართველოში ყოფნის არამიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თვითინიციატივით გამოითხოვოს საიდუმლო ინფორმაცია, რომლითაც ადგენს არის თუ არა პირი სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი.<sup>21</sup> სასამართლო, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, დახურულ სხდომაზე იკვლევს წარმოდგენილ მტკიცებულებას ისე, რომ სასამართლო სხდომას არ ესწრება არც ერთი პირი.<sup>22</sup> აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევის შემდეგ, სასამართლოს უჩნდება შინაგანი რწმენა გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.<sup>23</sup> მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მოცემული ინფორმაცია არ მქლავდება მხარეებთან, მათ შორის არც თავშესაფრის მაძიებელ პირთან, რომელსაც ეხება ინფორმაცია. ასევე, ეს ინფორმაცია არ აისახება სასამართლოს გადაწყვეტილებაში. საიდუმლო ინფორმაციის გამოკვლევისა და სხვა გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების მოთხოვნის დაკმაყოფილებას, უარის თქმას ან ადმინისტრაციული ორგანოსთვის დავალებას, ხელახლა შეისწავლოს მტკიცებულებები და ფაქტობრივი გარემოებები.

იმის გათვალისწინებით, რომ პირის მიმართ სახელმწიფოსგან მოძიებული ინფორმაცია არის საიდუმლო, მისი შესწავლისა და გამოკვლევის ერთადერთი საშუალება თავშესაფრის მაძიებლისთვის არის სასამართლო, რომლის მიმართაც თავშესაფრის მაძიებელ პირს უნდა გააჩნდეს ნდობა, რომ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება.<sup>24</sup> თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს სარჩელს, თავშესაფრის მაძიებელს შეუძლია, მისთვის მინიჭებული იგივე უფლებების გამოყენებით, გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, თავშესაფრის მაძიებელს აქვს ორმაგი კონტროლის საშუალება, გადაამოწმოს თავის შესახებ ინფორმაცია არის თუ არა

<sup>20</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N21522/93 „Georgiadi v. Greece“, 29 მაისი, 1997. პარაგრაფი 43.

<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N8139/09 „Othman (Abu Catada) v. The United Kingdom“, 9 მაისი, 2012. პარაგრაფები 183-185.

<sup>22</sup> მუხლი 20<sup>1</sup>, ნაწილი პირველი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, N7, თბილისი, 2021, გვ. 14-20.

<sup>23</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37201/06 „Saadi v. Italy“, 28 თებერვალი, 2008. პარაგრაფები 125 და 138.

<sup>24</sup> გეგენავა, დ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთი საკითხი, წიგნი: გიორგი კვერენჩილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022, 144-152.

სრულყოფილად შესწავლილი და ობიექტურად არ ჩათვალოს, რომ იგი გახდა უსამართლობის მსხვერპლი.<sup>25</sup>

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თავშესაფრის მამიებელი პირი, რომელსაც სახელმწიფო უარს ეუბნება საქართველოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაცემული რეკომენტაციით, მას აქვს უფლება სასამართლოს მეშვეობით გადაამოწმოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის რელევანტურობა. აქვე, სასამართლო უფლებამოსილია, თვითინიციატივით გამოითხოვოს ეს მტკიცებულება და შეაფასოს, რამდენად ადეკვატური ფაქტები უდევს საფუძვლად პირის საქართველოში ყოფნის მიზანშეუწონლობის საკითხს. აუცილებელი არ არის, რომ სასამართლო სხდომაზე მხარემ იშუამდგომლოს აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა, რამდენადაც ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენებით, მოსამართლეს შეუძლია შესთავაზოს მხარეს ასეთი ინფორმაციის თვითინიციატივით გამოთხოვა ან დამოუკიდებლად გამოითხოვოს ის.<sup>26</sup>

საყურადღებოა ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვას, თუმცა თავშესაფრის მამიებელი არ ეთანხმება ასეთი ინფორმაციის სასამართლოსთვის მიღებას, ან როდესაც სასამართლო ითხოვს საიდუმლო ინფორმაციას მხარეთა პოზიციის მოსმენის გარეშე. ერთი მხრივ თვითინიციატივა მიმართულია იმისკენ, რომ მხარეთა შუამდგომლობის გარეშე შეძლოს სასამართლომ სრულყოფილად საქმის გამოკვლევა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება თავშესაფრის მამიებლის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც, თავისი ახსნა-განმარტების მიხედვით, იგი წამოსულია წარმოშობის ქვეყნიდან დევნის გამო. შესაძლოა, მას არ სურდეს თავის შესახებ პერსონალური ინფორმაციის ვინმესთვის, თუნდაც სასამართლოსთვის გაზიარება. ამდენად, სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები, როდესაც საქმე ეხება იმგვარ მტკიცებულებებს, რომლებიც მიგრანტის შესახებ საიდუმლო ინფორმაციას განეკუთვნება, უნდა საჭიროებდეს ასეთი პირის თანხმობას, მკაცრად განსაზღვრული წესის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელისთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ვერ გახდება.

### 3. სასამართლოში საქმის განხილვისას გამოვლენილი პრობლემური ასპექტები

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სასამართლოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თაობაზე საქმის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოსთვის მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული მასალების შეფასება. სასამართლო დეტალურად და ზედმიწევნით იკვლევს წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რაც მას ხელთ აქვს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება არ გულისხმობს მხოლოდ მისი ფორმალური ნაწილის შესწავლას. სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება თავისთავად არ ნიშნავს სამართლიანს. ამდენად, საქმის განხილვის პროცესში სასამართლო აქტიურად არის ჩართული ყველა მტკიცებულების ან საკითხის დეტალურად გამოკვლევაში. თავშესაფრის მამიებლის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტება, რომელიც დაფუძნებულია არა მხოლოდ მისი წარმოშობის ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, არამედ დევნის შიშზე, ინდივიდუალურ შემთხვევაში შეიძლება იყოს რეალური ან ცრუ ინფორმაცია.

<sup>25</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N38/374-22, 29 მარტი, 2022.

<sup>26</sup> კოპალეიშვილი, მ., სხირტლამე, ნ., ქარდავა, ე., ტურავა, პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ. 244-246.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (შემდგომში - UNHCR)<sup>27</sup> 1998 წლის 16 დეკემბერს გამოცემულ ანგარიშში, ლტოლვილთა საჩივრებში მტკიცებულების ტვირთსა და სტანდარტებზე, ადგენს, რომ „სანდოობა დადგენილია, როდესაც განმცხადებელმა წარმოადგინა ისეთი საჩივარი, რომელიც ლოგიკური და დამაჯერებელია, არ ეწინააღმდეგება ზოგადად ცნობილ ფაქტებს და ამასთან, დაბალანსებულია და შესაძლებელია, რომ სარწმუნოდ იქნას მიჩნეული“.

ამდენად, „საფუძვლიანი შიში“ შედგება სუბიექტური და ობიექტური ელემენტებისაგან. განმცხადებლის განწყობა გამყარებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებებით და შესაბამისი მტკიცებულებებით. სანდოობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- კონკრეტულობა და საკმარისი დეტალები;
- განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ზეპირი ანდა წერილობითი ინფორმაციის შესაბამისობა;
- წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებულ ინფორმაციასთან შესაბამისობა;
- დამაჯერებლობა.

ზოგადად, მოსარჩელის სანდოობის შემოწმებისას, სასამართლო ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა საქმის განხილვის პროცესში წარდგენილი არსებითი ფაქტების საფუძვლიანობა და თავშესაფრის მაძიებლის მიერ გადმოცემული ფაქტების თანმიმდევრულობა/ურთიერთშესაბამისობა (ანკეტა, გასაუბრების მასალა). მაგ., თავშესაფრის მაძიებელი პირი ითხოვს ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებას იმ საფუძვლით, რომ იგი არის რელიგიური ნიშნით დევნილი და მიაჩნია, რომ თუ იგი დაბრუნდება თავისი წარმოშობის ქვეყანაში, სარწმუნოების შეცვლის გამო მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგება. თვალსაჩინოებისთვის, თუ თავშესაფრის მაძიებლის წარმოშობის ქვეყანა ეგვიპტე, რომელიც არის ისლამური რესპუბლიკა, ხოლო თავშესაფრის მაძიებელი მიუთითებს, რომ მან მიიღო ქრისტიანობა და აქვს შიში, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში შეიძლება მოკლან,<sup>28</sup> ან პირი საქართველოში ითხოვს თავშესაფარს იმ მიზნით, რომ წარმოშობის ქვეყანაში იგი იყო ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრი და ამის გამო მასზე ხორციელდებოდა დევნა, სუბიექტურად, შიში შესაძლოა იყოს რეალური, თუმცა, მეორე მხრივ, თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია ჰქონდეს მტკიცებულებები, რომლითაც დაადასტურებს, რომ კონკრეტულად მის მიმართ ხორციელდება ან შეიძლება განხორციელდეს დევნა.<sup>29</sup> ამდენად, სუბიექტური შიში გამყარებული უნდა იყოს ობიექტური, რეალური მტკიცებულებებით.

ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საქმის წარმოების მასალების გამოკვლევის პროცესი. მოსამართლე დეტალურად იკვლევს, ხომ არ გამორჩა რაიმე მტკიცებულების შეფასება ადმინისტრაციულ ორგანოს. მაგ., თავშესაფრის მაძიებელი, რომელიც განმარტავს, რომ რელიგიური ნიშნის გამო მასზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა (მაგ., ოჯახის წევრის მხრიდან), ხოლო აღნიშნულის

<sup>27</sup> შეიქმნა 1950 წელს, გენერალური ასამბლეის 1949 წლის 3 დეკემბრის №319 (IV) რეზოლუციით და მისი მანდატი ითვალისწინებს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვას და სახელმწიფოების ხელშეწყობას ამ ადამიანების პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის მიმართულებით.

<sup>28</sup> ეგვიპტე. მუსლიმთა საძმო: ორგანიზაციის იდეოლოგია და მოკლე ისტორია. მარტი, 2018 <http://coimra.gov.ge/ka/2018/03/05/%E1%83%94%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%9D/> [უ. გ. 01.03.2023].

<sup>29</sup> სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად“, UNHCR, გვ. 18-25.



დამადასტურებლად წარმოადგენს ჯანმრთელობის ცნობას, რომელშიც ექიმის მიერ მითითებულია, რომ განმცხადებლის სხეულზე აღინიშნებოდა დაზიანებები, მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიკვლიოს განმცხადებლის მიერ მიწოდებული ყველა მტკიცებულება, ხოლო მეორე საკითხია სანდოდ მიიჩნეოს თუ არა მას. ამდენად, სასამართლო მკაცრად აკონტროლებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩატარებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესს, რომ არ მოხდეს რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამორჩენა ან უგულებელყოფა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები მოიცავს თავშესაფრის მამიებელი პირისათვის ხელშეწყობას სასამართლო სხდომაზე გადაამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა, მის შესახებ არსებული ინფორმაცია, გამოითხოვოს მტკიცებულებები, მოისმინოს მხარეთა ახსნა-განმარტება, ხოლო დანარჩენ ნაწილში სასამართლო შებოჭილია თვითონ განახორციელოს გარკვეული მოქმედებანი. მაგ., თუ სასამართლო ჩათვლის, რომ თავშესაფრის მამიებელ პირთან ადმინისტრაციულ ორგანოში გასაუბრება ჩატარდა არასრულყოფილად, ან რაიმე მტკიცებულება არ არის გამოკვლეული, სასამართლო თავიდან ავალებს მოპასუხე - ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის ხელახლა შესწავლას.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წარმოშობის ქვეყნის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არის ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულება, გამოკვეთოს თავშესაფრის მამიებლის მოთხოვნის რეალური მოცემულობა. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია უნდა იყოს სანდო წყაროდან მიღებული და შეესაბამებოდეს წარმოშობის ქვეყანაში არსებულ იმ პერიოდის მდგომარეობას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავშესაფრის მამიებელი პირისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე საბოლოო შეფასება ხდება სასამართლოს მიერ, თუმცა მხოლოდ სასამართლოს მიხედულობა ვერ დაადგენს საქმეზე ჭეშმარიტებას, თუ მხარეთა აქტიური ნება არ იქნება გამოვლენილი, რაც, საბოლოოდ, დააზიანებს თავშესაფრის მამიებლის ან სახელმწიფოს ინტერესებს.

## დასკვნა

თავშესაფრის მამიებელი პირისათვის ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის საკითხის შესწავლას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანო - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი, ხოლო სასამართლო აფასებს მის მიერ უარის თქმის საფუძვლებს, იკვლევს საქმის მასალებს, თვითინიციატივის ფარგლებში ადგენს თავშესაფრის მამიებელი პირის რეალურ მდგომარეობას და მხოლოდ შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას. როგორც გამოიკვეთა, სასამართლო მიმართულია, დაიცვას ბალანსი, რომ არ დაირღვეს თავშესაფრის მამიებელი პირის სოციალურ-სამართლებრივი უფლებები და სახელმწიფო უსაფრთხოება. აღნიშნული საკითხის შესწავლა სასამართლო წარმოებისას საკმაოდ რთულია და დიდი ძალისხმევა სჭირდება, თუმცა მოსამართლის მიხედულობისა და ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, რომლითაც იგი იკვლევს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, თავშესაფრის მამიებელი პირის უფლებების შელახვას მინიმალურ დონეზე ამცირებს.

სტატიაში გამოიკვეთა ის საპროცესო უფლებები, რომელიც საქმის განხილვის ეტაპზე თავშესაფრის მამიებელს გააჩნია. ასევე, გამოვლინდა სასამართლოს თვითინიციატივის ფარგლები, რა მექანიზმების გამოყენებით შეუძლია მას მტკიცებულებათა მოპოვება, მათი გადამოწმება და სამართლიანი შედეგის მიღება. ამასთან, შეფასდა საიდუმლო ინფორმაციის სასამართლოს მხრიდან გამოთხოვისა და შეფასების საკითხი.

გამოიკვეთა საქმის განხილვისას არსებული პრობლემური ასპექტები:



- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მტკიცებულებათა სრულყოფილი გამოკვლევა;
- თავშესაფრის მაძიებლის მიერ მიცემული ინფორმაციის სანდოობის დადგენა;
- თავშესაფრის მაძიებელი პირის წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება;
- სასამართლოს მიერ შეგროვებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის ეფექტიანობა.

არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ თავშესაფრის მაძიებელს აქვს პრივილეგირებული უფლებები სწორედ იმიტომ, რომ აღნიშნული სტატუსის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, მისი მინიჭება ხანგრძლივი პროცედურებისა და საქმის გარემოებების დეტალურად შესწავლის შედეგად ხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ მოქმედებს თავშესაფრის მაძიებლის სამართლებრივ მდგომარეობაზე. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან, თუ პირს საქართველოში ყოფნის სხვა საფუძველი არ გააჩნია, იგი ვალდებულია დატოვოს საქართველო, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი გაძევება, რაც გულისხმობს წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნებას.<sup>30</sup> ამდენად, სწორედ სასამართლოს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა, დეტალურად და სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმეში არსებული მტკიცებულებები და ობიექტურად შეაფასოს გარემოებები, რადგან თუ აღმოჩნდება, რომ სახელმწიფომ არასწორად შეუზღუდა თავშესაფრის მაძიებელ პირს საქართველოში ლტოლვილის/ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების უფლება, დაირღვევა არა მხოლოდ ქართული კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული უფლება, მიგრაციის საკითხებთან მიმართებით.

საბოლოოდ, სასამართლო თავისი დისკრეციის ფარგლებში და კანონმდებლობის საფუძველზე, იცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს, რითაც უზრუნველყოფს მიგრანტთა უფლებების დაცვას, არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

---

<sup>30</sup> Priebe, Stefan, Giacco, Domenico & El-Nagib, Rawda. Public health aspects of mental health among migrants and refugees: a review of the evidence on mental health care for refugees, asylum seekers and irregular migrants in the WHO European Region. World Health Organization. Regional Office for Europe. (2016). p. 18-20. <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/326308/9789289051651-eng.pdf?sequence=3&isAllowed=y>. [უ. გ. 01.03.2023].

## ბიბლიოგრაფია

1. გეგენავა, დიმიტრი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთი საკითხი, წიგნში: გიორგი კვერენჩილაძე 50, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2022;
2. კოპალეიშვილი, მზია, სხირტლაძე, ნინო, ქარდავა, ეკატერინე, ტურავა, პაატა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე, N7, თბილისი, 2021;
4. სახელმძღვანელო ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურისა და კრიტერიუმების შესახებ „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და 1967 წლის ოქმის თანახმად“, UNHCR;
5. ფირცხალაშვილი, ანა. ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, სამეცნიერო ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, #2(41), 2014;
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე N27765/09, *Hirsi Jamaa and others v. Italy*“ 2012 წლის 23 თებერვალი, პარაგრაფი 120;
7. საქართველოს კონსტიტუცია;
8. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
9. „იურიდული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, 19 ივნისი, 2007;
10. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონი, 15 დეკემბერი, 2016;
11. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 06 აგვისტოს N588 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დებულება;
12. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „თავმესაფრის პროცედურის დამტკიცების შესახებ“, 2020 წლის 06 აპრილი;
13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმეზე N3ბ/374-22, 29 მარტი, 2022;
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე N3/6427-21, 2021 წლის 17 დეკემბერი;
15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N16034/90 „*Van de Hurk v. the Netherlands*“, 1994 წლის 19 აპრილი;
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N21522/93 „*Georgiadis v. Greece*“, 1997 წლის 29 მაისი;
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37801/97 „*Suominen v. Finland*“, 2003 წლის 24 ივლისი;
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N37201/06 „*Saadi v. Italy*“, 2008 წლის 28 თებერვალი;
19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N8139/09 „*Othman (Abu Catada) v. The United Kingdom*“, 2012 წლის 9 მაისი;
20. Ophelia. Field, (with the assistance of Alice Edwards) Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees, Alternatives to Detention of Asylum Seekers and Refugees (April 2006);
21. Priebe, Stefan, Giacco, Domenico & El-Nagib, Rawda. Public health aspects of mental health among migrants and refugees: a review of the evidence on mental health care for refugees, asylum seekers and irregular migrants in the WHO European Region. World Health Organization. Regional Office for Europe. 2016.

<https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/326308/9789289051651-eng.pdf?sequence=3&isAllowed=y>. [უკანასკნელად გადამოწმდა 01.03.2023];

22. ეგვიპტე. მუსლიმთა სამო: ორგანიზაციის იდეოლოგია და მოკლე ისტორია. მარტი, 2018 <http://coimra.gov.ge/ka/2018/03/05/%E1%83%94%E1%83%92%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%94-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%9D/> [უკანასკნელად გადამოწმდა 01.03.2023].

## ნიმუხი იმპერიალის რესპუბლიკური მოდელი საფრანგეთის რესპუბლიკაში

ეკა დარბაიძე

დოქტორი, ასოცირებული მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ყველა ადამიანს აქვს ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში თავისუფალი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება.*

*ყველა ადამიანს აქვს უფლება დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც, და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.*

*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 13*

### აბსტრაქტი

2010 წლიდან ევროპა უპრეცედენტო მიგრაციული კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. ევროკავშირის სახელმწიფოები დღემდე ცდილობენ, შეთანხმდნენ მიგრაციაზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღზევებულმა ულტრა მემარჯვენე პოლიტიკურმა ძალებმა ევროპაში მოახერხეს ამომრჩეველთა მზარდი ნაკადების მობილიზება, რომლებიც აქტიურად ცდილობენ წარმოაჩინონ ერთგვარი კავშირი მიგრაციული ნაკადების ზრდას, ტერორიზმს, ისლამური ფუნდამენტალიზმის ზრდასა და ევროკავშირის წევრობას შორის. აღნიშნულ კონტექსტში, იმიგრანტთა ინტეგრაციის დამკვიდრებული მოდელების შესწავლა მკვლევარებში მზარდ ინტერესს იწვევს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა შეფასდეს, აღნიშნული მოდელების ეფექტურობა ზემოთ აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად.

1980-იანი წლებიდან მიღებული აქტიურად მიმდინარეობს ინტეგრაციის იდეის ასოცირება ერთგვარ „მოდელთან“, რომლის მიხედვით თითოეულ ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰქონოდა შემუშავებული კონკრეტული მოდელი იმიგრანტებთან ურთიერთობისას. აღნიშნული ცნება არ არის საფუძველს მოკლებული, თუმცა იწვევს ქვეყნების მრავალფეროვნების მართვის გამარტივებულ და ნაწილობრივ არასწორ წარმოდგენას.

აღნიშნული სტატია შეეხება საფრანგეთში მიგრანტთა ინტეგრაციის პრობლემას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საფრანგეთის რესპუბლიკა კვლავ რჩება იმიგრანტებისთვის საცხოვრებლად ერთ-ერთ სასურველ ქვეყნად ევროკავშირის სივრცეში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემდეგ. საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგად შექმნილი და ერთგვარ იდეოლოგიურ ელემენტებზე დაფუძნებული მოქალაქეობის გაგება, დღეს საფრანგეთში ემყარება სამოქალაქო ინდივიდუალიზმისა და ეროვნული თანამედროვეობის ჩარჩოს. სამოქალაქო ინდივიდუალიზმი განიხილავს აბსტრაქტულ ინდივიდს, როგორც უფლებების ერთადერთ ფოკუსს და უარს ამბობს ეთნო-რასობრივი განსხვავების აღიარების ნებისმიერ გამოვლინებაზე საჯარო სფეროში.

წლების განმავლობაში მზარდი მიგრაცია და ბინადრობასა და მოქალაქეობაზე გაზრდილი მოთხოვნა თავისთავად წარმოშობს მათი ფრანგულ სახელმწიფოში უსაფრთხო და



წარმატებული ინტეგრაციის აუცილებლობას, რომლის ეფექტური პოლიტიკის შემუშავება დღემდე ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ფრანგული სახელმწიფოსათვის. სრულიად ბუნებრივია ჩნდება გარკვეული შეკითხვები იმიგრანტთა ინტეგრაციის ეფექტურობასთან დაკავშირებით, კერძოდ საინტერესოა იმის დადგენა, ჩავარდა თუ არა და რამდენად ეფექტურად მუშაობს დღეს იმიგრანტთა ინტეგრაციის რესპუბლიკური ფრანგული მოდელი, როგორია აღნიშნული პოლიტიკის მიმართ საზოგადოების შეფასება და რაც მთავარია, რამდენად ეფექტურად ასრულებს მთავარ დანიშნულებას და უწყობს ხელს იმიგრანტთა წარმატებულ ინტეგრაციას ფრანგულ სახელმწიფოში.

**საკვანძო სიტყვები:** რესპუბლიკური ინტეგრაციის ფრანგული მოდელი, იმიგრანტები, ინტეგრაცია და ასიმილაცია, რესპუბლიკური ღირებულებები.

## შესავალი

სულ რამდენიმე საკითხია ევროპული პოლიტიკისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ინტეგრაცია, თუმცა იმიგრანტულ თემში ინტეგრაციის პოლიტიკის ფაქტობრივი შედეგების კვლევა მწირია ევროპაში და განსაკუთრებით კი საფრანგეთში. როგორც მკვლევარები მიიჩნევენ, საფრანგეთის რესპუბლიკური მოდელი განსხვავებული შემთხვევაა კულტურული ინტეგრაციის გავრცელებულ სხვადასხვა მოდელებს შორის. საფრანგეთის რევოლუციითა და მესამე რესპუბლიკით დათარიღებული, საფრანგეთს აქვს ხანგრძლივი სეკულარული ტრადიცია, რომელიც საჯარო სფეროში რელიგიური და კულტურული იდენტობის გამოხატვისადმი შეზღუდულ დამოკიდებულებას აწესებს. თუმცა, არსებობს მზარდი შეშფოთება, რომ აღნიშნული მოდელი, მიუხედავად მისი მკაფიოდ გაცხადებული თანასწორობისა და უნივერსალიზმისა, ვერ აერთიანებს ახალ იმიგრანტ უმცირესობებს. აღნიშნული სტატიის მიზანს სწორედ ფრანგული რესპუბლიკური ინტეგრაციის მოდელის შესწავლა წარმოადგენს, კერძოდ რას ეფუძნება და როგორ მუშაობს იმიგრანტთა ინტეგრაციის რესპუბლიკური მოდელი საფრანგეთის რესპუბლიკაში? როგორ შეუძლია საზოგადოებამ წაახალისოს უმცირესობათა ინტეგრაცია და შეითვისოს ახალი წევრები მათთვის არსებული სტრუქტურის რღვევის გარეშე? მართლაც, ხშირად ინდივიდებს სთავაზობენ საკუთარ იდენტურობას გარკვეულ სოციალურ პროექტთან, რომლის კომპონენტები შესაძლოა მოიცავდეს მოქალაქეობის ორ, სრულიად საპირისპირო მოდელის ელემენტებს: ერთი მხრივ სახეზე გვაქვს რესპუბლიკური მოდელი, რომელიც მზარს უჭერს არადიფერენცირებული მოქალაქეების ნორმატიულ ინტეგრაციას ერი სახელმწიფოს იდეის გარშემო და მეორე მხრივ, პლურალისტური მოქალაქეობის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს კუთვნილების სამოქალაქო ჩარჩოს ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სახის კვლევა, რომელიც მოცემული მოსახლეობის ეროვნულ საზოგადოებაში ინტეგრაციას შეეხება, აუცილებლად გულისხმობს მასპინძელი საზოგადოების მიერ მოწონებული სოციალური ინტეგრაციის მეთოდის ანალიზს.

არსებითად ფრანგული რესპუბლიკური მოდელი ეფუძნება მოქალაქეობის ეროვნულ კონცეფციას, რომელიც უარყოფს ინდივიდების კატეგორიზაციას და მათ კონკრეტულ ჯგუფებთან ურთიერთობისას გარკვეული კრიტერიუმების გამოყენებას (როგორცაა ეთნიკური წარმომავლობა, რასა ან რელიგია). თეორიულად იგი გულისხმობს, რომ სახელმწიფო აღნიშნული კრიტერიუმებისაგან სრულიად დამოუკიდებლად ურთიერთობს ინდივიდებთან, და რეალურ ცხოვრებაში ატარებს ყველასთან თანაბარი მოპყრობის პოლიტიკას. ეს არის სწორედ მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფო უარს ამბობს სხვადასხვა კრიტერიუმებზე დამყარებული ინტერესთა ჯგუფებისა და ოფიციალური საჯარო დაწესებულებების აღიარებაზე. ამის გარდა, საფრანგეთი აქტიურად იყენებს

სეკულარიზმის („laïcité“) შემზღვეველ კონცეფციას, რომელიც კრძალავს რელიგიურ პრაქტიკებისა და იდენტობების აღიარებას საჯარო სფეროში და ზღუდავს ასევე მათ კერძო სფეროში გამოყენებას<sup>1</sup>.

იმიგრანტთა ინტეგრაციის პრობლემის შესწავლა აუცილებლად მოიაზრებს ინტეგრაციის ფრანგული ნორმატიული მოდელის ისტორიული განვითარების კვლევა-ძიებას და მისი ფაქტობრივი პოლიტიკის შესწავლას ფრანგი სოციოლოგის ემილ დიურკემის (David Émile Durkheim) ინტეგრაციის თეორიის გამოყენებით. დიურკემის თეორიაში ინტეგრაცია წარმოადგენს გარკვეულ პროცესს, რომელიც თავისთავად გულისხმობს სხვა ელემენტების იმპლემენტაციას, რათა ჩამოყალიბდეს და შექმნას ერთგვარი თანმიმდევრული ერთიანობა<sup>2</sup>. ინდივიდებს შორის, სოციალური არსებობის წინაპირობის, კონსესუსის მიღწევა გულისხმობს საერთო პრინციპებსა და მიზნებზე შეთანხმებას, რაც თავისთავად მოიაზრებს სოლიდარობის პრინციპის არსებობასაც. დიურკემმა მკაფიოდ წარმოაჩინა, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდეს საზოგადოება, რომლის ინდივიდებსა თუ ჯგუფებს ახასიათებთ გარკვეული სოციალური თანმიმდევრულობა. დიურკემი განასხვავებს სოლიდარობის ორ ტიპს: მექანიკურს და ორგანულს. მექანიკური სოლიდარობის შემთხვევაში ინდივიდები ერთმანეთისგან ნაკლებად განსხვავდებიან. მათ გააჩნიათ საერთო ემოციები, ღირებულებები, ფასეულობები, აკავშირებდეთ საერთო რელიგია. „პრიმიტიული საზოგადოებები“ და ევროპული საზოგადოებები ადრინდელ პერიოდში სწორედ მექანიკური სოლიდარობის ერთგვარ ტიპს წარმოადგენდნენ. ორგანული სოლიდარობისას თავისუფალ ინდივიდებს, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ, ერთმანეთის განსხვავებების მიუხედავად, მათ აერთიანებთ და აკავშირებთ დამატებითი როლები, შესაბამისად ისინი ურთიერთდამოკიდებულნი ხდებიან. დიურკემისთვის ეს განსხვავებები შესაძლოა იყოს როგორც კონცეპტუალური, ასევე ისტორიულიც. თანამედროვე საზოგადოება კი ორგანული სოლიდარობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. სახელშეკრულებო ურთიერთობების ბუნების, როგორც თანამედროვე საზოგადოების თანმიმდევრულობის საფუძვლის გაანალიზებისას, დიურკემმა აღმოაჩინა, რომ ორგანული სოლიდარობა შეიძლება შენარჩუნებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარჩებოდა მექანიკური სოლიდარობის გარკვეული ასპექტები. თანამედროვე საზოგადოების წევრებს უნდა გააჩნდეთ საერთო რწმენა და სენტიმენტები. სწორედ კოლექტიური რწმენის გარეშე, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს არ შეეძლო რაიმე ძალა ჰქონოდა, შესაბამისად თუ კოლექტიური ცნობიერება ძალიან სუსტია, სოციალური ღირებულებები აუცილებლად დაიშლავს. ბუნებრივია ეს ერთიანობაც შეიძლება დაირღვეს, რადგან სოციო-ეკონომიკური თუ სოციალური კონფლიქტები ასუსტებს ინდივიდებს შორის არსებულ კონსესუსს, რა დროსაც ინტეგრაცია აღარ მუშაობს. შესაბამისად, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის ლიდერები შეეცადნენ მოეძებნათ ახალი მორალურ წესრიგი საზოგადოების თანმიმდევრული განვითარების გასაძლიერებლად. კოლექტიურმა ცნობიერებამ შესაძლოა უდიდესი როლი ითამაშოს და უზრუნველყოფს რესპუბლიკური პრინციპების პატივისცემა. სწორედ ამიტომ საფრანგეთის პოლიტიკური ლიდერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კარგად შემუშავებული საჯარო განათლების სისტემას შეუძლია შეასრულოს ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტის როლი სახელმწიფოში და ხელი

<sup>1</sup> Obert, M., The French Republican Model of Integration: The Theory of Cohesion and the Practice of Exclusion. <https://hal-sciencespo.archives-ouvertes.fr/hal-00972686/document>, [უ. გ. 27.02.2023].

<sup>2</sup> Durkheim, E., De la division du travail social, Presses Universitaires de France, 1967, Paris, [http://classiques.uqac.ca/classiques/Durkheim\\_emile/division\\_du\\_travail/division\\_travail\\_1.pdf](http://classiques.uqac.ca/classiques/Durkheim_emile/division_du_travail/division_travail_1.pdf), [უ. გ. 15.012.2022].

შეუწყოს საერთო ღირებულებებისა და წესების გავრცელებას სხვადასხვა ინდივიდებს შორის, რომლებიც ერთ სოციალურ აპირებენ თანაცხოვრებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციოლოგიაში ინტეგრაციის ცნება საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ემილ დიურკემის მეტაკვიდრობაში, სადაც იგი ცდილობს უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს მიმდინარე ურთიერთქმედების პროცესი და მჭიდრო კავშირი საზოგადოებასა და ინდივიდს შორის. თუმცა მოგვიანებით დიურკემის მიერ წარმოდგენილ ინტეგრაციის კონცეფციას სხვა მკვლევარები აქტიურად დაუპირისპირდნენ. საფრანგეთის რესპუბლიკურ სისტემაში ინდივიდი „ინტეგრაციას აღწევს“ ფრანგულ საზოგადოებასთან ადაპტაციის გზით: ის ხდება „მოქალაქე“ ფრანგული ენის, ზნე-ჩვეულებების და ტრადიციების ინტერნალიზებითა და ადაპტაციით. მისი მოქალაქეების თანაბარი ღირსების პრინციპზე დაფუძნებული მოდელი, აგებულია უნივერსალისტურ პოლიტიკაზე, რომელიც ანიჭებს ერთსა და იმავე უფლებებს ყველას, განურჩევლად მათი განსხვავებებისა. მაშინ როდესაც, მულტიკულტურალიზმის მოდელი, რომელიც ეწინააღმდეგება ფრანგულ მოდელს, ეფუძნება განსხვავებულობის პოლიტიკას, რომელიც თავად ემყარება უნივერსალურ პოსტულატს: ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება იცხოვროს თავისი კულტურისა და რელიგიის შესაბამისად.

### 1. იმიგრაციული ტალღები და მისი განმაპირობებელი ლოგიკა

საფრანგეთში შრომით მიგრანტთა ტალღები მე-19 საუკუნიდან იწყება და მრავალი ათწლეულის განმავლობაში გრძელდებოდა. თუმცა, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების დონეზე არავის აწუხებდა იმიგრანტთა ინტეგრაციის საკითხი ფრანგულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. თავად სიტყვა „ინტეგრაცია“ იშვიათად გამოიყენებოდა ფრანგულ პრესასა თუ პოლიტიკურ დისკურსში. შესაბამისად მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერები არ მოიხსენიებდნენ ინტეგრაციას, როგორც კონცეფციას.

საფრანგეთში ჩამოსული მიგრანტები ძირითადად შრომით მიგრანტებს წარმოადგენდნენ და მათი უმეტესობა დასაქმებული იყო მრეწველობაში, მშენებლობასა თუ სამოქალაქო ინჟინერიაში. შრომით იმიგრანტთა ქვეყანაში შემოსვლა და დასაქმება სწორედ საფრანგეთის ეკონომიკური ზრდის პერიოდს ემთხვევა, შესაბამისად ქვეყანაში შექმნილმა სოციალურმა და პროფესიულმა ვითარებამ უზრუნველყო მათი სოციალური ინტეგრაცია საფრანგეთის მუშათა კლასში და საფუძველი ჩაუყარა ამ ადამიანებში შესაბამისი კოლექტიურ ცნობიერების ე.წ „კლასობრივ ცნობიერების“ ფორმირებას, რომელიც აქტიურად იყვნენ წარმოდგენილნი კლასობრივ კონფლიქტებში, ასევე მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პროფკავშირებისა და მემარცხენე პოლიტიკური ძალების დახმარებით. აღნიშნული პროცესი, პროფესიული და სოციალური ინტეგრაციიდან - პოლიტიკურ მონაწილეობამდე, მკაფიოდ ასახავს დიურკემის ინტეგრაციის თეორიას და შესანიშნავად წარმოაჩენს მისი ანალიზის სიზუსტეს, ვინაიდან შრომაში ინტეგრაცია ასევე თანამედროვე საზოგადოებაში ინტეგრაციის უმთავრესი წინაპირობაა.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი აქტიურად იღებდა იმიგრანტ მუშაკებს მე-19 საუკუნის ბოლოდან, საიმიგრაციო პოლიტიკის შემუშავებას საფრანგეთში, საფუძველი რეალურად დე გოლის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩაეყარა, როდესაც 1945 წლის აპრილში საფრანგეთის მთავრობამ შექმნა „მოსახლეობის უმაღლესი საბჭო“ (HPC) და ჟორჟ მოკო დანიშნა საბჭოს გენერალურ მდივნად, აღნიშნულ თანამდებობას მოკო 1970 წლამდე ინარჩუნებდა. საფრანგეთის „მოსახლეობის უმაღლესი საბჭომ“ შეიმუშავა და იმავე წლის 2 ნოემბერს მიიღო საკანონმდებლო აქტი, რომელმაც დაამკვიდრა საფრანგეთის



რესპუბლიკაში ბინადრობის ნებართვების გაცემის თანასწორი, ინდივიდუალისტური და პროგრესული სისტემა ეთნიკურობის საფუძველის შერჩევის გარეშე<sup>3</sup>. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკანონმდებლო დოკუმენტი დღემდე ერთგვარად კვლავ აყალიბებს ფრანგული საიმიგრაციო პოლიტიკის ჩარჩოს.

საფრანგეთის ეკონომიკურმა აღმავლობამ, კერძოდ კი ბრწყინვალე ოცდაათმა წელიწადმა 1946-1974 წწ. („Trente Glorieuses“), კიდევ უფრო მეტად გააძლიერა და დააჩქარა მიგრანტთა ნაკადების შემოდინება ქვეყანაში. ამ პერიოდში ჩატარებულმა მოსახლეობის სხვადასხვა აღწერამ აჩვენა, რომ 1970-იანი წლების ბოლომდე, იმიგრანტების შვილებმა მათ მშობლებთან შედარებით უფრო მაღალი სოციალური მობილობა განიცადეს საფრანგეთის რესპუბლიკაში, რომლის ძირითად მიზეზს მათ მიერ საჯარო სკოლებში მიღებული განათლების მაღალი დონე და საფრანგეთის ეკონომიკური აღმავლობა წარმოადგენდა<sup>4</sup>. შესაბამისად ადგილი ჰქონდა თაობათაშორის წარმატებულ სოციალურ მობილობას საფრანგეთის მუშათა კლასში, რომლის მაგალითსაც სწორედ იმიგრანტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაკადი წარმოადგენდა<sup>5</sup>.

ბრწყინვალე ოცდაათწლიანი ეკონომიკური აღმავლობის შემდეგ, მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 70-იან წლების შემდეგ იწყება საფრანგეთში, შესაბამისი ასახვა ჰპოვა ფრანგულ საიმიგრაციო პოლიტიკაზე, კერძოდ ხელისუფლებაში მოსულმა ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა (1974-1981) მოახდინა მანამდე არსებული მიგრაციული პოლიტიკის ფუნდამენტური გადახედვა<sup>6</sup>. 1974 წელს საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა შეეჩერებია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების იმიგრაცია ქვეყანაში. სწორედ 1974 წლიდან, ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ, შრომითი მიგრაციის დროებით შეჩერებამ გამოიწვია შემოსულ იმიგრანტთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება ქვეყანაში. თუმცა საფრანგეთის ტერიტორიაზე მყოფ იმიგრანტებს მიეცათ „ოჯახის გამთლიანების“ მიზნით ოჯახთან ერთად ცხოვრების უფლება.

1978 წელს ვალერი ჟისკარ დ'ესტენი და მისი სახელმწიფო მდივანი ლიონელ სტოლერუ შეეცადნენ ათასობით მუშის დაბრუნებას ალჟირში. 1980 წლიდან არალეგალური შესვლა და ცხოვრება ხდება მიგრანტთა საფრანგეთიდან გაძევების საფუძველი (1980 წ. „Loi Bonnet“), დაკანონდა პირადობის პრევენციული შემოწმება და ადგილობრივ პრევენქტებს მიენიჭათ საზღვარზე იმიგრანტთა დეპორტაციის ბრძანების აღსრულების უფლება („Loi Pasqua“). ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა იმიგრანტთა მშობლიური ენისა და კულტურის ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, საფუძველი ჩაუყარა „კულტურის ხელშეწყობის ეროვნული ოფისის“ (ONPCI) დაარსებას საფრანგეთში, რომელსაც მოგვიანებით „საინფორმაციო კულტურა და იმიგრაცია“ (ICEI) ეწოდა. გარდა ამისა, ამ პერიოდში მომზადდა სპეციალური სატელევიზიო გადაცემა „მოზაიკა“, რომელიც სწორედ რომ აღნიშნული ინტერესების ხელშეწყობასა და გაძლიერებას ისახავდა მიზნად. შესაბამისად იმიგრანტებში წახალისებული ხდებოდა სამშობლოში რეპატრიაცია, მათ შორის რეპატრიაციის ფინანსური ხელშეწყობის ე.წ. „Stoléro million“- პროგრამის სახელწოდებით, რომლის ფარგლებში საფრანგეთის რესპუბლიკა სთავაზობდა გარკვეულ ფინანსურ დახმარებას იმიგრანტებს, რომლებთაც საფრანგეთის დატოვება და საკუთარ სამშობლოში

<sup>3</sup> Burgess, G., The Demographers' Moment: Georges Mauco, Immigration and Racial Selection in Liberation France, 1945-46, French History and Civilization, pp. 167.

<sup>4</sup> Population Immigree, Qui et combien ? Histoire et origines Vie familiale, Les immigrés en France, édition 2005.

<sup>5</sup> Verret, M., 1999, le travail ouvrier, Paris: L'Harmattan.

<sup>6</sup> Vie publique, Immigration: l'évolution de la politique pour l'intégration des immigrés, <https://www.vie-publique.fr/eclairage/20189-immigration-evolution-de-la-politique-pour-lintegration-des-immigres>, [უ. გ. 30.03.2022].



დაბრუნება სურდათ, თუმცა საინტერესოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულმა ინიციატივამ არ იმუშავა და ქვეყნის დატოვებისა და სამშობლოში დაბრუნების მსურველები მხოლოდ ერთეულები აღმოჩნდნენ.

## 2. იმიგრანტთა ინტეგრაციის ადრეული მცდელობები საფრანგეთის რესპუბლიკაში

1980-იან და 1990-იან წლებში საფრანგეთში დასახლებული იმიგრანტთა ოჯახები ახალჩამოსულთა ყველაზე მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს წარმოადგენდნენ. ისინი დასახლებულნი იყვნენ მუშათა კლასის უბნების საერთო საცხოვრებლებში, რომლებიც ხასიათდებოდნენ ეკონომიკური კრიზისისათვის დამახასიათებელი მწვავე შედეგებით, როგორც იყო: უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები, დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები, საცხოვრებელი თუ ეთნიკური სეგრეგაცია. შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახები ცდილობდნენ საცხოვრებლად უკეთეს უბნებში გადავლას, თუმცა არაეფროსული წარმოშობის იმიგრანტების უმეტესობა კვლავაც ღარიბ უბნებში რჩებოდა.

უმეტესწილად არაკვალიფიციური და განათლების არმქონე იმიგრანტი მუშების შვილები, რომლებიც ახალი ჩამოსულები იყვნენ, ან არ იყვნენ დაბადებულნი საფრანგეთში, სასწავლებლად ხვდებოდნენ საჯარო სკოლებში, რომლებიც ხასიათდებოდა წარმატების დაბალი მაჩვენებლით. გამომდინარე იქიდან, რომ ისინი სწავლის პროცესში წყვეტდნენ სწავლას და ტოვებდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებას დიპლომის გარეშე, მათი სოციალური მობილობა შესაბამისად ძალიან დაბალი იყო, ხოლო დასაქმების ადგილებზე ხშირად აწყდებოდნენ რასობრივ თუ სივრცით დისკრიმინაციას დამსაქმებლების მხრიდან, როდესაც მათ უარს ეუბნებოდნენ დასაქმებაზე. ამრიგად, არაეფროსული იმიგრანტების, კერძოდ კი მადრიბული ქვეყნების მეორე თაობა, ხდებოდა სოციალურად გარიყულობის ძირითადი მსხვერპლი<sup>7</sup>. თუმცა საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სწორედ ეკონომიკურმა თუ სხვა სახის კრიზისებმა შესაბამისი პოლიტიკური პასუხი გასცა და საფუძველი დაუდო იმიგრანტების ინტეგრაციის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებას საფრანგეთის რესპუბლიკაში. 1980-იანი წლების დასაწყისში იმიგრანტული წარმომავლობის ახალგაზრდები უფრო და უფრო თვალსაჩინოები ხდებოდნენ ფრანგული ქალაქების ლანდშაფტებში, რომლებიც ამჯერად ხმამაღლა მოითხოვდნენ მათი სამოქალაქო უფლებების აღიარებას სახელმწიფოს მხრიდან. სწორედ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა ფართომასშტაბიან საპროტესტო მსვლელობებს საფრანგეთში, როგორც იყო 1983 წელს მარში თანაბარი უფლებებისა და რასიზმის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია, როგორც ე.წ "ბერების მარში" („Marche des beurs“), ასევე 1984 წელს "კონვერგენცია თანასწორობისთვის" („Convergence pour l'égalité“).

სწორედ მსგავსი სახის სოციალურმა მოძრაობებმა ხელახლა ჩაუყარა საფუძველი დებატების დაწყებას მეორე თაობის იმიგრანტთა მომავლის, მათი ურბანული და სოციალური პრობლემატიკის შესახებ ფრანგულ საზოგადოებაში. მოგვიანებით საფრანგეთის პრეზიდენტმა, სოციალისტმა ფრანსუა მიტერანმა გააუქმა შემზღვევითი საიმეგრაციო პოლიტიკა, რაც მისმა წინამორბედმა ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა შეიმუშავა. შესაბამისად, იმიგრანტები უკვე აღარ წარმოადგენდნენ მხოლოდ სამუშაო ძალას, არამედ ისინი ხდებიან ფრანგული ქალაქების მკვიდრნი. ხელისუფლების ახალი გადაწყვეტილებები ამჯერად ხორციელდებოდა მოსახლეობის კონკრეტული სეგმენტის იმ საჭიროებებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ საფრანგეთში ცხოვრება.

<sup>7</sup> Dubet F., Lapeyronnie, D., Les Quartiers d'exil, L'Épreuve des faits, 1992, Le seuil.

არსებული გამოწვევების ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 80-იანი წლების შემდეგ იმიგრანტებში, იმ დროინდელი ფრანგული სოციალური კლასი თანხმდებოდა, რომ მათი პრობლემა უპირველეს ყოვლისა იყო სოციალური. შესაბამისად 1982 წელს საფრანგეთის ხელისუფლების მიერ შემუშავებული პოლიტიკაც, სწორედ სოციალური არეულობის შედეგად დაზარალებულ რაიონების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა. აღნიშნული პოლიტიკა არ ეხებოდა ცალსახად მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობებს, არამედ იგი მოიცავდა ურბანულ უმცირესობებს ღარიბ უბნებში, რომლებიც შერჩეულნი აღმოჩნდნენ ისეთი სახის სოციალური და სივრცითი კრიტერიუმების მიხედვით, როგორც იყო: ცუდი არქიტექტურა, საზოგადოებრივი ობიექტების ნაკლებობა, უმუშევრობა, დანაშაული, ძალადობა, ცუდი წარმოდგენები სკოლაში და ა.შ.<sup>8</sup> ბრიტანული „შიდა ქალაქის პოლიტიკის“ მსგავსად, ე.წ. ფრანგული „ქალაქის პოლიტიკა“, საფრანგეთის ხელისუფლების ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენდა, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანასწორობის რესპუბლიკური პრინციპის თანახმად, არასოდეს არ ყოფილა აქცენტები დასმული შერჩეულ რაიონებში მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიდესი ნაწილი სწორედ ჩრდილოეთ აფრიკის ან სუბსაჰარის რეგიონის წარმომავლობის იყო.

ახალი სოციალური პოლიტიკის განხორციელებიდან ათი წლის შემდეგ, გატარებული ურბანული პოლიტიკის შედეგები ნამდვილად ხელშესახები აღმოჩნდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა იმიგრანტთა საცხოვრებელი კორპუსების მდგომარეობა, გაიხსნა მრავლობითი ფუნქციის საჯარო დაწესებულებები, ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა სახის ასოციაციების დაფუძნების ინიციატივებს. გარდა ამისა, ამჯერად საჯარო მოთხოვნების სახე შეიძინა რელიგიური სახის მოთხოვნებმა სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივის სახით. უმაღლეს სკოლებში მუსლიმი გოგოები ითხოვდნენ ჰიჯაბის ტარების უფლების მოპოვებას, ამავდროულად, გაიზარდა იმ მუსლიმურ ასოციაციათა რაოდენობა საფრანგეთში, რომლებიც მოითხოვდნენ მეჩეთების მშენებლობის ნებართვას და მათი რელიგიური რიტუალების პატივისცემას საფრანგეთის რესპუბლიკაში. მიუხედავად ზემოაღნიშნული პოზიტიური ცვლილებებისა, უმუშევრობის დონე კვლავ გაცილებით მაღალი რჩებოდა საფრანგეთის რესპუბლიკაში, ასევე ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა კრიმინალური ფონი ქვეყანაში<sup>9</sup>.

საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეექმნა ინტეგრაციის შესაბამისი მოდელი ახალი სოციალური და ურბანული კონტექსტისათვის. 1990 წელს საფრანგეთის მთავრობამ შექმნა „ინტეგრაციის უმაღლესი საბჭო“, რომლის წევრებს წარმოადგენდნენ მკვლევარები, პოლიტიკოსები, სამოქალაქო აქტივისტები და იმიგრანტული წარმომადგენლის ცნობილი საჯარო სახეები. 2003 წლის აპრილში, მათ შეიმუშავეს და შესთავაზეს დაახლოებით ორმოცდაათზე მეტი საინიციატივო პროგრამა ახალბედებს. 2005 წლის აპრილში შეიქმნა, „უცხოელთა მიღებისა და მიგრაციის ეროვნული სააგენტო“ (ANAEM), რომელმაც ჩაანაცვლა „საერთაშორისო მიგრაციის ოფისი“ (OMI) და შესაბამისად, „იმიგრანტთა დახმარების სოციალური სამსახური“ (SSAE) გახდა ორგანიზაციის მთავარი საორიენტაციო სივრცე ახალ ჩამოსული იმიგრანტების მისაღებად<sup>10</sup>.

<sup>8</sup> Donzelot, J., Face à l'exclusion, le modèle français, 1991. Ed. Esprit, Paris.

<sup>9</sup> Fitoussi, J., P., Laurent E., Maurice, J., Ségrégation urbaine et intégration sociale. Conseil d'analyse économique. Paris: La Documentation française, <https://www.cae-eco.fr/Segregation-urbaine-et-integration-sociale>, [უ. გ. 19.10.2022].

<sup>10</sup> Vie publique, Immigration: l'évolution de la politique pour l'intégration des immigrés, <https://www.vie-publique.fr/eclairage/20189-immigration-evolution-de-la-politique-pour-lintegration-des-immigres>, [უ. გ. 30.03.2022].

2006 წლის 24 ივლისში მიღებული იქნა კანონი „მიღებისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების“ (CAI) შესახებ, რომელიც 2007 წლის 1 იანვრიდან საფრანგეთში ყველა ახალჩამოსულს ავალდებულებდა აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას. „მიღებისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება“ ითვალისწინებდა სამოქალაქო ტრენინგების ციკლის გავლას და ცოდნის შეძენას ფრანგული ინსტიტუტებისა და რესპუბლიკური ღირებულებების მოწყობისა და ფუნქციონირების პირობებთან დაკავშირებით, ასევე მოითხოვდა ფრანგული ენის სავალდებულო სწავლებასა და პროფესიული უნარების შეფასებას. 2007 წლის ნოემბერში მიღებული კანონი, რომელსაც ხშირად ახალი ფანჯრის სახელით მოიხსენიებდნენ, იმიგრანტ მშობლებს მათზე ხელმოწერას ავალდებულებდა, ვინაიდან იგი იმიგრანტთა ოჯახებისთვის შემწეობის მიღების სავალდებულო მოთხოვნა გახდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიღებიდან ძალიან მალე „მიღებისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება“ საზოგადოების კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა, არაერთი ფრანგი პოლიტიკოსი ხმამაღლა და კრიტიკული ტონით საუბრობდა აღნიშნული ხელშეკრულების ბუნდოვან ხასიათზე.

სწორედ „მიღებისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების“ („Reception and Integration Contract“) მიღებიდან, ზუსტად 10 წლის შემდეგ, კერძოდ კი 2016 წლის 6 მარტს საფრანგეთის ხელისუფლებამ დაამტკიცა ახალი „რესპუბლიკური ინტეგრაციის ხელშეკრულება“ (Republican Integration Contract (CIR), რომელმაც ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი „მიღებისა და ინტეგრაციის ხელშეკრულება“ (CAI). აღნიშნული რესპუბლიკური ინტეგრაციის ხელშეკრულებით განისაზღვრა უცხო პირთა შესვლის, ბინადრობისა და თავშესაფრის უფლება, იგი ფორმდება პირსა და საფრანგეთის სახელმწიფოს შორის, რომელსაც წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაში პრეფექტი და ემყარება ორმხრივ ვალდებულებებს (Article L. 311-9 of the Code for Entry and Residence of Foreign Persons and the Right of Asylum). აღნიშნულ ხელშეკრულების ხელმოწერით უცხოელი ადასტურებს საკუთარ თანხმობას და ერთგულებას რესპუბლიკური ინტეგრაციის გზაზე, რომლის მიზნებს წარმოადგენს<sup>11</sup>:

- ✓ რესპუბლიკის ღირებულებებისა და პრინციპების გააზრება;
- ✓ ფრანგული ენის შესწავლა;
- ✓ სოციალური და პროფესიული ინტეგრაცია;
- ✓ ავტონომიის ხელმისაწვდომობა.

რესპუბლიკური ინტეგრაციის სამოქალაქო სწავლების ახალი სისტემა მოიცავს ორ მოდულს. პირველი მოდული სახელწოდებით „საფრანგეთის რესპუბლიკის ღირებულებები და ინსტიტუტები“ მოიცავს ცოდნას მთავარი რესპუბლიკური ღირებულებებისა და ეროვნულ და ადგილობრივი ინსტიტუტების შესახებ; რაც შეეხება მეორე მოდულს "ცხოვრება და დასაქმება საფრანგეთში", გათვლილია პრაქტიკულ უნარებზე და მოიცავს ცოდნას საფრანგეთში განთავსების, საჯარო სერვისებსა და უფლებებზე წვდომის შესახებ (სკოლა, ჯანმრთელობა, განათლება, საცხოვრებელი, სამუშაო, სოციალური უფლებები და ა.შ.). ახალი სამოქალაქო ტრენინგების ციკლი, რომლის საათები რესპუბლიკური ინტეგრაციის ხელშეკრულების მიხედვით ამჯერად გაორმაგებულია, შექმნილია საგანმანათლებლო მიდგომების საჭიროებების საფუძველზე, რომელიც ამჯერად მოიცავს კონკრეტულ პრაქტიკულ მაგალითებს ყოველდღიური ცხოვრებიდან, რათა მკაფიოდ წარმოაჩინოს ფრანგული რესპუბლიკის ღირებულებები, საფრანგეთის ადმინისტრაციული მოწყობა და ადამიანის უფლებები, ისევე როგორც მოქალაქეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები სახელმწიფოს წინაშე.

<sup>11</sup> Frame A., Communiquer, communication interculturelle et internationale, 2018, pp.59-61, <https://journals.openedition.org/communiquer/3625?lang=en>, [უ.გ. 02.03.2023].



“მიღებისა და ინტეგრაციის ხელშეკრულების” (CAI) ბაზაზე, 2016 წელს შექმნილი „ახალი რესპუბლიკური ინტეგრაციის ხელშეკრულება“ (CIR), რომელიც წინამორბედთან შედარებით ბევრად უფრო კომპლექსური ხასიათისაა, ფრანგული პოლიტიკოსთა მხრიდან ამჯერადაც ვერ ასცდა მწვავე კრიტიკას. მაგალითად დეპუტატ ორელიენ ტაშეს განცხადებით, CIR არ არის საკმარისი და მისი თქმით, „დროა დაიწყონ ინტეგრაციის რეალური, ამბიციური და უფრო მოთხოვნადი საჯარო პოლიტიკა იმიგრანტების მიმართ, რომლებმაც ხელი მოაწერეს რესპუბლიკურ ინტეგრაციის კონტრაქტს<sup>12</sup>“.

### 3. დებატები: ინტეგრაცია თუ კულტურული ასიმილაცია?

ინტეგრაციის უმაღლესი საბჭოს შექმნიდან 20 წლის შემდეგ, დებატები ინტეგრაციისა და მისი შედეგების შესახებ კვლავაც სადავო საკითხად რჩება, რომელთა შორის ინტეგრაციის პოლიტიკის დამცველი და მხარდამჭერი მკვლევარები, თუ პოლიტიკოსები დაჟინებით მოითხოვენ ინტეგრაციის პროცესისა და განხორციელებული პოლიტიკის დადებითი შედეგების საჯაროდ აღიარებას. მართლაც, საფრანგეთის „დემოგრაფიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევები მიუთითებს საფრანგეთში იმიგრანტების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე და მათში განათლების დონის მნიშვნელოვან ზრდაზე<sup>13</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ იმიგრანტების შვილები თუ შვილიშვილები უფრო მეტად განიცდიან უმუშევრობას, ვიდრე ადგილობრივები, ახალი თაობები ბევრად უფრო კვალიფიციურნი და განათლებულნი არიან, ვიდრე მათი მშობლები და შესაბამისად მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პოზიციონირებს ქვეყნის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საფრანგეთში დღეს იმიგრანტების დიდი ნაწილი ძირითადად ფრანგულად საუბრობს და მათი შვილები და შვილიშვილები ხშირად აღარ საუბრობენ მშობლიურ ენაზე. ამ ადამიანების მისწრაფებები და მათი სოციალური ამბიციები სულ უფრო მეტად შეესაბამება და თანხვედრაში მოდის საფრანგეთის მკვიდრ მოქალაქეთა სურვილებსა და მისწრაფებებთან. გარდა ამისა, ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ იმიგრანტებს და მათ შთამომავლებს გააჩნიათ და აკავშირებთ ადგილობრივ ფრანგ მოსახლეობასთან გარკვეული საერთო ღირებულებები. მნიშვნელოვანი ნაწილი თავს უფრო მეტად მოიაზრებს საფრანგეთის მოქალაქედ, ვიდრე წარმომშობი ქვეყნის წევრად. აღნიშნული დასკვნები გამყარებულია ევროპულ ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმ მოქალაქეებში ჩატარებული კომპარატივისტული გამოკითხვებით, რომელიც განხორციელდა ევროპის ოთხ ქვეყანაში: საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში და ესპანეთში<sup>14</sup>.

ჩატარებული კვლევები პირველ რიგში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საფრანგეთს ჰყავს რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმი მოსახლეობა მთელს ევროპაში. აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში ფრანგმა მუსლიმებმა მთლიანობაში გამოხატეს იგივე განწყობები, რაც ევროპის სხვა ქვეყნების მუსლიმებმა ისეთ სოციალურ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა „უმუშევრობის შიში“, რომელიც საფრანგეთის მუსლიმთა 84% გააჩნია, ხოლო 78-83% კი დანარჩენ სხვა სამ ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმებს. „შემფოთება თავიანთი მომავლის შესახებ“ ფრანგი მუსლიმების 38%-ს ახასიათებთ, ხოლო 28%-ი კი

<sup>12</sup> Tache, A., Fourcade, S., Hesse, C., Babilotte, J., 72 Propositions pour une politique ambitieuse d'integration des etrangers arrivants en France, (19.02.2018), Vie politique, <https://www.vie-publique.fr/rapport/37165-72-propositions-pour-une-politique-ambitieuse-dintegration-des-etranger>, [უ. გ. 30.11.2022].

<sup>13</sup> Tribalat, M., Faire France: Une enquête sur les immigrés et leurs enfants. Politieue etrangere, pp. 555-556, Paris.

<sup>14</sup> Pew Research Center, Muslims in Europe: Economic Worries Top Concerns About Religious and Cultural Identity, (07.06. 2006), <https://www.pewresearch.org/global/2006/07/06/muslims-in-europe-economic-worries-top-concerns-about-religious-and-cultural-identity/>, [უ. გ. 05.09.2021].



დანარჩენ სამი ევროპული ქვეყანის მუსლიმებს. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მათი დამოკიდებულებები სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა იდენტობის საკითხებში, კერძოდ, ფრანგი მუსლიმების 42%-ს ფიქრობს, რომ ისინი პირველ რიგში ეროვნული მოქალაქეები არიან (და არა პირველ რიგში მუსლიმები). გაერთიანებულ სამეფოში აღნიშნული მაჩვენებელი მუსლიმ მოსახლეობაში მხოლოდ 7%-ს, გერმანიაში 13%-ს და ესპანეთში 3%-ს შეადგენდა. თვალსაჩინოა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში მცხოვრები მუსლიმები, ევროპის სხვა ქვეყნებში მცხოვრები მუსლიმებისაგან განსხვავებით გაცილებით უკეთ ითვისებენ და იზიარებენ საფრანგეთის მოქალაქეების საერო ცხოვრების წესს.

ზოგი მკვლევარი თუ პოლიტიკოსი მკაცრად აკრიტიკებს საფრანგეთში მოქმედი ინტეგრაციის კონცეფციას და ბრალს სდებს აღნიშნული ეროვნულ მოდელს ნორმატიულობაში, ვინაიდან მათი აზრით, აღნიშნული კონტრაქტი იმიგრანტებმა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უპირობოდ უნდა მიიღონ. ისინი განასხვავებენ ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, ინტეგრაციას, როგორც პროცესს, რომელიც დამოკიდებულია სოციალურ პირობებზე, რომლის შექმნაც საჯარო ძალებს ყოველთვის არ ძალუძთ და მეორე მხრივ, ინტეგრაციას, როგორც არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის ბრძანებას და თვლიან, რომ ის, ვინც ასეთ ბრძანებას იღებს სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაბამისი პირობების გარეშე, იძულებულია უარი თქვას ინტეგრაციაზე.<sup>15</sup> მკვლევართა ნაწილი აცხადებს, რომ ინტეგრაცია აღარ არის შესაბამისი კონცეფცია თანამედროვე ფრანგულ საზოგადოებაზე მსჯელობისას მულტიკულტურული მოდელის მხარდაჭერის გარეშე და მიაჩნიათ, რომ იმიგრანტებს და მათ შვილებს სჭირდებათ კულტურული აღიარება. თვლიან, რომ კულტურული განსხვავებები არა თუ უნდა იყოს უარყოფილი, არამედ უნდა იყოს გათვალისწინებული საჯარო პოლიტიკის შემუშავებისას. რასობრივი, თუ ეთნიკურ დისკრიმინაცია, რომელსაც ათწლეულების წინ ჰქონდა ადგილი, ნაკლებად ხილულ პრობლემას წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღებთათვის საფრანგეთში, მათ სჯეროდათ და სწამდათ, რომ იმიგრანტების ინტეგრაციაც და სოციალური წარმატებებიც მარტივად მიიღწეოდა, ვინაიდან მათაც ჰქონდათ მათივე მსგავსად თანაბარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. აღნიშნული დისკრიმინაციის წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკის მიუხედავად, რომელიც დღეს აქტიურად ფუნქციონირებს საფრანგეთში, უმუშევრობის მაღალი პროცენტი კვლავ შენარჩუნებულია ჩრდილოეთ აფრიკის და სუბსაჰარის წარმოშობის ახალგაზრდებში, გარდა ამისა, მზარდი საცხოვრებელი სეგრეგაცია ასევე ხელს უშლის მრავალეთნიკურ თანაცხოვრებას. ხშირად გარკვეული სახის უფსკრულია სასკოლო განათლებასა და იმ განათლებას შორის, რომელსაც აწვდიან შვილებს ოჯახში იმიგრანტი მშობლები, რომლებიც ძირითად შემთხვევაში მიეკუთვნებიან ტრადიციულ აფრიკულ კულტურებს<sup>16</sup>.

საფრანგეთის სტატისტიკისა და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ბოლო კვლევის შედეგების მიხედვით, სამუშაო ასაკის იმიგრანტების მხოლოდ 42%-ს გააჩნია მცირე კვალიფიკაცია, ან საერთოდ არ გააჩნიათ, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ მიაღწიეს საშუალო სკოლის ატესტატის შესაბამის დონეს. მათგან მხოლოდ მეოთხედს აქვს განათლება მიღებული საფრანგეთში, 31%-ს აქვს CAP (პროფესიული უნარის დამადასტურებელი სერტიფიკატი), BEP (პროფესიული ბაკალავრიატის დამადასტურებელი დიპლომი) ან ბაკალავრის დიპლომი, მაშინ როდესაც მხოლოდ 27%-ს

<sup>15</sup> Beaud, S., Amrani Y., Pays de malheur! Un jeune de cité écrit à un sociologue. Suivi de Des lecteurs nous ont écrit, La découverte/poche, 2005.

<sup>16</sup> Barou J., Identities, Global studies and power, Integration of immigrants in France: an historical perspective.

გააჩნია უმაღლესი განათლების დიპლომი<sup>17</sup>. ხოლო იმ იმიგრანტთა უმეტესობას, რომლებიც 1981 წლამდე შემოვიდნენ ქვეყანაში, ჰყავთ მშობლები, რომლებსაც მცირე სასკოლო განათლება ჰქონდათ მიღებული ან საერთოდ არ ჰქონდათ განათლება, ასეთ შემთხვევათა 34%-იდან არც ერთი მშობელს არასოდეს უვლია სკოლაში; შემთხვევების 40%-ში კი უმაღლესი განათლების მქონე მშობლებმა მიაღწიეს დაწყებითი განათლების დონეს საფრანგეთში. მოგვიანებით, საგრძნობლად იზრდება იმიგრანტი მშობლების განათლების დონეც, კერძოდ 1998 წლიდან საფრანგეთში ჩასულ იმიგრანტებს შორის 33%-ს ჰყავს ორი მშობლიდან ერთ-ერთი, რომელმაც საფრანგეთში მიაღწია საშუალო განათლების დონეს (21%-ი 1998 წლამდე) და 29%-ი უმაღლესი განათლების დონეს (16%-ი 1998 წლამდე).

მაღრიბულ ქვეყნებში დაბადებულ იმიგრანტებს უფრო ხშირად ჰყავთ მშობლები, რომლებსაც არ გააჩნიათ სასკოლო განათლება, მათი მაჩვენებელი საფრანგეთში 42%-ია, ესპანეთში, პორტუგალიაში ან იტალიაში დაბადებული იმიგრანტების მშობლების 21%-თან შედარებით. თუმცა, სამხრეთ ევროპული წარმომავლობის იმიგრანტებს ძალიან ხშირად ჰყავთ მშობლები, რომელთა განათლების დონე არ სცდება დაწყებით სკოლის დონეს (83%). სხვა ქვეყნებში დაბადებული იმიგრანტების მშობლებს გაცილებით უკეთესი განათლების დონე გააჩნიათ, რადგან ზოგიერთი მათგანი არც თუ დიდი ხნის წინ ჩამოვიდა საფრანგეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ საფრანგეთის რესპუბლიკაში სწავლის გასაგრძელებლად ჩასული იმიგრანტების მშობლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება, კერძოდ მათ 54%-ს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული და მათგან მხოლოდ 8%-ს არასოდეს არ უვლია სკოლაში.

მიუხედავად აღნიშნული სტატისტიკისა, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ფრანგული ქალაქების გარეუბნებში არსებული სკოლების წარმატებების დონე, სადაც ძირითადად სწავლობენ იმიგრანტების შვილები, ტრადიციულ ფრანგულ სკოლებთან შედარებით, საშუალოზე გაცილებით დაბალია, დისციპლინა ნაკლებად გამოიყენება და სკოლები ვერ გადმოცემენ მორალურ ღირებულებებს ან საერთო წესებს, რაც მათ მოსწავლეებს ადგილობრივი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის სჭირდებათ. ამ მოცემულობაში, დანაშაულებრივი ქმედებები ზოგიერთი ახალგაზრდისთვის კვლავაც ფულის შოვნის ყველაზე მარტივ და მომგებიან შესაძლებლობად რჩება. ბოლო წლებში მიმდინარე სხვადასხვა სახის ურბანული საპროტესტო გამოსვლები საფრანგეთში, წარმოადგენს ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს იმისა, რომ სახელმწიფო გამოწვევების გარეშე ვერ ახერხებდა მარგინალიზებულთა ჰარმონიულ ინტეგრაციას იმიგრირებულ უმცირესობებს შორის, სწორედ ამ მოცემულობიდან გამომდინარე, საფრანგეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება გაემკაცრებია და გაერთულებია იმიგრანტთა რეკრუტირების კრიტერიუმები ახალი რესპუბლიკური ინტეგრაციის მოდელის დამკვიდრებით, რაც პირველ რიგში მოითხოვს ფრანგული ენისა და ისტორიის საკმარის ცოდნას, ისევე როგორც საფრანგეთის ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების მიღებასა და გაზიარებას<sup>18</sup>.

2018 წელს საფრანგეთის სტატისტიკის პორტალის მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საფრანგეთის მოქალაქეებში იმ ფაქტორების დადგენა, თუ რა უშლის ხელს მათი აზრით იმიგრანტთა წარმატებულ ინტეგრაციას ფრანგულ სახელმწიფოში. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას, 43%-ს

<sup>17</sup> Institut Nationale de la Statistique et des Etudes Economiques, des immigrés de plus en plus diplômés, <https://www.insee.fr/fr/statistiques/3640742#tableau-figure2>, [უ. გ. 02.03.2023].

<sup>18</sup> Barou, J., (2014), Integration of immigrants in France: a historical perspective, *Identities*, 21:6, 642-657, DOI: 10.1080/1070289X.2014.882840.

იმიგრანტთა ინტეგრაციის უმთავრეს პრობლემად მათში ფრანგულ სოციალურ ინტეგრაციაზე მზაობის არქონა წარმოადგენს, მოსახლეობის 23%-ი კი ეკონომიკურ სირთულეებსა და უმუშევრობას ასახელებს, 21%-ი კი პრობლემად ძლიერ კულტურულ განსხვავებებსა და რელიგიურ პრაქტიკას მიიჩნევს.

ბოლო პერიოდში უფრო და უფრო მეტი ხმამაღალი გზავნილი მოისმის ფრანგული მედიიდან, რომელიც ტრადიციული საზოგადოების ერთგვარ ხმას წარმოადგენს და რომელიც მიიჩნევს, რომ დანაშაული და იმიგრაცია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში რჩება ქვეყანაში, რომ დღეს საფრანგეთი დღეს მექსიკაზე გაცილებით ნაკლებად უსაფრთხო ქვეყანას წარმოადგენს ევროპაში. ცხადი ხდება, რომ იმიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები საფრანგეთში ისეთივე არ არის, როგორც შეერთებულ შტატებში, რომელიც დღემდე იმიგრანტთათვის საცხოვრებლად და სამუშაოდ ნომერ პირველ სახელმწიფოდ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის საიმიგრაციო პოლიტიკა, ნაწილობრივ ემთხვევა ამერიკის პოლიტიკას ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, იგი მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება აშშ-ის იმიგრაციისაგან, როდესაც საქმე ინტეგრაციის პოლიტიკას ეხება, ვინაიდან ევროპაში ბოლო წლების განმავლობაში შეუძლებელი გახდა იმიგრაციის ეროვნული უსაფრთხოებისგან გამიჯვნა.

ქვეყანაში გაუარესებული კრიმოგენური მდგომარეობის ფონზე, ფრანგ პოლიტიკოსთა ნაწილი დღეს ღიად აცხადებს და ბრალს სდებს ხელისუფლებას, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში მმართველი კლასი უარყოფდა ყოველგვარ კავშირს იმიგრაციასა და დანაშაულს შორის. პარიზის თუ სხვა დიდი ქალაქების ზოგიერთ გარეუბნებს, ფრანგების მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს "რესპუბლიკის დაკარგულ ტერიტორიებად" მიიჩნევს, რომელსაც მათი განცხადებით ადგილობრივი პოლიცია ვეღარ აკონტროლებს, დიდ ქალაქებში მკვლელობებზე, გაუპატიურებისა და დაყაჩაღების შემთხვევებზე დაკავებულთა შორის, თითქმის ნახევარზე მეტი იმიგრანტია<sup>19</sup>. როგორც ფიგაროსთან ინტერვიუში საფრანგეთის შსს მინისტრმა ჟერალდ დარმანიმ ალნიშნა, ბევრად უფრო მოთხოვნადი ინტეგრაციის პროცესი უნდა დაიწყოს ქვეყანაში ჩასული უცხოელებისთვის და ბევრად უფრო უკომპრომისო ბრძოლა დანაშაულის ჩამდენი უცხოელების მიმართ. „თითოეული უცხოელის სათანადო ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად, ჩვენ ვთავაზობთ, რომ ბინადრობის ნებართვის პირობად იქცეს ცნობა, რომელიც ადასტურებს ფრანგული ენის ფლობას და რესპუბლიკის ღირებულებების მიღებას, როგორცაა მაგალითად სეკულარიზმი ან თანასწორობა ქალსა და მამაკაცს შორის“-აღნიშნა მან<sup>20</sup>.

## დასკვნა

ინტეგრაციის პოლიტიკამ ნაკლებად შეიძლება მიაღწიოს წარმატებას, როდესაც სოციალური ერთობის უზრუნველყოფის გზები ნაწილობრივ დასუსტებულია ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებით, ვინაიდან ინტეგრაციის პოლიტიკის მიზანს კვლავაც სოციალური ნორმების დაშლის თავიდან აცილება წარმოადგენს, რაზეც დიუნკენი თავის სოციალური ინტეგრაციის თეორიაში აღწერს. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის საიმიგრაციო პოლიტიკა შედარებით მოგვიანებით შემუშავდა, დღემდე ცდილობს შეინარჩუნოს მიზნისაკენ მიმავალი სწორი მიმართულება და მაქსიმალურად

<sup>19</sup> Lesueur, C., At least half of Paris crime is committed by foreigners: Where does Macron's claim come from? Le Monde, [https://www.lemonde.fr/en/les-decodeurs/article/2022/11/01/at-least-half-of-paris-crime-is-committed-by-foreigners-where-does-macron-s-claim-come-from\\_6002508\\_8.html](https://www.lemonde.fr/en/les-decodeurs/article/2022/11/01/at-least-half-of-paris-crime-is-committed-by-foreigners-where-does-macron-s-claim-come-from_6002508_8.html), [უ. გ. 02.11.2022].

<sup>20</sup> Semotiuk, A., S., (01.17. 2018), France struggles with its immigrants in the midst of National Security Concerns. Forbes, <https://www.forbes.com/sites/andysemotiuk/2018/01/17/france-struggles-with-its-immigrants-in-the-midst-of-national-security-concerns/?sh=5cebff4f5efc>, [უ. გ. 01.04.2023].

ხელი შეუწყოს იმიგრანტთა ეკონომიკურ და კულტურულ ინტეგრაციას ფრანგულ რესპუბლიკაში, რომლის საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენდა ჯერ კიდევ ე.წ „ქალაქის პოლიტიკა“ (Politique de la ville), რეალური ურბანული პოლიტიკა, რომელიც 1970-იანი წლების ბოლოს დაიწყო და მიმართული იყო იმიგრანტთა ურბანული სეგრეგაციის წინააღმდეგ. იმიგრანტთა განსახლების ტერიტორიაზე განხორციელებული სოციალური პოლიტიკის სხვადასხვა პროგრამების მიუხედავად, ურბანული სეგრეგაცია და ეკონომიკური ინტეგრაციის ნაკლებობა კვლავაც ერთ-ერთ გამოწვევად რჩება საფრანგეთში ბოლო ათწლეულების განმავლობაში<sup>21</sup>. საცხოვრებელი უბნის ან ტერიტორიის სოციალური სტრატეგიკაცია ხშირად განსაზღვრავს იქ მცხოვრები მოქალაქეების წვდომას ხარისხიან განათლებაზე, რაც შემდგომ უკვე მათი სოციალური მობილობის ხარისხს განაპირობებს ქვეყნის სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გარდა ამისა, საფრანგეთის ქალაქებში არსებული საცხოვრებელი იზოლაცია სულ უფრო მეტად გულისხმობს ეთნიკურ განზომილებას, იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობას აქვს ერთი და იგივე გარემოს სხვადასხვა ჯგუფებთან გაზიარების სირთულეები. ღარიბი უბნის მაცხოვრებლებთან თანაცხოვრების და მათი სოციალური პრობლემების გაზიარების ფაქტს მიჰყავს ისინი სოციალურ ქცევამდე, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება საშუალო ფენის ან ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი „საერთო“ ქცევისაგან. ამრიგად, ინტეგრაციის პროცესი, როგორც ჩანს, ხშირად ინტეგრაციის პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად შეიძლება მიმდინარეობდეს და დამოკიდებული იყოს ასევე ადგილობრივ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტზე. წარუმატებელი ეკონომიკური ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში რჩება სოციალური ერთობის შემცირების და გლობალური სოლიდარობის არარსებობის სივრცითი გამოხატულებად ან, პირიქით და როგორც დიურკემმა აჩვენა, ინტეგრაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელიც ინარჩუნებს თავის მთლიანობას.

<sup>21</sup> *Fitoussi, J., P., Laurent E., Maurice, J., Ségrégation urbaine et intégration sociale. Conseil d'analyse économique. Paris: La Documentation française, <https://www.cae-eco.fr/Segregation-urbaine-et-integration-sociale>, [უ. გ. 19.10.2022].*



## ბიბლიოგრაფია

1. Barou, Jacques. (2014) Integration of immigrants in France: a historical perspective, *Identities*, 21:6, 642-657, DOI: 10.1080/1070289X.2014.882840;
2. Centre d'analyse strategique, working paper N 6, Employment and business migrants, <http://archives.strategie.gouv.fr/cas/en/content/working-paper-no-6-employment-and-business-migrants.html>, [უკანასკნელად გადამოწმდა 20.02.2023];
3. Donzelot, Jacques. 1991. Face à l'exclusion, le modèle français. Ed. Esprit, Paris;
4. Durkheim, Emil. 1893, De la division du travail social, Presses Universitaires de France, 8edition, 1967, Paris;
5. Dubet. François. Lapeyronnie, Didier. (1992), Les Quartiers d'exil, L'Épreuve des faits, Le seuil. <https://www.cae-eco.fr/Segregation-urbaine-et-integration-sociale>, [უკანასკნელად გადამოწმდა 19.10.2022];
6. Fitoussi, Jean-Paul. Laurent, Eloi. Maurice, Joël. Ségrégation urbaine et intégration sociale. Conseil d'analyse économique. Paris: La Documentation française, 2004;
7. Frame Alexander. Communiquer, communication interculturelle et internationale, 2018. <https://journals.openedition.org/communiquer/3625?lang=en>, [უკანასკნელად გადამოწმდა 02.03.2023];
8. Haut Conseil à l'Intégration, Intégrer dans une économie de sous-emploi, 2011. Info migrations [http://archives.hci.gouv.fr/IMG/pdf/AVIS\\_Integrer\\_dans\\_une\\_economie\\_de\\_sous\\_emploi\\_22\\_102012.pdf](http://archives.hci.gouv.fr/IMG/pdf/AVIS_Integrer_dans_une_economie_de_sous_emploi_22_102012.pdf), [უკანასკნელად გადამოწმდა 20.02.2023];
9. Institut Nationale de la Statistique et des Etudes Economiques, des immigrés de plus en plus diplomes, <https://www.insee.fr/fr/statistiques/3640742#tableau-figure2>, [უკანასკნელად გადამოწმდა 02.03.2023];
10. Les immigrés en France, Population Immigrée, Qui et Combien? Histoire et origines vie familiale, 2005, [უკანასკნელად გადამოწმდა 20.02.2023];
11. Lesueur, Corentin. At least half of Paris crime is committed by foreigners: Where does Macron's claim come from? *Le Monde*, [https://www.lemonde.fr/en/les-decodeurs/article/2022/11/01/at-least-half-of-paris-crime-is-committed-by-foreigners-where-does-macron-s-claim-come-from\\_6002508\\_8.html](https://www.lemonde.fr/en/les-decodeurs/article/2022/11/01/at-least-half-of-paris-crime-is-committed-by-foreigners-where-does-macron-s-claim-come-from_6002508_8.html), [უკანასკნელად გადამოწმდა 02.11.2022];
12. Marco, Obert. The French Republican Model of Integration: The Theory of Cohesion and the Practice of Exclusion. <https://hal-sciencespo.archives-ouvertes.fr/hal-00972686/document>, [უკანასკნელად გადამოწმდა 27.02.2023];
13. Michel, Tribalat. Faire France: Une enquête sur les immigrés et leurs enfants. Politique étrangère, Paris;
14. Pew Research Center, Muslims in Europe: Economic Worries Top Concerns About Religious and Cultural Identity, (07.06.2006), <https://www.pewresearch.org/global/2006/07/06/muslims-in-europe-economic-worries-top-concerns-about-religious-and-cultural-identity/>, [უკანასკნელად გადამოწმდა 05.09.2021];
15. Population Immigrée, Qui et combien? Histoire et origines Vie familiale, Les immigrés en France, édition 2005;

16. Semotiuk, Andy J. France struggles with its immigrants in the midst of National Security Concerns. Forbes, <https://www.forbes.com/sites/andyjsemotiuk/2018/01/17/france-struggles-with-its-immigrants-in-the-midst-of-national-security-concerns/?sh=5cebff4f5efc>, [უკანასკნელად გადამოწმდა 01.04.2023];
17. Schnapper, Dominique. qu'est-ce que l'intégration? La revue lacanienne 2007/2 (n° 2);
18. Tache, Aurélien. Fourcade, Sabine. Hesse, Catherine. Babilotte, Justin. 72 Propositions pour une politique ambitieuse d'intégration des étrangers arrivants en France, Vie politique, 19.02.2018, <https://www.vie-publique.fr/rapport/37165-72-propositions-pour-une-politique-ambitieuse-dintegration-des-etranger>, [უკანასკნელად გადამოწმდა 30.11.2022];
19. Verret, Mcheal. 1999, le travail ouvrier, Paris: L'Harmattan;
20. Vie publique, Immigration: l'évolution de la politique pour l'intégration des immigrés, <https://www.vie-publique.fr/eclairage/20189-immigration-evolution-de-la-politique-pour-lintegration-des-immigres>, [უკანასკნელად გადამოწმდა 30.03.2022].



ISSN 2667-9906  
udc 001.5 s 75

